

# ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური კიპოთეზა

ა. რნ. ჩიქობავას  
წინასიტყვაობითა და რედაქციით



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი 1976

ეს კრებული მიზნად ისახავს ბასკური ენის შესახებ სწორი ცნობები მიაწოდოს დაინტერესებულ მკითხველს.

კრებულში შეტანილია ბასკური ენის ცნობილი სპეციალისტისა და ქართული ენის მკვლევრის ფრანგი ენათმეცნიერის რენე ლაფონის ვრცელი წერილი „ბასკური ენა“ და იმავე ავტორის მეორე წერილი „ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება“.

ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ურთიერთობას ეძღვნება არნ. ჩიქობავას წერილი „ბასკოლოგ-კავკასიოლოგი რენე ლაფონი და იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები“.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტთა და ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინახიტყვაობა (არნ. ჩიქობავა)	5
რენე ლაფონი. ბასკური ენა (მთარგმნ. ნ. სტურუა).	9
I. შენიშვნები იმ მნიშვნელოვან შრომებზე, რომლებიც 1918 წლამდე გამოიცა	10
II. ბასკური ენის შესახებ გამოკვლევები 1918 წლისათვის	14
III. „ბასკურის გრამატიკები“	21
IV. ბგერათა სისტემა: ფონოლოგია, პროსოდია, ვერსიფიკაცია	22
V. მორფოლოგია	31
VI. სინტაქსი	51
VII. ლექსიკა	63
VIII. დიალექტოლოგია, რუკები, ტექსტები	65
IX. ბასკურის წარმომავლობის პრობლემა	67
ბიბლიოგრაფია	76
რენე ლაფონი. ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება (მთარგმნ. ს. გაბუნია)	85
ბასკური ენათმეცნიერება	87
კავკასიური ენათმეცნიერება	89
ბიბლიოგრაფია	95
არნ. ჩიქობავა. ბასკოლოგ-კავკასიოლოგი რენე ლაფონი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები	99
საძიებლები	111

## წინასიტყვაობა

ბასკებს (basques) ამ ხალხს ფრანგები უწოდებენ; ესპანელები კი—ვასკონ-ს (vascon).

ბასკურ ენას (ფრ. la langue basque, ესპ. la lengua vascongada) ბასკურად ეწოდება ეესკარა || ესკვარა (euscara || escuara), ხოლო ხალხის სახელია ეესკა-ლ-დუნ-აკ „ბასკურად მოლაპარაკე ხალხი“.

ვ. შიშმაროვის აზრით, ეესკ-ფუძე „მოგვაგონებს აკვიტანიელი ხალხის სახელს აუსკ-ი“ (Ausci || Auscii)<sup>1</sup>.

ბასკურ ენაში რიგი დიალექტი და თქმა გამოიყოფა: გიპუსკოას, ბისკაიის, ზემო-ნავარის, ქვემო-ნავარის, ლაბურდისა, სულეტისა...<sup>2</sup> აერთიანებენ მათ ორ ჯგუფში: დასავლური (ანუ ბისკაიური) და ცენტრალურ-აღმოსავლური. ამ უკანასკნელში შედის ყველა სხვა კილო-თქმა, მათ შორის საფრანგეთის მიწა-წყლისა — ლაბურდის (ცენტრი—ბაიონა), ქვემო-ნავარისა (სენ-იან-პიე-დე-პორ) და სულეტისა<sup>3</sup>.

ბასკური ენა ერთადერთი ენაა დასავლეთ ევროპაში, ინდოევროპულ ენათა წრეს რომ არ ეკუთვნის.

კომპაქტურად ბასკები ცხოვრობენ ესპანეთსა და საფრანგეთში. ესპანეთში ბასკურ პროვინციებად ითვლება: გიპუსკოა, ბისკაია, ალავა და ნავარა; საფრანგეთში: ლაბურ, სულ, ქვემო-ნავარა (სამივე ეს რაიონი შედის ქვემო-პირენეს დეპარტამენტში)<sup>4</sup>.

ესპანეთის ბასკური პროვინციები და საფრანგეთის ბასკური რაიონები ერთობლივ იწოდება „ბასკების ქვეყნად“ ანუ ბასკონიად (იქვე).

ბასკონიის ქალაქებს შორის აღსანიშნავია: ბილბაო (ბისკაიის პროვინციის ცენტრი), სან-სებასტიანი (გიპუსკოას ცენტრი), ვი-

<sup>1</sup> В. Шишмарев, Очерки по истории языков Испании, Л., 1941, стр. 37.

<sup>2</sup> Народы зарубежной Европы, II, М., 1965, стр. 499.

<sup>3</sup> В. Шишмарев, იქვე.

<sup>4</sup> Народы зарубежной Европы, II, стр. 493.



ტორია (ალავას ცენტრი) და პამპლონა (ნავარის ცენტრი); საფრანგეთში—ქ. ბაიონა (ბისკაის ყურის სანაპიროზე).

წინათ ბასკებს გაცილებით მეტი ადგილი სჭერიათ საფრანგეთშიცა და ესპანეთშიც.

1959 წლის ცნობების დამოწმებით ესპანეთში 700 ათასი ბასკი უნდა ცხოვრობდეს, ხოლო საფრანგეთში—170 ათასი<sup>6</sup>. ცნობა, ალბათ, მიახლოებითია. ამავე წიგნში („Народы зарубежной Европы“), ესპანეთის ხალხებს რომ იხსენიებენ, ბასკებზე ნათქვამია: მათი რიცხვი 600 ათასამდე აღწევს<sup>6</sup>.

ამერიკაში, კერძოდ, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებსა და მექსიკაში დიდძალი ბასკი გადასახლებულა XVI საუკუნიდან მოყოლებული (სხვადასხვა დროს. მეტადრე—მეცხრამეტე საუკუნეში 1865—1875 წწ.).

მეტი წილი გათქვეფილა ადგილობრივ მოსახლეობაში (მით უმეტეს, რომ ეს მოსახლეობა არგენტინაში, ურუგვაიში, მექსიკაში ესპანურ ენაზე მეტყველებს).

და მაინც ამერიკაში 100 ათასამდე ბასკს თავისი ენა შეუნარჩუნებია და ამით ვინაობა დაუცავს.

არგენტინასა და ურუგვაიში ბასკებს თავისი პრესა და ეროვნული ორგანიზაციები ჰქონიათ. მექსიკაში გადასახლებულ ბასკებს პროვინცია „ახალი ბისკაია“ შეუქმნიათ<sup>7</sup>.

ბასკურს დამწერლობა მოეპოვება XVI საუკუნიდან: ბერნ. დე ჩე-პარე-ს პიესები (სასულიერო ხასიათის თემებზე), 1545 წ., „სახარება“ ლაბურდის დიალექტზე—1571 წ., მთარგმნელი—ლ ის ა რ ა გ ა).

ამჟამად სალიტერატურო ბასკურის საყრდენი დიალექტია დასავლური დიალექტი, ბილბაოს თქმა.

■ ■ ■

როცა ესპანეთში რესპუბლიკური წყობილება დამყარდა, ესპანეთის პარლამენტმა (კორტესებმა) ბასკეთს ავტონომია მიანიჭა. ეს მოხდა 1936 წლის ოქტომბერში.

ბასკთა 400 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი შეიკრიბა გერნიკაში ტრადიციულ მუხასთან (Guernicako arbola „გერნიკის ხე“—ბასკებში მუხის კულტია გავრცელებული!) და დროებითი მთავრობა აირჩია. ბასკური გამოცხადდა ოფიციალური ენად.

დღემოკლე აღმოჩნდა ბასკეთის ავტონომია.

<sup>6</sup> Народы зарубежной Европы, II, стр. 498.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 419.

<sup>7</sup> В. Шншмарев, Очерки по истории языков Испании, стр. 33.

რესპუბლიკის წინააღმდეგ ამბოხებული ფრანკოს<sup>8</sup> ქაზარები შეესი-  
ვნენ ბასკებს (1937 წლის დასაწყისში) და 1937 წლის ივლისში ბრძო-  
ლით აიღეს ქ. ბილბაო.

ბასკების ავტონომია გააუქმეს. აიკრძალა ბასკურის ხმარება ოფი-  
ციალურ დაწესებულებებში<sup>8</sup>.

ფრანკოს სიკვდილის შემდეგ (1975 წ.) ბასკებმა კვლავ მოითხო-  
ვეს ავტონომია („როგორც ესპანეთიდან იტყობინებიან, გუშინ ქალაქ  
გერნიკაში შეიკრიბა ბასკთა ქვეყნის ორი ათასამდე წარმომადგენე-  
ლი—ოპოზიციურ პარტიათა, პროფკავშირთა და სხვა ორგანიზაციათა  
—და გადაწყვიტეს შექმნან ბასკების დემოკრატიული ასამბლეა.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა, რომელშიაც მოითხო-  
ვენ ავტონომიას ბასკთა ქვეყნისათვის, ამნისტიას ყვე-  
ლა პოლიტიკური პატიმრისა და ემიგრანტისათვის“ — „პრავდა“,  
30. XII. 75).

• • •

ეს კრებული მიზნად ისახავს ბასკური ენის შესახებ სწორი ცნო-  
ბები მიაწოდოს დაინტერესებულ მკითხველს.

„ბასკურ ენას რომ ვისმენდი, ნახევარი ქართული სიტყვები მესმო-  
დაო“, იტყვიან ზოგჯერ. ეს, რა თქმა უნდა, ფანტასტიკაა (ამგვარ  
მსჯელობას შეუძლია სახელი გაუტეხოს სამეცნიერო საკითხს). „ბას-  
კურისა და ქართულის ნათესაური ურთიერთობის საკითხი საერთოდ  
არ არის მეცნიერული საკითხი და მისი კვლევაც გაუმართლებელიაო“  
— ასეთია მეორე უკიდურესობა.

ჩვენ იმ აზრს ვიცავით და ვიცავთ, რომ ეს საკითხი მეცნიერული  
საკითხია. ამასთან დიდი მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული სა-  
კითხი, ოღონდ ეს საკითხი იმდენადვე რთულია და ძნელი, რამდენა-  
დაც მნიშვნელოვანი. ერთი ხელის მოსმით საკითხი არ გადაწყდება: ამ  
შესაძარებელ ენათა ისტორიის სიღრმეში ჩახედვა უნდა შევიძლოთ,  
თუ გვინდა ბასკურ-კავკასიური პრობლემის სიძნელეები დავძლიოთ.  
საამისოდ საჭირო მუშაობას გვერდი არ უნდა ავუქციოთ. ძნელი  
პრობლემა არასოდეს გადაწყდება, თუ ის არ დაისვა.

კრებულში შეტანილია სამი წერილი:

1. ბასკური ენის ცნობილი სპეციალისტისა და ქართული ენის  
მკვლევრის ფრანგი ენათმეცნიერის რენე ლაფონის ვრცელი წერი-  
ლი ბასკური ენის შესახებ.

ავტორი ეხება ბასკური ენის ფონეტიკა-მორფოლოგია-სინტაქსის,  
ლექსიკის... საკითხებს, აგრეთვე ბასკური ენის შესწავლის ისტორიას.  
ეს სპეციალისტებისთვისაა საინტერესო.

<sup>8</sup> Народы зарубежной Европы, II, стр. 502.

რ. ლაფონის ამ წერილში საკმაოდ ადგილი ეთმობა ბასკურის სხვა ენებთან ნათესაობის საკითხს და სხვადასხვა შეხედულებას, რაც ამ საკითხზე არსებობს (იხ. თავი IX). ეს არასპეციალისტებსაც დააინტერესებს. წერილი ინგლისურიდან თარგმნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელმა ნათელა სტურუამ.

2. მეორე წერილიც რ. ლაფონისაა. „ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება“ (1967) დაწერილია საქართველოში ყოფნის შემდეგ (რუსთაველის იღბილეზე იყო ჩამოსული 1966 წელს და ლექციებიც წაიკითხა ბასკურის შესახებ—ერთი წყება—უნივერსიტეტში, სხვა კი—ლევ—ენათმეცნიერების ინსტიტუტში).

წერილში რ. ლაფონი თავის შთაბეჭდილებასაც გადმოგვცემს ქართველ სპეციალისტებთან შეხვედრის გამო (პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზედაც წაუკითხავს მოხსენება თბილისში ყოფნასთან დაკავშირებით).

რ. ლაფონის ეს წერილი თარგმნა ფრანგულიდან ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომელმა სალომე გაბუნამ.

3. რენე ლაფონი გარდაიცვალა 1974 წლის თებერვალში. მის ხსოვნას საჯარო სხდომა მიეძღვნა უნივერსიტეტში 1974, 14. VI (უცხოეთთან ურთიერთობის საზოგადოების საფრანგეთ-საქართველოს სექციის ინიციატივით; სექციის თავმჯდომარე—აკად. ილია ვეკუა).

ამ სხდომას მოხსენდა: „რენე ლაფონი, ბასკოლოგ-კავკასიოლოგი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები“.

ეს მოხსენება აქ მესამე წერილად მიდის. მასში, სხვათა შორის, მოთხრობილია იმ სიძნელეთა შესახებ, რაც ახლავს ბასკურ-კავკასიური ურთიერთობის პრობლემას, რომელსაც პოზიტიური გადაწყვეტა მოეპოვება. ბასკურის შესწავლა რომ საჭიროა ჩვენში წარმოებდეს, ამაზე არა ერთხელ თქმულა, მოხსენებითი ბარათიც მიგვირთმევია ჩვენი აკადემიის პრეზიდიუმისათვის (5. VI. 1970 წ.). არავითარი გამონმაუტება!

ბასკოლოგია გულისხმობს ბასკური ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის შესწავლას.

ყველა ამ დარგში სპეციალისტები უნდა მომზადდეს, პირველ ყოვლისა კი—ბასკური ენის სპეციალისტები. ჩამორჩენა გვაქვს. მას თავი უნდა დავაღწიოთ. ეს ჩვენი მეცნიერების ღირსების საქმეა.

არნ. ჩიქობავა

## ბასკური ენა\*

ბასკური ენა ერთადერთი ცოცხალი ენაა დასავლეთ ევროპაში, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახს არ განეკუთვნება და ერთადერთი გადარჩენილი ენაა იმ ენათაგან, რომლებზედაც ლაპარაკობდნენ სამხრეთ გალიასა და იბერიის ნახევარკუნძულზე ინდოევროპულ ტომთა შემოსევებამდე.

ყველა რამდენადმე ფასეული ნაშრომი ბასკური ენის შესახებ, უნგრელი რიბარის (Ribéry) წიგნის (1877) გამოკლებით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაიწერა: პირველად ესპანეთსა და საფრანგეთში. შემდეგ კი ინგლისში, გერმანიაში, ავსტრიაში, ნიდერლანდებში, იტალიასა და ნორვეგიაში.

მრავალი წლის მანძილზე ბასკურის შესწავლა მიმდინარეობდა სრულიად განსხვავებულ ვითარებაში, ვიდრე კლასიკური, რომანული. გერმანიკული და სხვა იმ ენებისა, რომლებსაც უნივერსიტეტებში ასწავლიდნენ. დიდი ხნის განმავლობაში არც ერთ უნივერსიტეტში არ არსებობდა ბასკური ენის კათედრა. ბასკური ენისა და ლიტერატურის პირველი კათედრა გაიხსნა ბორდოს უნივერსიტეტში 1948 წელს. ამის შემდეგ შეიქმნა კიდევ სხვა კათედრები და ბასკურის შემსწავლელი ცენტრები: საფრანგეთში—პო-ში, ესპანეთში—სან-სებასტიანში, სალამანკაში, პამპლონასა და დეუსტოში (ბილბაოს მაზლობლად). სხვა ფილოლოგებისა და ენათმეცნიერებისაგან—ლათინისტების. ელნისტების, გერმანიკულის ან ინდურ ენათა სპეციალისტებისაგან განსხვავებით, უკანასკნელ წლებამდე ბასკურის სპეციალისტების მომზადება გულისხმობდა მათ მიერ ენის შესწავლას უშუალო დაკვირვების საფუძველზე ან წინამორბედთა ნაშრომების მიხედვით, რომელთა კვლაც ისინი ხშირად მისდევდნენ, დაბოლოს იმ ცოდნისა და ენათმეცნიერული გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მათ სხვა სფეროში შეიძინეს (კლასიკურ ფილოლოგიაში, ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში. რომანულ ენებში, კავკასიურ ენებში, თამილურ, ესკიმოსურ და ამერიკის ინდიელთა ენებში).

\* ცალკე ამონაბეჭდი კრებულიდან: Current Trends in Linguistics („თანამედროვე ენათმეცნიერების მიმდინარეობანი“), vol. 9 (ტ. 9): Linguistics in Western Europe („ენათმეცნიერება დასავლეთ ევროპაში“), 1972. Mouton (ბოტონი), The Hague-Paris (ჰააგა-პარიზი).

მხოლოდ რამდენიმე ქეშმარიტად კვალიფიციური მკვლევარი დასკეციალდა საკუთრივ ბასკურ ფილოლოგიასა და ენათმეცნიერებაში. ეს გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ ეს დისციპლინები არ ისწავლებოდა უმაღლეს სასწავლებლებში და ამდენად, სტუდენტებს არ გამოადგებოდათ არც გამოცდების ჩასაბარებლად და არც ხარისხის მოსაპოვებლად. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში შეიცვალა ვითარება საფრანგეთში. 1966 წლიდან ბორდოს უნივერსიტეტში მასწავლებლის ადგილის მოსაპოვებელი ხარისხისათვის მეორე ცოცხალი ენის ჩასაბარებლად შეიძლება ბასკურის არჩევა.

## I. შენიშვნები იმ მნიშვნელოვან შრომებზე, რომლებიც 1918 წლამდე გამოიცა

დიდი ხნის განმავლობაში ბასკური ენის აღწერისა და ანალიზის დროს ცდილობდნენ ბასკურის ბრუნება და უღვლილება ლათინური, ბერძნული, ფრანგული და ესპანური გრამატიკების ჩარჩოში მოეთავსებინათ, მიუხედავად იმისა, რომ საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ ბასკურის აგებულება სრულიად განსხვავებულია გეოგრაფიულად მისი მეზობელი ენების—ესპანურის, ფრანგულისა და გასკონიურის აგებულებისაგან. არ იქნებოდა სწორი, რომ ბასკურის ადრეული სპეციალისტების ყველა შრომისათვის უარყოფითი შეფასება მიგვეცა, რადგან ისინი ხშირად მნიშვნელოვან დაკვირვებებს შეიცავენ და საყურადღებო მასალასაც გვაწვდიან.

მაგრამ ეს მკვლევრები არ ცდილობდნენ, როგორც ეს მათი წერილობითი თუ ზეპირი გამოხატვებებიდან ჩანს, განესაზღვრათ სახელური და ზმნური ფორმების ზუსტი ფუნქციები და გაერკვიათ მათი მორფოლოგიური და სინტაქსური ურთიერთობანი. გარდა ამისა, ისინი უგულებელყოფდნენ გარკვეულ ფაქტებს, რომლებიც მათთვის უთუოდ ცნობილი იყო, მაგრამ მათ მნიშვნელოვნად არ ეჩვენებოდათ. ასე მაგალითად, ყველამ იცოდა, რომ უღვლილებაში სუფიქსი -ke გამოხატავს შესაძლებლობას: ძუ „მას ის აქვს“, duke „მას შეიძლება ის ჰქონდეს“. ასევე ცნობილი იყო, რომ სულეტურ (Souletin) დიალექტში -ke იხმარება მყოფადის გამოსახატავად, ერთი მხრივ, და შესაძლებლობის გამოსახატავად, მეორე მხრივ: ძუ „მას ის აქვს“, diike „მას ის შეიძლება, ანდა შეეძლება ჰქონდეს“. მაგრამ არავინ დაინტერესებულა, თუ რა იყო საერთო ამ მაგალითებში, რა უნდა ყოფილიყო ამ სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა. უფრო მეტიც, არავის შეუშინებია, რომ თანამედროვე ენაშიაც -ke-ს კიდევ ერთი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. ასე მაგალითად, dakarke ნიშნავს „იგი მას ატარებს“ (მოქმედების დასრულების აღნიშვნის გარეშე), მაშინ როდესაც dakar არის „მას

ის მოაქვს“ (მოქმედება დასრულებულია). ასევე არავის შეუმჩნევია, რომ XVI საუკუნეში ხშირად იხმარებოდა აწმყო დროის ფორმა -ke სუფიქსით, განსაკუთრებით ანდაზებში, ზოგადი კვებარიტების გამო-სახატავად. არავის შეუსწავლია ეს ფაქტები ერთად იმ მიზნით, რომ ამ განსხვავებული მნიშვნელობებისათვის გამაერთიანებელი ფაქტორი მოეძებნა, განესაზღვრა ke-სუფიქსიანი ფორმების ამოსავალი ფუნქცია და უღვლილების სისტემაში ამ ფორმებისათვის სათანადო ადგილი მიეჩინა (იხ. ქვემოთ, გვ. 48 და Lafon 1943: I, 446—54).

წლების მანძილზე მეცნიერები, გრამატიკოსები, ფილოლოგები და ზოგჯერ ენათმეცნიერებიც, როდესაც ბასკურის შესახებ წერდნენ, პირველ ყოვლისა, ცდილობდნენ მოეწესრიგებინათ და ტაბულების სახით წარმოედგინათ რაც შეიძლება მეტი ფორმა, განსაკუთრებით ზნური ფორმები და ვარიანტები. ბასკური კი ძალზე მდიდარია ზნური ფორმებით; ეს ფორმები, შესაძლოა, შეიცავდნენ ერთიდან სამამდე პირის ნიშანს. გარდა ამისა, ბასკური სხვადასხვა დიალექტური ფორმებითაა წარმოდგენილი: ლუი-ლუსიენ ბონაპარტის (Prince Luis-Lucien Bonaparte) მიხედვით, რვა დიალექტით, რომლებიც კილოებადაა დაყოფილი (იხ. ქვემოთ, გვ. 65). თვით ენის სახელწოდებაც განსხვავებულია სხვადასხვა დიალექტში: euskara, heuskara, euskera, uskera, ðskāra (გამოითქმის ðskā), eskuara, eskara. დეტალების ამგვარი სიჭარბე ხელს უშლიდა ენის ზოგადი დახასიათების დადგენას და, რაც მთავარია, სისტემის მოძებნას. ამის შედეგს წარმოადგენდა უამრავი რაოდენობის სიები და ტაბულები ფორმებისა, რომლებიც ხშირად სხვადასხვა დიალექტის ან ეპოქის კუთვნილებას წარმოადგენდნენ, ზოგჯერ კი თვით გრამატიკოსების მიერ იყენენ შეთხზულნი; ამ ფორმებს ერთიანობა აკლდა და, ამასთანავე, მათი შეკრებისას არც სინქრონიისა და დიაქრონიის გარჩევას ეწეოდა ანგარიში და არც კვებარიტი სინქრონიული ვითარების გათვალისწინებას.

ქვემოთ ჩვენ ჩამოვთვლით რამდენიმე მაგალითს, რომელიც გვიჩვენებს ამგვარ ნაკლოვანებებს რიგ საყურადღებო ნაშრომში, რომელთა გათვალისწინებაც შესაძლებელს გახდის ამ ნაშრომების გამოყენებას.

ჰუგო შუხარდტის (Hugo Schuchardt) ნაშრომის „გამოკვლევა ბასკურის შესახებ“ Baskische Studien (1893) მეოთხე გვერდზე მოცემულია სამ თუ ოთხსტრიქონიანი კომენტარი, რომელიც ყველაზე უფრო ღრმად იმ დაკვირვებათაგან, რომლებიც კი მოუყიათ ბასკური ზნური სისტემის აგებულების შესახებ. მისი მნიშვნელობა სათანადოდ ვერ დაფასდა (Lafon 1943: I. 504), რადგან ისეა დაბუქდილი, რომ კითხვის დროს არ გამოიკვეთება ნათლად და ჩაკარგულია ფორმათა სიაში. ამასთანავე, ამ გამოჩენილმა მკვლევარმა მოახდინა საფუძველს

მოკლებული შედარება ბასკურისა და არაბულის ზმნური სისტემებისა. მისი სტატია, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია, არ ყოფილა სათანადოდ შესწავლილი და გამოყენებული, რადგანაც იგი მეტისმეტად კომპაქტურია და მონაცემების სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით გადატვირთულ მკითხველს ზოგჯერ ძალიან უჭირს მიჰყვეს ავტორის მსჯელობას.

მეორე მნიშვნელოვანი შრომაა ბონაპარტის „ბასკური ზმნა“ *Le verbe basque* (1869). შუხარდტმა დიდად გამოიყენა იგი. ამ შრომის სრული სათაური ძალზე გრძელია: „ბასკური ზმნა ტაბულებში, გრამატიკული შენიშვნებითურთ ეუსკარას რვა დიალექტის მიხედვით.... მათი კილოებისა და კილოკავების განსხვავებათა გათვალისწინებით, უშუალოდ სოფლის მოსახლეობის მეტყველების საფუძველზე შეკრებილი ხუთ ლინგვისტურ ექსპერიმენტში, რომლებიც მოეწყო ესპანეთისა და საფრანგეთის შვიდ ბასკურ პროვინციაში 1856, 1857, 1866, 1867, 1869 წლებში“. ეს ნაშრომი, რომელიც ავტორს არ დაუსრულებია, უცნაურად იყო ჩაფიქრებული და იმთავითვე გამორიცხავდა სისტემატური მთლიანის ასახვის შესაძლებლობას. თავდაპირველი „დაკვირვებანი“ შეიცავენ ყოველგვარი წესრიგის გარეშე გადმოცემულ ფონეტიკურ, მორფოლოგიურსა და ლექსიკურ მასალას, რომელიც თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის სისტემაში მოყვანილი. ბონაპარტი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბისკაიურს (*Viscayan*) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბასკურის დიალექტებს შორის. სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით, წინ არის წამოწეული მწერლობის მქონე დიალექტები: ბისკაიური. გიპუსკოური (*Guipuzcoan*), ლაბურდული (*Labourdian*) და სულეტური.

ხშირად გაურკვეველია ავტორის მიერ მოყვანილი ფორმები „სოფლის მოსახლეობის“ ყოველდღიურ სიტყვათხმარებას განეკუთვნება თუ სალიტერატურო ენის კუთვნილებას წარმოადგენს. უფრო მეტიც, შეუძლებელი იქნებოდა წარმოგვედგინა, რომ „სოფლის მოსახლეობისაგან“ ჩაიწერა ავტორმა რიგი იშვიათად ხმარებულ დრო-კილოთა ფორმების სრული სერიები, პირების თეორიულად დასაშვები ყველა კომბინაციის აღნიშვნით. როგორც თვით ბონაპარტი შენიშნავს (მე-14 დამატებითი ტაბულა, შენიშვნა 1), „ხალხურ ლაბურდულში“ (*vernaculaire Labourdin*) არა გვაქვს ყველა ის ფორმა, რომელიც მან მე-10 შესავალ ტაბულაში აღწერა, მაშინ როდესაც სალიტერატურო დიალექტი მათ შეუფერხებლივ იყენებს. დაბოლოს, ის ორი ტაბულა, რომელშიაც იგი წარმოგვიდგენს მწერლობის მქონე ოთხი დიალექტის გვარს, კილოს და მარტივ დროებს და ე. წ. რთულ დროებს, სრულიადაც არ ასახავს ზმნური სისტემის ნათელსა და ზუსტ სურათს.

ბონაპარტი შეეცადა მაქსიმალურად ამომწურავი სიები შეედგინა, საბოლოოდ მან 32 „მარტივი დრო“ და 104 „რთული დრო“ მიიღო. ეს ის საბოლოო სიაა, რომელიც გადაიღეს ანრი გაველმა (Henri Gavel) და ჟორჟ ლაკომბმა (Georges Lacombe) თავიანთ „გრამატიკაში“ (1937 : § 24, გვ. 50—62), რადგანაც, მათი აზრით, ეს იყო ყველაზე უფრო დეტალური და ზუსტი სია, რომელიც ოდესმე შეუქმნიათ. „აუცილებელი არ არის აღვნიშნოთ“, წერდნენ ეს ავტორები (1937 : 51), „რომ ეს სია მიღებულია ერთდროულად ყველა ლიტერატურული დიალექტისა და ლისარაგას Liçarrague (XVI საუკუნის მწერალი) მონაცემების გათვალისწინებით; აღმოჩნდა, რომ არც ერთ დიალექტში, ყოველ შემთხვევაში დღევანდელი ვითარების მიხედვით, არა გვაქვს სრულად წარმოდგენილი ყველა ის დრო, რომელიც ამ სიაშია მოცემული“. ამრიგად, ვრწმუნდებით, თუ რამდენად ძლიერი იყო დეტალებისაკენ მისწრაფება და როგორ აიძულებდა იგი ბასკურის საუკეთესო სპეციალისტებსაც კი ერთ სიბრტყეზე მოეთავსებინათ სხვადასხვა ეპოქისა და განსხვავებული დიალექტის მონაცემები, უღვლილების ძირითადი ფორმები და ნაკლებ მნიშვნელოვანი ვარიანტები, რაც შეუძლებელს ხდიდა დაგვენახა ზმნური სისტემის ძირითადი თვისებები.

1903 წელს კ. ულენბეკმა (C. C. Uhlenbeck) გერმანულად გამოცა გამოკვლევა, რომლის ფრანგული თარგმანი, ლაკომბის მიერ შესრულებული: Contribution à une phonétique comparative des dialectes basques („ბასკური დიალექტების შედარებითი ფონეტიკისათვის“), დაიბეჭდა 1909 წ. და 1910 წ. RIEB-ში და რომელიც ძალზე მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს. ეს გამოკვლევა განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი იყო, რადგანაც იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გამოცემული ასკუეს (Azkue) ლექსიკონი. ბუნებრივია, რომ დიალექტური ფორმები, რომლებიც მას ასეთი დიდი რაოდენობით მოჰყავს, შემოწმებას საჭიროებს. საკვირველია, რომ ასეთ დიდ ლინგვისტს არც კი უფიქრია შეედგინა ხმოვნებისა და თანხმოვნების ტაბულა თუნდაც ერთი ან ორი დიალექტისათვის, ისეთი, როგორიც სხვა ენებისათვის არსებობდა. მას არ აღუნიშნავს აგრეთვე, რომ გარკვეული თანხმოვნები არ გვხვდება აუსლაუტში, სხვები კი ანლაუტში; და რომ, თუ დიალექტებს განვიხილავთ ერთიანობაში, აღმოჩნდება, რომ მთელი რიგი თანხმოვნები მხოლოდ სიტყვის შიგნით, ხმოვნებს შორის გვხვდება. დაბოლოს, იგი ზოგჯერ არაზუსტ ტერმინებს ხმარობდა, რაც გაუგებრობის წყაროდ შეიძლება იქცეს: იგი ლაპარაკობდა „ფშვინვიერი n“-ს (aspirated n), „ფშვინვიერი r“-სა (aspirated r) და „ფშვინვიერი l“-ს (aspirated l) შესახებ. ბასკურში (ართლაც გვაქვს ფშვინვიერი ხშულები—ph, th, kh, რომლებიც გვხვდება სი-



ტყვის შუაში და სიტყვის თავში, დიგრაფები *nh, rh, lh* კი პირი-  
ქით—ჭგუფებს შორის დანაყოფების არსებობაზე მიგვითითებს, ისინი  
მხოლოდ სიტყვის შიგნით გვხვდება და მარცვლებს შორის საზღვარი  
აქ *n, r, l*-სა და *h*-ს შორის გადის.

თუ მხოლოდ ერთი დიალექტის ან გარკვეული ნორმების მქონე  
სალიტერატურო ენის სინქრონიულ აღწერას არ ვაწარმოებთ, სხვა  
დიალექტების უგულებელყოფა შეუძლებელია. ბონაპარტი შეუდარებე-  
ლი ნოვატორი იყო ბასკური დიალექტოლოგიის სფეროში, იგი უნდა  
ჩაითვალოს ლინგვისტური გეოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებლად, რო-  
გორც „შვიდი ბასკური პროვინციის რუკის“ (*Carte des sept provin-  
ces basques*) ავტორი. „რუკა“ დათარიღებულია 1863 წლით, მაგ-  
რამ სინამდვილეში ეს სამუშაო დასრულდა 1871 ან 1872 წელს. მი-  
უხედავად იმისა, რომ ბონაპარტი ამ დიალექტების ურთიერთობის სა-  
უკეთესო მცოდნე იყო, ის სურათი, რომელიც მან წარმოგვიდგინა  
„ბასკური ზმნის“ IV გვერდზე, არ ასახავს იმ სიახლოვეს ქვეყნის აღ-  
მოსავლეთ ნაწილის დიალექტებს შორის, რომელიც სინამდვილეში  
არსებობს და რასაც იგი სხვაგან აღნიშნავს (Lafon, 1955).

ყოველ შემთხვევაში, ბონაპარტისეული კლასიფიკაცია დიალექტებისა,  
კილოებისა და კილოკაებისა საფუძვლიანია და დღესაც ფასეუ-  
ლია. სამწუხაროა, რომ ასკუე არ მიჰყვა მას უფრო ზუსტად თავის  
დიდ ლექსიკონში (1905), რადგანაც ასკუეს აზრით, უფრო სწო-  
რი იყო AN და BN რუბრაჟებში გაერთიანებულიყო ჩრდილო და  
სამხრული ზემო-ნავარული (*the Northern and Southern upper Na-  
varesse*) და დასავლური და აღმოსავლური ქვემო-ნავარული (*the  
Western and Eastern lower Navaresse*); გარდა ამისა, იგი ლაბუ-  
რდულთან აკავშირებს ბარდოსის (Bardos) დიალექტს, რომელიც გე-  
ოგრაფიულად ლაბურდს მიეკუთვნება, მაგრამ აშკარად აღმოსავლური  
ქვემო-ნავარულის ვარიანტს წარმოადგენს.

რასაკვირველია, კრიტიკა არ არის ძნელი, მით უმეტეს, სამოცი ან  
ასი წლის დისტანციიდან. ყველა იმ ნაკლის მიუხედავად, რომელსაც  
ბასკურის თანამედროვე მკვლევარი აღმოაჩენს ზემოდასახლებულ ნა-  
შრომებში, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ნაშრომები საფუძვლიანია და  
მათი გამოყენება დღესაც აუცილებელია ბასკურის შესასწავლად.

## II. ბასკური ენის შესახებ გამოკვლევები 1918 წლისათვის

1905 წლიდან 1920 წლამდე, ასკუეს „ლექსიკონიდან“ გველის  
„ბასკური ფონეტიკის საფუძვლებამდე“ (*Éléments de phonétique  
basque*), არც ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი არ გამოცემულა ბასკუ-  
რი ენის შესახებ. მიუხედავად ამისა, ბევრი რამ შეიქმნა ამ პერიოდში

ჟურნალ „ბასკური გამოკვლევების საერთაშორისო მიმომხილველის“ (Revue internationale des études basques. Revista internacional de estudios vascos) თაოსნობით. იგი დააარსეს 1907 წელს ბასკებმა ხულიო ურკიხომ (Julio Urquijo) და ჟორჟ ლაკომბმა, მისი გამოცემა შეწყდა 1936 წლის ესპანეთის სამოქალაქო ომის გამო. იგი ბასკურის შესწავლის ყველა სფეროს ენმაურებოდა, თუმცა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ფილოლოგიასა და ენათმეცნიერებას, რითაც მათ განუზომელ სამსახურს უწევდა. შეუძლებელია სათანადო მადლობა არ გამოვხატოთ იმათ წინაშე, ვინც დააარსა და ხელმძღვანელობა გაუწია ამ ჟურნალს. შუხარდტი, ულენბეკი, ვენსონი (Vinson), ლაკომბი, ურკიხო, გაველი და ბეერი სხვა, აქვეყნებდნენ სტატიებსა და რეცენზიებს ამ ჟურნალში. RIEB-მა 1918 წელს გამოსცა, უფრო სწორად, დაიწყო წინათ ფილოლოგებისათვის ძნელად ხელმისაწვდომი ძველი ბასკური ტექსტების გამოცემა, რითაც შესაძლებელი გახდა მათი შესწავლა: ჟან დე ტარტასის (Jean de Tartas) „Onsa hilceco bidia“ (1666); აშულარის (Axular) „Guero“ (1643), 1596 წლის „Refranes y Sentencias“ ურკიხოს მეტად მნიშვნელოვანი კომენტარებითურთ.

ბასკური ენის შესწავლას დიდად შეუწყო ხელი 1918 წელს ბასკური ენის აკადემიის (Académie de la langue basque. Euskaltzaindia) დაარსებამ, რომელშიაც ფილოლოგებთან და ენათმეცნიერებთან ერთად მწერლებიც და ისტორიკოსებიც გაერთიანდნენ. დიდი ადგილი ეთმობოდა ბასკური ენის შესწავლის საკითხებს აკადემიის შრომებში და ჟურნალ Euskera-ში, რომელსაც იგი გამოსცემდა 1920 წლიდან.

## 1918 წლის შემდეგ

### 1. სტრუქტურალიზმის შეკრა ბასკურის შესახებ გამოკვლევებში

1918 წლამდე ბასკურის ყოველ მკვლევარს საკუთარი მეთოდი ჰქონდა, არც ერთი მათგანი არ ეჭვმდებარებოდა სტრუქტურალისტური იდეების გავლენას, ერთი გამონაკლისის გარდა: ეს იყო ულენბეკი, რომელმაც შეითვისა ენათმეცნიერებისა და ფსიქოანალიზის ახალი ცნებები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1918 წლის შემდეგაც და მანამდეც სტრუქტურული ელემენტების განმარტებას ტრადიციული თვალსაზრისით შესრულებულ ნაშრომებშიაც ვხვდებოდით.

ტერმინს „სტრუქტურული ლინგვისტიკა“ სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ. ენათმეცნიერებმა, რომლებიც ამჟამად ბასკურში მუშაობენ, მიიღეს, შესაძლოა გაუცნობიერებლად, ისეთი თვალსაზრისი, რომელიც ე. ბენვენისტმა (E. Benveniste) შემდეგნაირად დაახასიათა: „ენა სისტემას წარმოადგენს... თავიდან ბოლომდე, ბგერებიდან გამოხატულების ურთულეს ფორმებამდე ენა ნაწილების სისტემური განლაგებაა. იგი

შედგება ფორმალური ელემენტებისაგან, რომლებიც განსხვავებულ კომბინაციებში შედის, სტრუქტურის გარკვეული პრინციპების მიხედვით“ (1967: 21).

არც ერთი ბასკურის მკვლევარი, რომელმაც სტრუქტურალისტიკური თვალსაზრისი შეითვისა ან მისი გავლენა განიცადა, არ ცდილა უგულებელყო ცალკეული სიტყვებისა და ფორმების მნიშვნელობა და ბიჟევიორისტული ტერმინებით გამოეხატა ფორმასა და მნიშვნელობას შორის არსებული ურთიერთობანი. არც ერთ მათგანს არ უკუუგდია წონასწორობისა და ტენდენციის ცნებები, როგორც ტელეოლოგიურად გაუმართლებლნი. საერთოდაც, საეკვოა, რომ როდისმე შესაძლებელი გახდეს „ტენდენციის“ ცნების ამოღება ადამიანთა საქმიანობისადმი მიძღვნილი გამოკვლევებიდან. ასევე ვერ ამოვაგდებთ ენათმეცნიერებიდან სტრუქტურულ ელემენტებს შორის იერარქიის არსებობის იდეას. იგი, როგორც ცნობილია, ზემოწვევით კარგადაა განსაზღვრული და სრულიად აშკარაა, რომ ანთროპოპირველ ცნებას არ წარმოადგენს.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით სტრუქტურალისტიკურ მიდგომას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ბასკურის სპეციალისტებისათვის. იგი გააძავესუფლებს მათ „დეტალების ტირანიისაგან, რომელიც თავის მხრივ იწვევს განვითარების შეჩერებას, შიშისაგან, რომელსაც იწვევს ენობრივი ფაქტების სიმრავლე და მათი ურთულესი გადახლართვანი, რადგან ამ მონაცემთა ერთობლიობის სიღრმეში გამოიკვეთება სტრუქტურის არსებითი ნიშნები შემდგომი კვლევის შედეგად, რაც ობიექტის ადეკვატურ სურათს წარმოადგენს“; ა. მარტინეს (A. Martinet) ეს შენიშვნა იმის შესახებ, თუ სტრუქტურულ ენათმეცნიერებას რა სამსახურის გაწევა შეუძლია შედარებითი გრამატიკისათვის (1956:21), შეიძლება ჩიუყყნოთ ბასკურს—ბასკურის ფაქტებიც მრავალმხრივია დიალექტური მონაცემების მიხედვით, მაგრამ ერთიანია სტრუქტურული თვალსაზრისით.

თუ არ ჩავთვლით დიდი გამოცდილების მქონე ულენბეკს (1866—1951), რომელიც ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ზოგადი ენათმეცნიერებისადმი, ბასკურის გამოკვლევებში სტრუქტურალისტიკური იდეები შემოიტანეს იმ ენათმეცნიერებმა, რომლებიც, მათი ასაკის გამო, ამ საუკუნის მეორე მეოთხედში გამოჩნდნენ ასპარეზზე. ლ. მიჩელენა (L. Micheleua) ამჟღავნებდა სტრუქტურალისტიკური იდეების ძალზე დიდ გავლენას პირველივე ნაშრომის მიხედვით (დაახლოებით 1950). 1951 წელს, სტრუქტურალისტიკური სკოლის ლიდერმა ა. მარტინემ, ბასკური თანხმოვანთა სისტემის, მისი ამოსავალი ვითარებისა და აგრეთვე ბასკურში მახვილის საკითხის შესწავლას მოჰკიდა ხელი. მოგვიანებით „ერგატიული კონსტრუქციისა და გამონათქვამის ელემენ-

ტარული სტრუქტურების“ შესწავლის საფუძველზე მან წარმოგიდგინა ბასკური ფორმები და მათი დახასიათება; მისი თვალსაზრისით, ბასკური ისეთი ტიპის ენას წარმოადგენს, „რომელიც უარყოფს ქვემდებარე-შემასმენლურ სინტაგმას და გამონათქვამებს აგებს არსებობის შემასმენლის განსაზღვრებათა თანმიმდევრობის საფუძველზე“.

ა. მარტინეს მიხედვით, ბასკურში ყველაფერი დაიყვანება „მსაზღვრელ-საზღვრულის“ დამოკიდებულებამდე. 1956 წელს ჰანს ფოხტმა (Hans Vogt) გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი „შენიშვნები ბასკური ზმნის ფორმალური სტრუქტურის შესახებ“ (Remarques sur la structure formelle du verbe basque).

დავიწყე რა ბასკურისა და კავკასიური ენების შესწავლა 1926 წელს, უშუალო მოწმე გავხდი იმ პერიოდისა, როდესაც სტრუქტურული ლინგვისტიკა შეიქმნა. ამასთან დაკავშირებით მინდა მოკლედ მოგახსენოთ, თუ როგორ მოვიკიდე ხელი ბასკურისა და კავკასიურის კვლევას და როგორ წარვმართე იგი. განათლებით მე ფილოსოფიის სპეციალისტი ვიყავი. ჩემი ორიენტაცია ლინგვისტიკისაკენ გამოიწვია, ერთი მხრივ, ა. მარტინეს წიგნის „ბერძნული ენის ისტორიის ნარკვევის“ (Aperçue d'une histoire de la langue grecque) გაცნობამ 1918 წლის დამლევს, მეორე მხრივ, ენისა და აზროვნების ურთიერთობის, განსაკუთრებით კი ლოგიკური და გრამატიკული კატეგორიების ურთიერთობის პრობლემით ჩემმა დაინტერესებამ. იმ დროს წავიკითხე ფ. დე სოსიურის (F. de Saussure) „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“ (Cours de linguistique générale). მართალია, მაშინ სათანადოდ ვერ შევაფასე ამ წიგნის მნიშვნელობა, მაგრამ „ენისა“ (la langue) და „მეტყველების“ (la parole) გარჩევაში დავინახე არსი სოციალური მოვლენის დიურკჰეიმისეული (Durkheim) განსაზღვრებისა. გარდა ამისა, სინქრონიული და დიაქრონიული ენათმეცნიერების სოსიურისეულმა გარჩევამ გამახსენა „სოციალურ ფიზიკაში“ ან სოციოლოგიაში ოგიუსტ კონტის (Auguste Comte) მიერ დადგენილი განსხვავება სტატისკურ და დინამიკურ თვალსაზრისებს შორის.

მე არასოდეს მისწავლია მეიესთან (Meillet) ან ვანდრიესთან (Vendryes), მაგრამ მათ წიგნებსა და სტატიებში აღმოვაჩინე იმ პრინციპების განხორციელება, რომლებიც სოსიურმა და ამ ავტორებმა წამოაყენეს „ფილოლოგიისა და ლინგვისტიკის აუცილებელი ურთიერთკავშირის შესახებ“. უფრო მეტიც, მეიემ დაამტკიცა სისტემისა და სტრუქტურის ცნებათა მნიშვნელობა რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე სტრუქტურალიზმი შეიქმნებოდა. თავის ერთ-ერთ ენათმეცნიერულ სტატიაში, რომელიც 1915 წელს დაიბეჭდა სან-ფრანცისკოს გამოფენისათვის გამიზნულ გამოცემაში „ფრანგული მეცნიერება“ (La Science française

se), მეიე წერდა სოსიურის შესახებ: „ენა წარმოადგენს მკაცრად გამოხატულ სისტემას...სოსიურს უნდა ვუმაღლოდეთ იმას, რომ დაგვანახა, თუ როგორ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ყველაფერი ენობრივ სისტემაში“. თავის „ინდოევროპულ ენათა შესწავლის შესავალში“ (Introduction à l'étude comparative des langues indo-européennes) მეიე „მორფოლოგიური ელემენტების შესახებ ზოგად შენიშვნებს“ ასეთი დასკვნით აბოლოებს: „ყოველთვის ვერ აჩვენებენ რამდენად დანოკიდებულია ყველაფერი ერთმანეთზე ენობრივ სტრუქტურაში“ (მე-6 გამოც., 1924:155). მეშიედე გადამუშავებული გამოცემის (1934) შესავალში, რომელიც უკანასკნელი იყო მის სიცოცხლეში შესრულებული განოცემებიდან, მეიემ აღნიშნა, თუ რა განვითარება პოვა სოსიურის შეხედულებებმა ჩვენებასა და პრაღაში. ზემოდასხელებულმა შენიშვნამ შემდეგნაირი გამონათქვამის სახე მიიღო (გვ. 187): „ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული ენობრივ სტრუქტურაში“ (Tout se tient dans la structure d'une langue).

ორმა ნაშრომმა იქონია გადამწყვეტი გავლენა ჩემს ორიენტაციაზე; ერთი მხრივ, „მსოფლიოს ენებმა“ (Les langues du monde). რომელიც ენათმეცნიერთა ჯგუფმა გამოსცა ანტუან მეიესა და მარსელ კოენის (Marcel Cohen) ხელმძღვანელობით (1924); მეორე მხრივ, მეიეს რეცენზიამ ალფრედო ტრომბეტის (Alfredo Trombetti) წიგნზე „ბასკური ენის წარმოშობა“— Le origini della lingua basca (BSL XXVI.273, 1925). მე შევიტყე, რომ საფრანგეთში არაფერ სწავლობდა სამხრეთ კავკასიურ ენებს. ამასთანავე, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეიეს მსჯელობამ კავკასიური და ყუმიტური ენების (მათ ტრომბეტი ბასკურის ყველაზე ახლო მონათესავე ენებად მიიჩნევდა) შედარებითი გრამატიკის შედგენაზე, მეიეს აზრით, ეს იყო „ორი გადაუდებელი ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც ახალგაზრდა და გაბედულ მკვლევარებს ელოდა“.

მე გადავწყვიტე შემესწავლა ქართული და შემდეგ სხვა სამხრეთ კავკასიური ენებიც, რომლებიც ენათა კარგად განსაზღვრულ, ერთიან ჯგუფს ქნნიან. ჩემი გეგმები წერილით შევატყობინე მ. კოენს 1926 წელს და მან, მეიეს თანხმობით, მომიწოდა მოქმედებისაკენ. მან მიჩინა ბასკურშიაც ჩამეხედა და შემეფასებინა მარის თეორია ბასკურისა და კავკასიური ენების გენეტური ნათესაობის შესახებ. 1926 წლის სექტემბერში ლარაო-ში, ზენო სულის რაიონში (Larrau, Haute-Soule) შევხვდი კავკასიურის სპეციალისტს რუსეთიდან, ნიკოლოზ იაკოვლევს— მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორს. იაკოვლევი მის მთავრობას პარიზში გამოგზავნა და იგი რამდენიმე დღით ბასკეთის მთის სოფელში ჩამოვიდა რომელიღაც გამოკვლევის დასას-

რულებლად. მან მითხრა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შე-  
მოფარგლულიყავი მართო სამხრეთ კავკასიური ენებით და მირჩია  
კიდევ დამეწყო ჩრდილო კავკასიური ენებიდან ყველაზე უფრო არქა-  
ული ტიპის—აფხაზურისა და ჩერქეზულის შესწავლა. მან ამიხსნა ბო-  
დუენ დე კურტენეს (Baudouin de Courtenay) იდეების მნიშვნელობა.  
რუსეთში დაბრუნების შემდეგ მან გამომიგზავნა თავისი „ყაბარდოული  
ენის ფონეტიკური ტაბულები“—Таблица фонетики кабардинского  
языка (მოსკოვი, 1923), რომელშიაც მე პირველად ვნახე ტაბულის  
სახით წარმოდგენილი ფონემური სისტემა უშუალოდ სავლე პირო-  
ბებში ჩაწერილი ყაბარდოული ანუ აღმოსავლეთ ჩერქეზული სალაპა-  
რაკო ენისა. ავტორი თავის შრომაში ეყრდნობოდა ბოდუენ დე კურ-  
ტენეს იდეებს, რომელიც ფონემებს მადიდურენციკრებელ ფუნქციას მია-  
წერდა და, ამრიგად, ფონოლოგიის წინამორბედი იყო.

შემდეგ ვსწავლობდი ქართულს, ყაბარდოულსა და ბასკურს ერთ-  
დროულად. ბასკურის შესწავლას ორი ხერხათ შევეუდექი: ვკითხულო-  
ბდი ტექსტებს, წიგნებს, სტატიებს, განსაკუთრებით კი შუხარდტის  
34 გვერდიან შესანიშნავ ლინგვისტურ კომენტარს, რომელიც მან მიუ-  
ძღვნა ლისარაგას ცდომილი შვილის იგავის თარგმანს „ბასკური ენის  
ელემენტებში“ (Primitiae Linguae Vasconum). გარდა ამისა, ვსწავ-  
ლობდი ლაროს მეტყველებას უშუალოდ სოფელში. გაველი და ლაკო-  
მში მაწვდიდნენ რჩევა-დარიგებას პირველ ხანებში. დაბოლოს, ტრუ-  
ბეცკოის სტატიების, განსაკუთრებით კი კავკასიური ენების თანხმონა-  
ნთა სისტემისადმი მიძღვნილი ნაშრომების გამოჩენამ შესაძლებელი გა-  
ხადა გავცნობოდი ფონოლოგიას მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე  
და მივეყოლოდი მის განვითარებას.

## 2. ენის შესავალი—პერიოდიკა

ჰუგო შუხარდტმა (1842—1927) თავისი ხანგრძლივი მოღვაწეო-  
ბის დასასრულისათვის გამოაქვეყნა ორი მოკლე, მაგრამ მეტად მნიშ-  
ნელოვანი ნაშრომი: „ბასკური ენის ელემენტები: შესავალი ბასკურ  
ენაში“ Primitiae Linguae Vasconum: Einführung ins Baskische  
(1923), რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ, და „ბასკური ენა და ენათ-  
მეცნიერება“ Das Baskische und die Sprachwissenschaft (1925),  
რომელსაც მეიემ რეცენზია მიუძღვნა (BSL XXVI, 18—22, 1926):

მოკლე ნარკვევები ბასკური ენის შესახებ და მისი ზოგადი დახასი-  
ათება: კ. ულენბეის „ბასკური ენა და ზოგადი ენათმეცნიერება“ La  
langue basque et la linguistique générale (1947)—აქ აშკარად  
შეიმჩნევა წინსვლა ბასკურ ენათმეცნიერებაში ამავე მკვლევრის ადრე-  
ულ სტატიასთან შედარებით: „ბასკური გრაბატიკის ხასიათი“ Carac-

tère de la grammaire basque, რომელიც გამოქვეყნდა RIEB-ში II.505—34 (1908); ლაკომბის „ბასკური ენა“ La langue basque, კრებულში „მსოფლიოს ენები“ Les langues du monde (1952). ეს თავი 1938—1940 წლებში დაიწერა, რ. ლაფონის ბიბლიოგრაფია კი მხოლოდ 1953 წლის თებერვალში გამოვიდა, რ. ლაფონმა კრებულის ამ თავის რეცენზიაც დაწერა (1953); რ. ლაფონის „ბასკური ენის ზოგიერთი არსებითი თვისება“ Quelques traits essentiels de la langue basque (1951, a).

ბასკური გამოკვლევებისადმი მიძღვნილ ჟურნალებში გამოქვეყნდა და ქვეყნდება სტატიები და მოხსენებები ენის შესახებ, ძველი და თანამედროვე ტექსტები. ჟურნალ Revue internationale des études basques-ში (RIEB), რომელიც 1936 წლამდე გამოდიოდა, 1930 წელს გამოქვეყნდა I-დან XX-მდე (1929) ტომებში დაბეჭდილი წერილების სია, დაწყობილი ანბანის რიგზე. 1945 წლიდან RIEB შეცვალა ჟურნალმა Boletín de la Real Sociedad Vascongada de Amigos del País „მშვიდობის მომხრეთა ბასკური საზოგადოების ბიულეტენი“ (სან-სებასტიანი) (BRSVAP). ბასკური ენის აკადემიის შრომებისა და სტატიების პერიოდულ კრებულს წარმოადგენს Euskera (ბილბაო, 1920—35 და 1956 წლის შემდეგ). Gure Herria (GH) „ჩვენი ქვეყანა“ (ესტარიცი, ქვემო პირენეები Ustaritz, Basse-Pyrénées), გამოდის 1921 წლიდან; Bulletin du Musée Basque „ბასკური მუზეუმის ბიულეტენი“ (ბაიონა Bayonne), დაარსდა 1924 წელს; Eusko-Jakintza (EJ) „Connaissance des choses basques“ „ბასკური რეალიების ცოდნა“ (ბაიონა, 1947-დან 1957 წლამდე). 1967 წელს მანუელ აგუდისა (Manuel Agud) და ლუის მიჩელენას ხელმძღვანელობით გამოვიდა პირველი ნომერი „ბასკური ფილოლოგიის სემინარის წელიწადეულისა“ Annario del Seminario de filología vasca „Julio de Urquijo“, მიძღვნილი ბასკური ფილოლოგიისა და ენათმეცნიერებისადმი. წელიწადში უნდა გამოსულიყო ამ ჟურნალის ერთი ან ორი ნომერი.

Bulletin de la Société linguistique de Paris „პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების ბიულეტენი“ (BSL) აღრეც აქვეყნებდა და 1947 წლიდან კვლავ აქვეყნებს სტატიებსა და მოხსენებებს ბასკური ენის შესახებ. Via Domitia (VD), რომელიც ტულუზაში გამოდის 1952 წლიდან, ხშირად ბეჭდავს სტატიებს ბასკური ენათმეცნიერების, ფილოლოგიისა და დიალექტოლოგიის შესახებ (რუკებითურთ).

„უმაღლესი განათლების მიმომხილველმა“ Revue de l'Enseignement supérieur (პარიზი) 1967 წელს გამოაქვეყნა ლაფონის სტა-

ტია „ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება“ (La linguistique basque et caucasique), ბიბლიოგრაფიითურთ, გვ. 56—66.

### III. „ბასკურის გრამატიკები“

რამდენადაც ბასკური განსხვავებულ დიალექტებად იყოფა, ყველა ვისაც კი „ბასკურის გრამატიკა“ დაუწერია 1918 წლამდე თუ 1918 წლის შემდეგ, ეყრდნობოდა რომელიმე გარკვეული ნორმების მქონე დიალექტს, ე. წ. „სალიტერატურო“ დიალექტს: უფრო ხშირად ეს იყო ერთ-ერთი ცენტრალური დიალექტი, ლაბურდული ან გიპუსკოური, უფრო იშვიათად, ერთ-ერთი სასაზღვრო დიალექტი, ბისკაიური ან სულეტური. ეს ის დიალექტებია, რომლებზედაც ლიტერატურული ნაწარმოებები იქმნებოდა. გამორჩენილია ამ თვალსაზრისით სიზური (Cizain) — აღმოსავლეთ ქვემო-ნავარუსის კილო, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნეში ბასკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშის, ბერნარდ დეჩეპარეს (Bernard Dechepare) პოეზიის ენას წარმოადგენდა. ასეა თუ ისე, გამოქვეყნებული გრამატიკებიდან არც ერთი არ არის თანმიმდევრული, რადგან ისინი სასაუბრო ენის თავისებურებებსაც აღნიშნავენ ხოლმე და ზოგჯერ სხვა დიალექტების მასალასაც გულისხმობენ. გარდა ამისა, სტრუქტურალისტიკის მიუღებელი იქნება ის ფაქტი, რომ ისინი არ გახაზავენ ენობრივი სისტემის სტრუქტურას, მაშინაც კი, როდესაც ენის ზოგად დახასიათებას ცალკე თავი ეძლევა.

საკმარისია დავასახელოთ ი. ლოპეს-მენდისაბალის (I. López-Mendizabal) „ბასკური ენა“ (La lengua vasca) (1949), რომელიც გიპუსკოურს ემყარება და პაბლო დე სამარიპა ე ურანგას (Pablo de Zamarripa y Uranga) „ბასკური გრამატიკა (ბისკაიური დიალექტი)“ Gramática vasca (dialecto vizcaino) (1928, მე-7 გამოც. 1955). გველის „ბასკური გრამატიკა“ Grammaire basque (1929) ეძღვნება „მეტყველების ნაწილებს ზმნის გამოკლებით“. მართალია, ეს ძირითადად პრაქტიკული დანიშნულების ნაშრომია, მაგრამ მნიშვნელოვან თეორიულ მოსაზრებებსაც შეიცავს. ამ გრამატიკას საფუძვლად უდევს ლიტერატურული ლაბურდული, მაგრამ ავტორი სულეტურსაც ხშირად მიმართავს და ბისკაიურსაც იყენებს. მეორე ტომი, რომელიც ზმნას მიეძღვნა და რომელიც გველმა ლაკომბთან ერთად დაწერა, დასრულებული არ არის; მისი მხოლოდ 80 გვერდი იქნა გამოქვეყნებული 1937 წელს.

შესანიშნავია პიერ ლაფიტის (Canon Pierre Lafitte) „ბასკური გრამატიკა“ Grammaire basque (1944, მეორე გამოც. 1962). ავტორ-



ჩი თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ბასკი მწერალია. იგი ენათმეცნიერი არ არის და, როგორც ამას თვითონ აღნიშნავს, მას არ უცდია ლინგვისტური გამოკვლევა ეწარმოებინა. მისი წიგნი პრაქტიკული და ნორმატიული მიდგომის მაგალითია. ავტორი ცდილობს გარკვეოს, რა არის სწორი და დაადგინოს სალიტერატურო ენის ნორმები, რომელიც სამოცი წლის მანძილზე ემყარებოდა ძირითადად ლაბურდულს, მაგრამ უამრავ ნეუარულ ელემენტებსაც შეიცავდა და სულეტურის გავლენაც ეტყობოდა. არსებობს ტენდენცია, რომ ეს ენა გახდეს „საერთო მთელი კონტინენტალური ბასკეთისათვის“; ავტორი მას სალიტერატურო ნეუარულ-ლაბურდულს უწოდებს.

ამრიგად, ამ გრამატიკის ხასიათი სრულიად განსხვავებულია სტრუქტურული ენათმეცნიერული გამოკვლევისაგან. მიუხედავად ამისა, იგი აუცილებელია ბასკურის ყველა სპეციალისტისათვის და ზოგადი ენათმეცნიერების მკვლევრისათვისაც, თუ მას სურს ბასკურის აგებულებებისა და მისი ფუნქციების შესახებ ნათელი წარმოდგენა შეექმნას. კატეგორიები, რაჰლის მიხედვითაც დაყოფილია მასალა, შესაძლოა სადავო იყოს, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს განსხვავებული ფორმების ზუსტი ფუნქციების გარკვევას, რადგან ავტორმა, რომელიც ენის ღრმა მკოდნეა, თავის მასალას საილუსტრაციოდ დაურთო დიდი რაოდენობით გამოთქმები და წინადადებები ზუსტი თარგმანიურთ. გარჯა ამისა, მან ზმნური სისტემის ორი უმნიშვნელოვანესი თვისება შეამჩნია, კერძოდ, აწმყოსა და „ნამყო საეარაულოს“ („passé-évalué“) ფორმების დაპირისპირება და, მეორე მხრივ, მარტივი ფორმებისა (რომელთაც დახასიათება არა აქვთ „sans caractéristique“) და -ke სუფიქსიანი ფორმების დაპირისპირება (§ 415—417),

#### IV. ბგერათა სისტემა: ფონოლოგია, პროსოდია, პირსიფიკაცია

როგორც კი შევეცდებით მოვხანდინოთ ბასკურის ბგერათა სისტემის შესახებ დაწერილი შრომების კლასიფიკაცია, მაშინვე სიძნელეს წავეწყდებით; ზოგი შრომა ყველა დიალექტს ერთად განიხილავს, ზოგი კი მხოლოდ ერთი დიალექტის ან ადგილობრივი კილოს ვითარების აღწერას ცდილობს. ასეთი ნაშრომები უნდა გავაერთიანოთ „დიალექტოლოგიის“ სახელწოდებით, მაგრამ არის ისეთი ნაშრომებიც, რომლებიც, მართალია, ერთ დიალექტს ან ადგილობრივ კილოს ეძღვნება, მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობისაა, რადგან ისეთ ინფორმაციას გვაწვდის სტრუქტურისა და განვითარების შესახებ, რაც ერთდროულად რამდენიმე დიალექტისთვისაა დამახასიათებელი. რამდენადაც ეს კლასიფიკაცია პირობითია, ჩვენ მათაც განვიხილავთ ქვემოთ.

1918 წლის შემდეგ ორი ღირსშესანიშნავი შრომა გამოქვეყნდა: ანრი გაველის „ბასკური ფონეტიკის საფუძვლები“ (Éléments de phonétique basque) 1920 წელს და ლუის მიჩელენას „ბასკურის ისტორიული ფონეტიკა“ (Fonética histórica vasca) 1961 წელს.

ა. გაველი (1878—1959) დაიბადა ნორმანდიაში. სანამ ბასკურის სპეციალისტი გახდებოდა, იგი რომანული ენების მკვლევარი იყო და ასეთად დარჩა. სხვა რომანული ენების გარდა, მან ზედმიწევნით კარგად იცოდა ესპანური და გასკონიური ენები. მისი ცოლი სულეტელი (Souletine) იყო და ძალიან უყვარდა თავისი მშობლიური დიალექტი, რომელსაც დიდად აფასებდნენ მის ოჯახში. გაველი მალე გახდა ერთ-ერთი ძალზე დიდი ავტორიტეტი ბასკურში. მისი წიგნი, რომელიც მის სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენს, ბასკური ფონეტიკისადმი მიძღვნილი პირველი ზოვადი მიმოხილვაა; ამ ფუნდამენტურ ნაშრომში არც ერთი დიალექტი არ არის უგულვებელყოფილი. რასაკვირველია, მან ვერ მოახდინა ფაქტების ისეთი სისტემატიზაცია, როგორსაც ფონოლოგი გააკეთებდა, მაგრამ ძალიან ადვილია მისი მონაცემების ფონოლოგიის ენაზე გაღატაკებმა.

მომდევნო წლებში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან საკმარისია დავასახელოთ: ასკუეს „ბასკურის ფონეტიკა“ (Fonética vasca) (1919), რომელიც საინტერესო დიალექტურ მასალას შეიცავს; კ. ულენბეკის „ბასკური დიალექტების შედარებითი ფონეტიკისათვის. შესწორებანი“ (Zur vergleichenden Lautlehre der baskischen Dialekte. Berichtigungen) (1923), რომელიც მისი პირველი გამოკვლევის შევსებას და შესწორებას წარმოადგენს; ტ. ნავარო ტომასის (T. Navarro Tomás) „გიპუსკოურის წარმოთქმა“ (Pronunciación guipuzcoana) (1925); ჟან ლარასკეს (Abbot Jean Larrasquet) ინსტრუმენტალური ფონეტიკის ორი წიგნი, სულეტური დიალექტის შესახებ (1938, 1939), სურათებით, ნახაზებითა და პალატოგრაფებით.

ფონოლოგიური გამოკვლევები. ლ. მიჩელენას „ბასკურის ისტორიული ფონეტიკა“ (Fonética histórica vasca) ორ მნიშვნელოვან მიღწევას შეიცავს: მასში ბასკურისადმი მთლიანად ფონოლოგიური მიდგომაა განხორციელებული; გათვალისწინებულია ბასკური ენის უძველესი ფორმები (აკვიტანიური და გასკონიური ენები, შუა საუკუნეების ბასკური). ავტორი იყენებს ყველა ადრინდელ მნიშვნელოვან შრომას. იგი არ ცდილობს შეცვალოს ულენბეკის გამოკვლევა ან გაველის ნაშრომი, მაგრამ ამ ღირსშესანიშნავი წიგნის ავტორი მაინც მათზე შორს მიდის, რამდენადაც ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს განიხილავს ფონოლოგიური პრინციპების თვალსაზრისით. წიგნი ასახავს და ერთმანეთისაგან განასხვავებს ფონოლოგიის სინქრონიულ და დიაქრონიულ ას-

პექტებს. ავტორს ბევრი გამოუქვეყნებელი მონაცემი მოჰყავს თავისი მშობლიური კილოკავიდან, რენტერიადან Renteria (გიბუსკოური). იგი ითვალისწინებს ყველა დიალექტს; ჩრდილო და სამხრულ ზემო-ნავარუსს, სულეტურსა და რონკალურს (Roncalese) მის ნაშრომში უფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი, ვიდრე რომელიმე ადრინდელ გამოკვლევაში. იგი ეხება ყველა მნიშვნელოვან პრობლემას, მათ შორის მახვილის საკითხსაც, რომელიც ამ ნაშრომში პირველად არის წარმოდგენილი და განხილულია იგი ნათლად და გასაგებად. ამ ნაშრომში ავტორი ასევე პირველად იხილავს ფონოლოგიის თვალსაზრისით აკვიტანიელებისა (Aquitanians) და ბასკონიელების (Vasconians) ენას (რომელიც, ყველა სპეციალისტის აზრით, ბასკურის ადრინდელ ფორმას წარმოადგენს), შუა საუკუნეების დოკუმენტებში აღმოჩენილ ბასკურ საზოგადო სახელებს, ზედსართავებსა და საკუთარ სახელებს. ამრიგად, ბასკური ფონეტიკური სისტემის განვითარება იწყება ქრისტიანულ ეპოქაზე ცოტა ადრე, მისთვის თვალყურის გადევნება კი შეგვიძლია რამდენიმე საუკუნის ინტერვალის შემდეგ, შუა საუკუნეებიდან დღემდე. ნაშრომთა უმეტესობა, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, მიჩვენებს წიგნზე ადრეა გამოსული და მასში მოიხსენიება.

#### A. სინარონიული ფონოლოგია

ბასკური ბგერითი სისტემის არსებითი დახასიათება. ბასკურ დიალექტებს ერთიანად აქვთ ხუთი ხმოვანი  $i, e, a, o, u$ , რომლებიც ფონემებს წარმოადგენენ და მონაწილეობენ დიფთონგების წარმოებაში:  $ei, ai, oi, eu, au$ . თანხმოვანთა სისტემის განსაკუთრებულ თვისებებს წარმოადგენს: აპიკალური  $r$ -ს, ე. წ. მაგარი  $r$ -ს არსებობა, იგი ხმოვანთა შორის იწერება როგორც  $rr$  და ფონოლოგიურად განსხვავდება რბილი  $r$ -საგან (რომელიც იგივეა, რაც ესპანური  $r$ ); ალვეოლარულ-პალატალური სიბილანტები, რომლებიც განსხვავდება წმინდა სიბილანტებისგანაც და შიშინა სიბილანტებისგანაც (ეს უკანასკნელნი ყოველთვის რბილია); დაბოლოს, საფრანგეთის ბასკურ კილოებში არსებული ფშვინევიერი ხშულები, რომლებიც ჩვეულებრივი ხშულების ვარიანტებს წარმოადგენენ. ბასკურს არა აქვს მუდური ლაბიო-დენტალური სპირანტი, ყრუ  $f$ -ს შესაფერისი; ეს უკანასკნელიც საკუთრივ ბასკურ სიტყვებში არ გვხვდება, მხოლოდ ზოგ ექსპრესიულ სიტყვაში გვაქვს. რიგი თანხმოვნები შეიძლება რბილად წარმოითქვას.  $N, l, t, d$  ინარჩუნებენ თავიანთ ძირითად არტიკულაციას, მაგრამ რბილი  $r$  გადადის  $ll$ -ში. წმინდა, არამუდური სიბილანტის (იწერება:  $z$ ), ალვეოლარ-პალატალური სიბილანტის (იწერება:  $s$ ) და შესაბამისი ყრუ აფრიკატების დარბილება

გვაძლევს პალატალურ სპირანტებს (იწერება: x და tx). ოთხ არადარბილებულ სიბილანტს—ორ სპირანტსა და ორ აფრიკატს—შეესაბამება ორი დარბილებული ბგერა: პალატალიზებული სპირანტი და აფრიკატი. დარბილება ხშირად აფექტური ფუნქციის გამოშხატველია და კინოზობითობის ან საალერსო შინაარსს გადმოსცემს: zokho „კუთხე“, xokho „პატარა კუთხე, ნაცნობი კუთხე“. მაგრამ ყოველთვის ასე არაა: jan „შექმული“, jo „დარტყმული“, jaun „ბატონი“, ამ სიტყვების პირველი ბგერა ლაბურდულში გამოითქმის როგორც რბილი d. მაგრამ ისინი აფექტურ ფუნქციას მაინც არ იძენენ; ამასთანავე, ეს რბილი d არ მომდინარეობს ამოსავალი ჩვეულებრივი d-საგან. ამ შემთხვევაში სხვა დიალექტებში ამ სიტყვების პირველი ბგერა წარმოითქმის როგორც jod ან ესპანური jota ან როგორც ფრანგული i (მაგრამ უფრო რბილი).

ფ შ ვ ი ნ ვ ა (იხ. Lafon 1948). სპირანტი h და ფშინვიერი ხშულები მხოლოდ პირენეების ჩრდილო დიალექტებში გვხვდება. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც პოლიტიკური საზღვარი, რომელიც აქ ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს, ემთხვევა ენობრივ საზღვარს. აუცილებელია განვასხვაოთ h ანლაუტში, ხშულებში: ph, th, kh და ბგერათმომღევრობებში: nh, lh, rh (აქ მარცვლის საზღვარი გადის n, l, r-სა და h-ს შორის, იხ. ზემოთ, გვ. 13). ანლაუტის h გარკვეულ დიალექტებში წარმოადგენს ფონემას, რომელიც კონტრასტულად უპირისპირდება ნულს (თავკიდურში ხმოვანია): hala „ამრიგად“, ala „ან“. ფშინვიერი ხშულები ჩვეულებრივი ყრუ ხშულების ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენენ. არ არსებობს ისეთი ekharri, რომელიც განსხვავდებოდეს ekarri-საგან „მოტანილი“. გვექნება ან ერთი ან მეორე, დიალექტისდა მიხედვით, ზოგჯერ კი იმის მიხედვით, თუ რაზეა ლაპარაკი; კონტრასტულად უპირისპირდება იგი egarri-ს „მწყურვალი, წყურვილი“. ეს ფშინვიერები ამოსავალ ფორმებს არ წარმოადგენენ, რაც კარგად ჩანს შემდეგი მაგალითებიდან: bortha „კარი“, ლათინური porta-საგან; apherila „აპრილი“ aprilis-საგან. დაბოლოს, h-ს არსებობა n, l, r-ს შემდეგ (alhor „მინდორი“ წარმოადგენს alor-ის ვარიანტს) არ განასხვავებს სიტყვებსა თუ გრამატიკულ ფორმებს.

ბასკურის არც ერთ დიალექტში არ არსებობს სიტყვა, დაბოლოებული ლაბიალური ბგერით (m, p, b), მეღერი ხშულით, f-თი, h-თი, ან იმ თანხმოვნით, რომელსაც ასო j გადმოგვეცემს. ბასკური სიტყვა არასოდეს არ იწყება r-თი, არც რბილითა და არც მაგარი r-თი. ამიტომ, როცა ბასკური r-თი დაწყებულ სიტყვას სესხულობს, მას აუცილებლად ემატება წინ პროთეტული ხმოვანი (ჩვეულებრივ e ან a) და r-ც. მაგარი ხდება: errege „მეფე“, arraposta, erreposta „პასუხი“.

ბასკურ სიტყვას არა აქვს ორმაგი თანხმოვნები.

ყრუ ხშულები ხმოვნებს შორის ცვლილებას არ განიცდიან; მკლე-რი ხშულები კი შესაძლოა იქცნენ სპირანტებად, რომლებიც ხშულე-ბის უბრალო ვარიანტებს წარმოადგენენ, ან შეიძლება დაიკარგონ კიდევ.

ხმოვანი *ll* (ფრანგული *lune*-ის *u*-ს ტიპისა) გვხვდება მხოლოდ თანხმოვნის წინ ან სიტყვის ბოლოს სულეტურში (მაგამ არა რონ-კალურში) და აღმოსავლეთ ქვემო-ნავარულში, მიშესა (*Mixe*) და ბარლოსის რაიონებში. ბგერათმომღერობები *lla*, *lli* გვხვდება აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვემო-ნავარულის ზოგ დიალექტში.

ყველა ბასკურ დიალექტს ერთნაირი ფონეტიკური სისტემა არა აქვს. თანამედროვე ლიტერატურული ლაბურდულის ფონეტიკური სისტემა (*Lafon 1952: 11—21*) მოიცავს ხუთ ხმოვანსა და ხუთ დიფთონგს, რომლებიც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, და ოც თანხმოვან ფონემას. ესენია: ლაბიალური *p* და *ph*, *b*, *m*; ლაბიალურ-დენტალური *f*; აპიკალურ-დენტალური *t* და *th*, *d*, *n*, *j* (აღნიშნავს რბილ *d*-ს); ლატერალური *l*; აპიკალური ნარნარები *r* და *rr*; სიბილანტები *z* და *tz*; ალვეოლარ-პალატალური სიბილანტები *s* და *ts*; პალატალური (რბილი) სიბილანტები *x* და *tx*; დორსალურები *k* და *kh*, *g*; ლარი-ნგალური *ll*. რბილი *n*, *t* და *l* ფონემებს არ წარმოადგენენ.

ყველაზე მდიდარი და რთული ფონეტიკური სისტემა აქვს სულეტურს; ერთია მხოლოდ, რომ მან დაკარგა რბილი ინტერვოკალური *r* და, შესაბამისად, რბილი და მაგარი *r*-ს ფონოლოგიური ოპოზიცია: *hari* „ძაფი“ იქცა *hai*-დ (მონოსილაბურია), *harri* „ქვა“ კი არ შეცვლილა (*Lafon 1958*).

მახვილი და ინტონაცია. ჩვენ მხოლოდ სულეტურის მასალას შევვებით, რადგანაც სხვა დიალექტებში მახვილს არა აქვს გარკვეული ადგილი. მტკიცებითი წინადადების ბოლო, ყოველ შემთხვევაში ბასკურის ფრანგულ დიალექტებში, აღინიშნება. ხმის დაწვეით. წინადადების მელოდიკური ნახაზი არასაკმარისად არის შესწავლილი. სულეტური მახვილი ინტენსიურ მახვილს წარმოადგენს და ამავე დროს ტონურიც არის. მისი ადგილი გარკვეული წესების მიხედვით განისაზღვრება და ძირითადად ბოლოდან მეორე მარცვალზე მოდის. მისი ადგილი სიტყვის დაბოლოების შეცვლასთან ერთად იცვლება. ზოგ ზმნურ ფორმებში (ფამილარული მიმართვის ფორმებში, მრავლობითის გარკვეულ ფორმებში), სიტყვებში, რომელთაც დიფთონგი აქვთ ბოლო მარცვალში და, ასევე ნასესხებ სიტყვებში მახვილი ბოლო მარცვალზე მოდის. მაგალითად, *méñdi* „მთა“ (განუსაზღვრელი ფორმა), *mendiá* „მთა“ (განსაზღვრული ფორმა), *mendiétan* „მთებში“; *du* „მას ის აქვს“, *die* „მთ ის აქვთ“ (ნეიტრალური ფორმა), *dié* და

diñé, ამავე მნიშვნელობით (სასაუბრო, ფამილარული მიმართვის ფორმები); diñát „მე ის მაქვს“, giñáგუ „ჩვენ ის გვაქვს“ (სასაუბრო, ფამილარული მიმართვის ფორმები); zía „თქვენ ხართ“ (ზრდილობიანი ფორმა); ziadá, zidá „თქვენ (მრ.) ხართ“; zúhán „ხე“ (zúhán-ისაგან), úhátz „მთის ნაკადული, მდინარე“, მაგრამ húgei „ოცი“. მიმდევრობები -ia, -úa, განსაკუთრებით ბოლო მარცვალში, ხშირად გადადის -i-სა და -ú-ში, სალიტერატურო ენაშიაც კი. ეს კი ზრდის ოქსიტონების რაოდენობას: mendían „მთაში“, leiuák „ფანჯრები“ (განსაზღვრული ფორმა), semía bezála „ვაჟიშვილის (განსაზღვრ.) მსგავსად“, guían „ჩვენ ის გვეკონდა“ (იმპერფექტი), banúak „მივდივარ“ (მამრობითი სასაუბრო) იქცევა: mendín, leihúk, semí'bezála, guín, banúk. ზემოჩამოთვლილ მაგალითებში იხმარება როგორც სრული, ასევე შემოკლებული ფორმები, მაგრამ ყოველთვის ასე არ არის ხოლმე. მაგალითად elíza „ეკლესია“ (განუსაზღვრელი ფორმა). ადგილი შესამჩნევია, რომ elizá „ეკლესია“ (განსაზღვრული ფორმა), მომდინარეობს სრული ფორმისაგან \*elizá-a, რომელიც აღარ იხმარება.

ამრიგად, ბოლო მარცვალზე დასმული მახელი ხშირად მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ადგილი ჰქონია ხმოვანთა ამოვარდნას. ამის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ადრეულ ფორმათა რეკონსტრუქცია. როგორც ვხედავთ, მახელის თანამედროვე ვითარების შესწავლა მნიშვნელოვანია დიაქრონიული ფონოლოგიისა და მორფოლოგიისათვის. მაგალითად, თუ შევადარებთ ginén „ჩვენ ვიყავით“ (იმპერფექტი) და gináte „ჩვენ ვიქნებოდით“, დავინახავთ, რომ პირველი ფორმა მომდინარეობს \*giná-e-ისაგან, რომელშიაც ნამყო დროის სუფიქსი წარმოდგენილი იყო -en-ის სახით. სულეტურში მრავლობითის დაბოლოებანი ერგატეში, გენეტიეში, დატიესა და ინსტრუმენტალისში: -éx, -én, -ér, -éz მიღებულია უმახვილო სუფიქსების: -e-k, -en, -er, -e-z დართვის შედეგად მრავლობითის \*-áგ სუფიქსზე, რომელიც, იქცა რა სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალად, მახვილიანი გახდა. ხოლო მრავლობითის ნომინატივის უმახვილო ფინალური -ak სხვა არაფერია, თუ არა \*-ag რომლის \*-g დაყრუვდა სიტყვის ბოლოს.

მახელს ზოგჯერ დისტინქციური, მორფოლოგიური ფუნქცია აქვს: elíza „ეკლესია“ (განუსაზღვ.), elizá „ეკლესია“ (განსაზღვ.); bí gi-zúnen „ორი კაცისა“ (განუსაზღვ.), bí gizunen „ორი კაცისა“ (განსაზღვ.); díe და dié „მთ ის აქვთ“ (ნეიტრალური ფორმა; მამრ., სასაუბრო, ფამილარული მიმართვის ფორმა); zía „თქვენ ხართ“, zíá „ის იყო“ (იმპერფექტი; მამრ. სასაუბრო); ídik განუსაზღვრელი ერ-

გატივი *idi*-საგან „ხარი“, *idik* წარმოადგენს *idiak*-ის ვარიანტს, მრავლობითი ნომინატივი და მხოლოობითი ერგატივი.

მახვილისათვის ძირითად ერთეულს უმეტესად სიტყვა წარმოადგენს, მაგრამ გვაქვს უმახვილო სიტყვებიც. მაგ., *eta* „და“ (კავშირი), რომელიც ჩვეულებრივ პაროქსიტონს წარმოადგენს, უმახვილოა *zu eta ni*-ში „შენ და მე“; *ikhúsi dit*-ში „მე დავინახე ის“, მეშველი ფორმა (*dit*) ხშირად უმახვილოა. მახვილი სიტყვათა საზღვარზე მიგვანიშნებს. ასე მაგალითად, წინადადებაში: *ikhúsi dit zúe alhabá háen amaéki* „მე ვნახე თქვენი ქალიშვილი დედამისთან ერთად“, სიტყვათა სიტყვით: „ნანახი, მე ის მაქვს, თქვენი, ქალიშვილი, მისი, დედასთან ერთად“, მახვილის ადგილი შესაძლებლობას გვაძლევს გამოვყოთ ერთი სინტაგმა თავისი ელემენტებითურთ და ოთხი სიტყვა. მაგრამ ყოველთვის ასე არ არის: ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ სიტყვა დაბოლოებულია მახვილიანი მარცვლით, მისი მომდევნო უმახვილო მარცვალი (სიტყვის ბოლო მარცვალი) კი შემდეგს სიტყვას მიეკუთვნება. ზემოხსენებული წინადადების ბოლო ზოგჯერ ასეა წარმოდგენილი: *há eu amaéki*. ასევე სინტაგმები: *Larrañéko úháitza* „ლაროს შთის ნაკადული“ (*Larrañe*—ლარო), *alhabáen begiak* „ქალიშვილის თვალები“ ზოგჯერ გამოითქმის როგორც *Larrañé ko-úháitza*, *alhabá em-begiak*. ამგვარი დაყოფისა და დემარკაციის მაგალითები არასოდეს ყოფილა აღნიშნული. საჭიროა ისინი უკეთ შევისწავლოთ, გავზომოთ პაუზები და დავადგინოთ მელოდიკური ნახაზები.

როგორ ეთანხმება ერთმანეთს სულეტურში ხმის დაწევა, რომელიც წინადადების ბოლოს აღნიშნავს, და ტონის სიმალლე? ეს საკითხი საგანგებოდ არ ყოფილა გამოკვლეული. შეგვიძლია მოვიყვანოთ მხოლოდ ზოგიერთი პირადი დაკვირვება, ჩატარებული ხელსაწყოების გარეშე. ავიღოთ წინადადება: *ikhúsi dit zúe alhabá* „მე ვნახე თქვენი ქალიშვილი“. ბოლო *a* წარმოითქმის უფრო დაბალი ტონით, ვიდრე *zue*-ს *u*. თუ *alhabá* აღარ იქნება ბოლო სიტყვა, ვთქვათ ისეთ წინადადებაში, როგორიცაა: *ikhúsi dit zúe alhabá eta arrebá* „მე ვნახე თქვენი ქალიშვილი და (თქვენი) და“, მაშინ უკვე *arrebá*-ს ბოლო *a* იქნება უფრო დაბალი ტონით წარმოთქმული და არა *alhabá*-სი. ასევე წინადადებაში: *ikhúsi dit zúe alhabá háen amaéki*, ბოლო სიტყვის *e* წარმოითქმის უფრო დაბალი ტონით, ვიდრე წინამავალი ორი მახვილიანი *a*; ბოლო, უმახვილო მარცვალი *-ki* წარმოითქმება უფრო ნაკლები ძალით, ვიდრე *é* და, ამასთანავე, უფრო დაბალი ტონითაც.

სულეტურის ვითარების მსგავსი შოვლენები შეიმჩნევა გეოგრაფიულად მეზობელ დიალექტებში, აღმოსავლეთ ქვემო-ნავარულის რაიონში (მიშესა და ბარდოსის რაიონებში). რაც შეეხება მახვილის საკითხს რონკალურში, სულეტურის დღეს თითქმის გამკრალ კილოში, იგი გარკვეულ შემთხვევებში ხვდება სულეტურს, რიგ შემთხვევებში კი განსხვავდება მისგან (Michelena, 1961).

მიჩელენამ შეაგროვა და გამოიკვლია თავისი „ფონეტიკის“ მე-20 და 21-ე თავებში ძალზე მნიშვნელოვანი მასალა სხვადასხვა ეპოქისა და დიალექტების მონაცემების მიხედვით. იმედი გვაქვს, რომ იგი გააგრძელებს კვლევას ამ მიმართულებით და შექმნის თეორიას მახვილისა და მისი განვითარების შესახებ ბასკურ დიალექტებში.

## B. დიაქრონიული ფონოლოგია

დიაქრონიული ფონოლოგიის ნებისმიერი საკითხის შესახებ მკითხველმა უნდა მიმართოს მიჩელენას „ფონეტიკას“. აკვიტანიურის, ბასკონიურის და შუასაუკუნეებისეული ფორმების გამოკვლევამ მას შესაძლებლობა მისცა ნათელი მოეფინა გარკვეული საკითხებისათვის. ასე მაგალითად, ინტერვოკალური l-სა და h-ს საკითხისათვის. საკითხები, რომლებიც ჯერაც გადაუჭრელია, როგორცაა: ყრუ ხშულის გამკლერება ანლაუტში, h-სა და ასპირირებული ხშულების წარმომავლობა, დამარცვლისა და მახვილის საკითხები, აი ის პრობლემები, რომლებიც მარტინესა და მიჩელენას მნიშვნელოვანი გამოკვლევების ობიექტებს წარმოადგენენ.

რამდენიმე სტატიაში, რომელთაგან პირველი ჯერ კიდევ 1934 წელს გამოიცა, ლათინმა გაარკვია, რომ u-საგან ü-ს მიღება თანხმონის წინ (რბილი r-სა და s-ს გამოკლებით) და სიტყვის ბოლოს სულეტურსა და მის მოსაზღვრე დიალექტებში წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს ბასკეთის აღმოსავლეთ ნაწილში, განსაკუთრებით კი ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში მოქმედი ტენდენციისა ნახევარ-ხმოვანი u-ს პალატალიზაციისაკენ. ასე მაგალითად, ლაბურდულისა და ესპანეთის ბასკურის დასავლეთ დიალექტების zu-ს „თქვენ“, su-ს „ცეცხლი“, banu-ს „მე რომ ის მქონდა“, nuen-ს „მე ის მქონდა“, eskuia-ს „ხელი“ (განსაზღვ.) აღმოსავლეთის გარკვეულ რაიონებში შესაბამება: zü, sü, banü, nüin, niin, nian, eskuia, esküia, esküa, eskia; gauza-მ „ნიეთი“ (ლათ. causa-საგან) მოგვცა gaiza. ეს ტენდენცია ყველაზე ძლიერია სულეტურში და სუსტდება, რაც უფრო შორს მივიდვართ დასავლეთისაკენ. ეს გამოწვეულია ბასკურის კონტაქტით იმ ენებთან, რომელთაც ü ხმოვანი აქვთ (გასკონიური; პროვანსალური ნა-



ვარაში, ზეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეთოთხმეტე საუკუნემდე).

### C. ვარსიფიკაცია

სიმღერას, უფრო სწორად ლექსს, რომელიც სიმღერით წარმოითქმის, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბასკების ცხოვრებაში. ბასკური ლექსი დღესაც იმ ვარაუდით იწერება, რომ სიმღერით შესრულდეს; მგლოდია, ჩვეულებრივ, ტრადიციულია. ხულიო კარო ბაროხა (Julio Caro Baroja) სრულიად სამართლიანად აღნიშნავს (Caro Baroja 1949 : 477): „წარმოუდგენელია ბასკური ლექსი მუსიკის გარეშე, რაგინდ ელემენტარულიც არ უნდა იყოს მისი მგლოდია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლექსი განსაკუთრებით სერიოზულ თემას ეხება, ან როდესაც მისი ავტორი ესპანური ან ფრანგული სალიტერატურო მწერლობის აშკარა გავლენას განიცდის“.

ბასკური ლექსი რითმინაა; თუმცა არაეინ ცდილობს შეარჩიოს მდიდარი ან იშვიათი რითმები. ზოგჯერ მხოლოდ მარტივ ასონანსს მიმართავენ. ყოველ ლექსს, ძირითადად, მარცვლების გარკვეული რაოდენობა ახასიათებს. არსებობს რამდენიმე მეტრიკული სქემა, მათ შორის: 8 პლუს 7 მარცვალი, 7 პლუს 6, 7 პლუს 7. მარცვლების რაოდენობა ხშირად საინტერესო ცნობებს გვაწვდის წარმოთქმის შესახებ. ასე, მაგალითად, ირკვევა, რომ სიზურში დეჩეპარეს დროსაც (1545), დღევანდელი ვითარების მსგავსად, semia-ს „ვაეიშვილი“ (განსაზღვ.) მხოლოდითი ნომინატივი გამოითქმებოდა ხან სამმარცვლიანად, ხან კი —ორმარცვლიანად; სიტყვის ბოლო ხმოვნები ამოვარდებოდა ხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ; რბილი r ხმოვნებს შორის იკარგებოდა, რის შედეგადაც ორი ხმოვანი შეირწყმოდა და გვაძლევდა ერთ ხმოვანს ანდა დიჟთონვს. სულეტელი პოეტები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმის მიხედვით, თუ რა ფორმებს აძლევენ უპირატესობას —სრულსა თუ შერწყმულს. ეს უთუოდ საინტერესო მასალას მოგვაწვდის სტატისტიკური ანალიზისათვის.

პარიჩელარმა (J. Haritschelhar) სენტ-ეტიენ-დე-ბაიგორიდან (Saint-Etienne-de-Baigorry) 1961 წლიდან მოყოლებული საინტერესო სტატიები გამოაქვეყნა ბასკური ლექსის სტრუქტურის შესახებ ესპანურ, ფრანგულ და გასკონიურ ლექსებთან შედარებით. 1968 წლის სექტემბერში დაასრულა მან სულეტელი გლენი-პოეტის ეჩაპოუნისადმი Etchahoun (1786—1862) მიძღვნილი სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ბევრს რასმე ახალს გვატყობინებს პოპულარული ბასკური პოეზიის აგებულებისა და ზეპირი გზით მისი გავრცელების შესახებ. ავტორი წერს: „არსებობს შეხედულება, რომ ბასკისათვის სიმღერაში

მთავარია სიტყვები და არა მელოდია. ცხადია, რომ პოეტის უპირველესი მიზანია რაიმე გვითხრას, მაგრამ ამას იგი მუსიკის მეშვეობით ახორციელებს. შეიძლება ითქვას, რომ მუსიკა წარმოადგენს პოეტური გადმოცემის სულსა და გულს. პოეტი, ჩვეულებრივ, არ თხზავს მელოდიას. იგი მიმართავს ძველ მელოდიას და წერს ამ მელოდიაზე ახალ სიმღერას. პოეტის მიერ მელოდიის აღნიშვნა სიმღერაში შედარებით ახალი მოვლენაა, იგი XIX საუკუნის შუა წლებიდან მომდინარეობს. ფრანგული სიმღერების მსგავსად, ბასკურ სიმღერებსაც „ყალბი ტემბრების“ ლაბირინთში შევყავართ, რაც, თუ მათი აღქმა და გაგება შევძელით, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ სიმღერათა ქრონოლოგია, რომელიც მეტწილად ცნობილი არ არის. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ სიმღერამ შეიძლება შეიცვალოს მელოდია. ბასკურ მელოდიებს ახასიათებს პატარა ინტერვალები, მინორისადმი გარკვეული უპირატესობის მინიჭება, აშკარა სიმარტივე და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, სილაბურობა. მუსიკათმცოდნეებმა მასში ბევრი უცხოური გავლენა აღმოაჩინეს, რაც ძირითადად მე-18 საუკუნიდან მომდინარეობს. მაგრამ ბასკური სიმღერის ფორმა ამაზე გაცილებით ადრე არსებობდა. იმ სიმღერებიდან, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ზოგი მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნეებით თარიღდება. ბასკური მეტრიკის ყველა გამოკვლევამ უნდა გაითვალისწინოს ლექსი, სტროფი და მუსიკა, რომლებიც ჩვეულებრივ მონაწილეობენ პოეტურ შემოქმედებაში, რაც არც თუ ისე ადვილია ქრონოლოგიის უქონლობისა და ზეპირი ლიტერატურის ცვალებადი ხასიათის გამო“ (Haritschelhar, 1969).

## V. მორფოლოგია

„ბასკურის გრამატიკების“ გარდა, მორფოლოგია შესწავლილი აქვს ასკუეს თავის ნაშრომში „ბასკური მორფოლოგია“ *Morfología vasca* (1925), 930 გვერდიან წიგნში, რომელშიაც მან თავისი გამოკვლევებისა და ტექსტების ანალიზის შედეგები გამოიყენა. ეს ნაშრომი წინააღმდეგობებს შეიცავს და მოუწესრიგებელია. როგორც ლაკონში აღნიშნავს (BSL XXVI/ 2. 274, 1925), „ნაშრომის მიზანი ნათელი არ არის: ეს არც განსხვავებული დიალექტების შედარებითი გრამატიკაა, არც რომელიმე გარკვეული დიალექტის ისტორიული გრამატიკა და არც ცალკე აღებული ერთი კილოს აღწერა, მასში ცოტა-ცოტა ყველაფერია მოცემული ერთდროულად“. უფრო მეტიც, ავტორს არც კი უცდია ენობრივი სისტემის ზოგადი დახასიათება წარმოედგინა. მიუხედავად ამისა, ეს წიგნი ბევრ ინფორმაციასა და მითითებებს შეიცავს, მოყვანილია ბევრი ზმნური ფორმა, განსაკუთრებით ბისკაიურიდან,

ამათგან ზოგი არქაულია, ზოგიც—ახალი. ამიტომ ამ ნაშრომის გაცნობა აუცილებელია.

ბასკური ისეთი ენაა, რომელშიაც სიტყვების ანალიზი არ არის გაძნელებული, აფიქსები, რომლებიც დაერთვის ძირს ან ფუძეს, ან სხვა აფიქსებს, ადვილად გამოიყოფა. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი ძირითადად აგლუტინაციას მიმართავს. მიუხედავად ამისა, რიგ შემთხვევაში ძირზე, ფუძეზე თუ რომელიმე აფიქსზე სხვა ნიშნის დართვამ ფონეტიკური ცვლილებები გამოიწვია, რამაც, თავის მხრივ, არაწესიერი ფორმების გაჩენას შეუწყო ხელი. მაგრამ დიალექტური მონაცემებისა და განსხვავებული ტექსტების შედარება ზოგჯერ შესაძლებელს ხდის ადვადგინოთ უფრო ძველი ფორმები, რომლებშიაც აფიქსები რეგულარულად მიერთვის ამოსავალ ან აფიქსიან ფორმებს.

უღვლილება მიმართავს როგორც პრეფიქსებს, ასევე სუფიქსებს, ბრუნება კი—მხოლოდ სუფიქსებს. მორფოლოგიური ელემენტები, გამოყენებული უღვლილების დროს, განსხვავდება ბრუნებისათვის გამოყენებული ელემენტებისაგან. დერივაცია ძირითადად სუფიქსების საშუალებით ხორციელდება; პრეფიქსები აქ მხოლოდ უმნიშვნელო როლს ასრულებენ.

#### A. ძ ი რ ი

ულენბეკმა შეისწავლა ბასკური ძირების სტრუქტურის განსხვავებული ტიპები თავის 1942 წლის გამოკვლევაში, რომელიც ფრანგულად ითარგმნა სათაურით: *Les couches auciennes du vocabulaire basque „ბასკური ლექსიკის უძველესი ფენები“* (EJ 1947).

ძირი ზოგჯერ მარტივი სახით მოგვევლინება, უპრეფიქსოდ და უსუფიქსოდ. ასეთია სახელის ძირები განუსაზღვრელ ნომინატივში, ზოგი ზმნური ფუძე და ხმოვნით დაწყებული ძირის მქონე გარდაუვალი ზმნების მეორე პირი, მხ. რ. *ni* „მე“, *su* „ცეცხლი“, *ur* „წყალი“, *hitz* „სიტყვა“, *harri* „ქვა“, *har* „აღება“, *oa* „წალი“, სულეტ. *ajgũ* „მოდლი“ შესაძლოა ორი ძირი, ერთი სახელური და მეორე ზმნური, ომონიმური იყოს. ასე მაგალითად, *har* „წალიება“ და *har* „ქია“ (იხ. Lafon 1950).

ე-ზე ან ი-ზე დაბოლოებული სიტყვების ძირებში ზოგჯერ ეს ხმოვნები *z* ხმოვნით იცვლება: *luze*-საგან „გრძელი“ ვიღებთ *luzatu* „დაგრძელება“, *zilho*-საგან „ხვრელი“ *zilhatu* „თხრა“. ეს ერთადერთი სახის ცვლილებაა, რაც ბასკურ ძირს ახასიათებს.

#### B. კ ა ბ ე რ ი ა ბ ი

სქესისა და რიცხვის კატეგორიების შესახებ იხ: Lafon 1947, 1954 b და 1957 b.

ბრუნვის ნიშნების ტაბულა

	საზოგადო არსებითი სახელები და ზედსართავეები					
	საკუთარი სახელები		განუსაზღვრელი ბრუნება		განსაზღვრული ბრუნება	
					მსოლოობითი	მრავლობითი
1. ნომინატივი (სახელობითი)	ნული	ნული	A			ak
2. ერგატივი (მოთხრობითი)	(e) k	(e) k	A k			ek*
3. დატივი (შიცემითი)	[r] i	[r] i	AR i			ei,ori,er*
4. პირველი გენეტივი (პირველი ნათესაობითი)	[r] en	[r] en	AR en			ou*
5. უნიტივი (თანაობითი)	[r] ekin	[r] ekin	AR ekin			ekin
6. მეორე გენეტივი (მეორე ნათესაობითი)	(e) ko	(e) TA ko	(e) ko			ETA ko
7. ინსტრუმენტალისი (მოკმედებითი)	(e) z	(e) z	A z			ez*
8. ინესივი (შიგმყოფობითი)	(e) n	(e) TA n	A n			ETA n
9. ლატივი (მიმართულებითი)	(e) ra(t)	(e) TA ra(t)	(e) ra(t)			ETA ra(t)
10. აბლატივი (დაშორებითი)	(e) tik	(e) TA rik	(e) tik			ETA rik
11. პარტიტივი (ნაწილყოფითი)	[r] ik	[r] ik	არ არსებობს			

(e): ხმოვანი, ინტერპოლირებული თანხმოვნებს შორის; (r): თანხმოვანი. ინტერპოლირებული ხმოვნებს შორის.

\* სულეტურში მრავლობითის დაბოლოებები -ek, -er, -en, -ez მახვილიანია.

C. ბრუნება

ბრუნებაში არ აისახება გრამატიკული სქესების გარჩევა. ყველა არსებითი სახელი და ზედსართავი ერთნაირად იბრუნვის, ბრუნვის ნი-

შნები მიერთვის ფუძეს, ხოლო თანდებულები მიერთვის სახელის ფუძეს ან ბრუნვის ნიშნიან ფორმას.

სალიტერატურო ლაბურდულში ბრუნება არ შეცვლილა უძველესი ტექსტების დროიდან.

ატრიბუტიული ზედსართავი დაისმის არსებითის შემდეგ და წარმოადგენს იმ ელემენტს, რომელსაც ბრუნვის ნიშნები მიერთვის. თუ ზედსართავი ერთზე მეტია, მხოლოდ ბოლო მათგანი იბრუნვის. მაგალითად, *etxe* „სახლი“, *berri* „ახალი“, *etxe berri* „ახალი სახლი“, *etxearen* „სახლისა“, *etxe berriaren* „ახალი სახლისა“, *etxe berrihandiaren* „დიდი ახალი სახლისა“. სინტაგმა, შედგენილი არსებითი სახელისა და მისი მომდევნო ერთი ან მეტი ზედსართავისაგან, მოქმედებს როგორც ერთი არსებითი სახელი.

საზოგადო არსებითი სახელებისა და ზედსართავების ბრუნება ხასიათდება სამი სახის ფორმათა ზოდიფიკაციებით. რაც გვაძლევს ე. წ. განუსაზღვრელს, მხოლოდობითსა და მრავლობითს. განსაზღვრული ბრუნება, თავისი მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმებით, განსხვავდება განუსაზღვრელისაგან, რომელიც რიცხვს არ განარჩევს. განუსაზღვრელი ნომინატივი სახელის ფუძეს წარმოადგენს: *harri* „ქვა (ქვები)“, *harria* „ქვა“ (განსაზღვ.), *harriak* „ქვები“ (განსაზღვ.). *Harritz beste* შეიძლება ითარგმნოს როგორც „ქვით სავსე“ ან „ქვებით სავსე“. რიცხვით სახელთან განუსაზღვრელი ფორმა იხმარება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა: *lau harri* „ოთხი ქვა“ (განუსაზღვ.), *lau harriak* „ოთხი ქვა“ (განსაზღვ., მრ. რ.).

ფუძის ბოლო თანხმოვანი ვერ ძლებს ბრუნვის ნიშნისეული თანხმოვნის გვერდით და მათ შორის *e* ჩაერთვის. საკუთარი სახელებისა და სხვა სახელების ბრუნების განუსაზღვრელ ფორმებში იმავე პოზიციაში ხმოვნებიც ვერ ძლებენ ერთმანეთის გვერდით და მათ შორის რბილი *r* ჩაერთვის: *seme* „ვაეიშვილი“, განუსაზღვ. გენეტივი *seme-r-en*. შდრ.: განსაზღვ. გენეტ. *ეს. რ. seme-aren* და გენეტ. მრ. *რ. seme-en*.

სალიტერატურო ლაბურდულში ბრუნვის ნიშნების დართვა მხოლოდობითსა და მრავლობითში მხოლოდ შემდეგი ორი სახის ცვლილებებს იწვევს ფუძეში: *ა-ზე* დაბილოებული ფუძე კარგავს ამ *ა-ს* *ა-ზე* ან *ე-ზე* დაწყებული სუფიქსის წინ; თუ ფუძე ბოლოვდება *ე-ზე*, მაშინ ორმა *ე-მ* შეიძლება შერწყმის შედეგად მოგვცეს ერთი *ე*. დილაქტების უმრავლესობაში ფუძის ბოლო ხმოვნის შეხვედრა სუფიქსისეულ *ა-სა* და *ე-სთან* ფონეტიკურ ცვლილებებს იწვევს: *seme*, *semia* „ვაეიშვილი“ (განსაზღვ.); *zeru* „ცა“ (განუსაზღვ.), *zeria* ან *zeria* „ცა“ (განსაზღვ.). სულეტურში ბრუნვის ნიშნების

დართვა მახვილის ადგილის შეცვლასაც იწვევს: *zélü* „ცა“ (განუსაზღვ.), *zelükó* „ცისა“ (განსაზღვ.), *zelia* „ცა“ (განსაზღვ.); *eliza* „ეკლესია“ (განუსაზღვ.), *elizá* „ეკლესია“ (განსაზღვ.) (სხვა დიალექტებში, ბისკაიურის გამოკლებით, *eliza* ერთნაირად გამოითქმის განუსაზღვრელ ნომინატივშიაც და მხოლოობითის ნომინატივშიც).

ადგილისა და პიროვნების აღმნიშვნელ საკუთარ სახელებში ბრუნვის ნიშნები უშუალოდ ფუძეს მიერთვის, რაც ადრეული სისტემის დამახასიათებელი თვისებაა. საზოგადო არსებითი სახელებისა და ზედსართავების ბრუნებისას კი ბრუნვის ნიშნები მიერთვის ან წმინდა ფუძეს ან აფიქსიან ფუძეს. მრავლობითში მხოლოდ *e* ჩანს ნათლად სულეტურში, რადგანაც აქ იგი მახვილიანია. ამ დიალექტში მრავლობითის ერგატივი *gizunek* (*gizun*-ისაგან „კაცი“) განსხვავდება განუსაზღვრელი ერგატივისაგან *gizúnek*. ჩვეულებრივ, მრავლობითის ერგატივი არაფრით არ განსხვავდება განუსაზღვრელი ერგატივისაგან (*gizonek*), მაგრამ სულეტურთან შედარება ნათელყოფს, რომ განუსაზღვრელის *e* (*gizonek*) შემაერთებელ ხმოვანს წარმოადგენს (*gizon-e-k*), მრავლობითი *-ek*-ის *e* ხმოვანი კი მრავლობითის ერგატივის ნიშანს განეკუთვნება (*-ek* განსხვავებით მხოლოობითის *-ik*-ისა და განუსაზღვრელის *-k* საგან). მსგავსი ვითარებაა პირველი გენეტივისა და ინსტრუმენტალისის დაბოლოებებშიაც.

ბრუნებათა სისტემა ერთგვაროვანი არ არის, მასში განსხვავებული ფენები გაირჩევა (იხ. ბონაპარტის, ვენსონის, ვან ეისის 'van Eys', შუხარდტის, გველისა და ლაკომბის შრომები; აგრეთვე: Lafou 1960: 192—9). *Ta* თავდაპირველად დერივაციულ სუფიქსს წარმოადგენდა, მისი ფუნქცია ცნობილი არ არის; *a/ar* მესამე პირის ჩვენებითის ფუძეა; *e* (მახვილიანი სულეტურში) მომდინარეობს \**-ag-e*-საგან (იხ. ზემოთ, გვ. 27); *eta*, რომელიც ხშირად გვხვდება ტოპონიმებში, უთუოდ ლათინური კრებითი სუფიქსის *-etum*-ის მრავლობითს წარმოადგენს. უნიტივი მომდინარეობს სინტაგმისაგან, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „(მათთან) ერთად“. სუფიქსი *-tik* (ზოგ დიალექტში *-ti*) სხვა არაფერია, თუ არა იგივე *-ti* სუფიქსი, რომელიც ზედსართავების წარმოებაში მონაწილეობს; მას პარტიტივის *-k* მიერთვის თითქმის ყოველთვის. სუფიქსი *-ko*, რომელიც მიერთვის როგორც ძირითად ფუძეს, ასევე ინსტრუმენტალისის, ჩნისივისა და ლატივის სუფიქსებს, თავდაპირველად იხმარებოდა სახელთა დამატებების საწარმოებლად, რომელთაც ზოგჯერ ზედსართავებად მიიჩნევენ; მოგვიანებით ისიც ბრუნებაში გაერთიანდა. ეს ნიშანი არ დაერთვის ცოცხალ არსებათა აღმნიშვნელ სახელებს. პარტიტივი თავდაპირველად აბლატივის ფუნქცი-

ით იხმარებოდა და წარმოშობის ადგილს აღნიშნავდა. სულეტურმა და ბისკაიურმა შეინარჩუნეს ამგვარი ხმარების კვალი.

სახელი ან სახელური სინტაგმა გენეტივში (-en, -e, -ko) კმნის ახალ სახელს ან სინტაგმას, რომელიც შეგვიძლია ვაბრუნოთ: gizona-rena „ის, რაც კაცისაა“, gizonenak „ისინი, რაც კაცისაა“. ბასკურში აქტიური ანუ ერგატიული ბრუნვა ყოველთვის ნიშნითაა წარმოდგენილი, განსხვავებით უნიშნო ნომინატივისაგან. იმ ზმნების სუბიექტი, რომლებიც გამოხატავენ მდგომარეობას, ან მდგომარეობის შეცვლას, ან ისეთ მოქმედებას, რომელიც არ გადადის გარეშე ობიექტზე, ნომინატივში დგას; იმ ზმნებთან კი, რომლებიც გამოხატავენ ისეთ მოქმედებას, რომელიც მოქმედის\* (agent) და მოქმედების საგანს\* (recipient) გარჩევას მოითხოვს, ნომინატივში დგას მოქმედების საგანი, მოქმედი კი ერგატივშია: haurra hemen dago „ბავშვი აქ რჩება“; haurrak ikusi du gizona „ბავშვმა დაინახა კაცი“; gizonak ikusi du haurra „კაცმა დაინახა ბავშვი“. სამი ბრუნვა უკავშირდება ფუნქციონალურად ზმნაში არსებულ პირის ნიშნებს: ნომინატივი, ერგატივი და დატივი: *ღ*- აღნიშნავს სუბიექტს *dag*-ში „ის რჩება“, და მოქმედების საგანს *du*-ში „მას ის აქვს“; ამ მეორე ფორმაში მოქმედი მესამე პირისა, მხოლოდობითში აღნიშნულია აფიქსის უქონლობით (ნულოვანი სუფიქსით). *Gizona dagoka haurrari aldean* „კაცი რჩება ბავშვის გვერდით“; რაც სიტყვისიტყვით ნიშნავს: „კაცი მასთან რჩება ბავშვთან გვერდით“; *-ka* ნიშნავს „მასთან“.

პარტიტივი ენაცვლება საზოგადო სახელებისა და ზედსართავების განუსაზღვრელ ნომინატივს უარყოფითისა და კითხვით წინადადებებში: *ez dago hemen haurrik* „აქ აღარ დარჩა (დარჩნენ) არც ერთი ბავშვი (ბავშვები)“.

გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებს პირის ნაცვალსახელებისა და, განსაკუთრებით, ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნვა:

### პ ი რ ი ს ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი :

! პირველი პირი, მხ. <i>ni</i> , გენეტ. <i>ene</i>	პირველი პირი, მრ. <i>gu</i> , გენეტ. <i>gure</i>
მეორე პირი, მხ. <i>hi</i> , ი. გენეტ. <i>(h)ire</i>	მეორე პირი, ზრდილ. <i>zu</i> (ძველი მრ. გახდა მხ. ზრდილობიანი ფორმა, გენეტ. <i>zure</i> )
	მეორე პირი, მრ. <i>zuek</i> , გენეტ. <i>zuen</i>

\* ავტორი ე. წ. გარდამავალი ზმნების სუბიექტსა და ობიექტს აღნიშნავს ტერმინებით: მოქმედი (agent) და მოქმედების საგანი, მოქმედების მიმღები (recipient). ამის საპირისპიროდ გარდაუვალ ზმნებთან ზმნობის ტერმინს „სუბიექტი“ (მთარგმნ. შენიშვნა).

შემდეგი სამი ჩვენებითი ნაცვალსახელი იხმარება პირის ნაცვალსახელ-  
ბად: *haur, han, au* „ეს“, *hori, ori* „ეგ“, *hura, ura*, ბისკაიურში  
„ის“. მესამე პირის ჩვენებით ნაცვალსახელსაც ახასიათებს ან-  
ფორული ხმარება. მხოლოდობითის სხვა ბრუნვათა ფუძეები შემდეგი  
სახისანი არიან: (h)on-, (h)orr-, (h)ar-. მესამე პირის ჩვენებითმა  
ნაცვალსახელმა განსაზღვრულ ბრუნებაში გააჩინა a/ar ნიშანი მხოლო-  
ობითის რამდენსამე ბრუნვაში.

კითხვითი ნაცვალსახელებია: *nor* „ინ?“ *zen* „რა?“ ძველ ენაში  
ისინი განუსაზღვრელი ნაცვალსახელის ფუნქციასაც ასრულებდნენ:  
„ვილაც“, „რალაც“.

აქა-იქ გვხვდება უფრო ძველი სისტემის გადმონაშთები. ასე, მაგა-  
ლითად, მრავლობითის სუფიქსი *-t(zu) batzu*-ში „ზოგი (მრ. რ.)“  
შღრ. *bat* „ერთი“; ან კიდევ აბლატივ-პარტიტივის სუფიქსი *-r-can*  
ძველ ბისკაიურში.

#### D. ზმნა

ზმნის სირთულე უპირისპირდება ბრუნების სიმარტივეს. ზმნური  
ფორმა ბასკურში შესაძლოა შეიცავდეს სამამლე პირის ნიშანს და აგ-  
რეთვე წინადადებაში მისი როლის აღმნიშვნელ აფიქსსაც. უღელილე-  
ბის ძირითადი სქემა მარტივია; მაგრამ დეტალებია ხშირად რთული.

დაახლოებით 1936 წელს მე შევეუდექი მეთექვსმეტე საუკუნის  
ტექსტებში მოცემული ზმნური ფორმების ყოველმხრივ შესწავლას,  
შევეცადე გამერკვია ფუნქციები იმ განსხვავებული აფიქსებისა, რომ-  
ლებიც დაერთვის ძირებს ან სხვა აფიქსებს და ამეწერა მათი სისტემა.  
ამ სამუშაოს ჩატარებისას არ მიხელმძღვანელია წინასწარი ცნებებით  
რომანული, კავკასიური ან სხვა წარმომავლობის ენების სფეროდან.  
გავითვალისწინე ვანდრიესის მოსაზრებები აქტივისა და პასივის, გარ-  
დამავლობისა და გარდაუვლობის კატეგორიებს შორის არსებული გან-  
სხვავებების სისუსტის შესახებ (Le langage, გვ. 125). შევეცადე მე-  
ჩვენებინა, როგორი იყო ამ აფიქსების ხმარება ერთად თუ ცალ-ცალ-  
კე, რა ნიშანი მოითხოვდა სხვა ნიშნის არსებობას. ამის შემდეგ, რამ-  
დენიმე სტატიაში ჩამოვაყალიბე და დავაზუსტე ჩემი შეხედულებები  
ამ საკითხებზე, რის საფუძველზეც 1943 წელს გამოვაქვეყნე წიგნი სა-  
თაურით: „ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში“ *Le système du*  
*verbe basque au XXVIe siècle*. მე უკვე აღარ ვთარგმნიდი მეორე  
კლასის ზმნურ ფორმებს ფრანგული პასივით, როგორც ამას შუხარ-  
დტი აკეთებდა და სხვებსაც მოუწოდებდა, რამდენადაც იგი ბასკური  
გარდამავალი ზმნის „პასიურობის თვალსაზრისზე“ იღვა. ეს მეთოდი  
მე ახლა გაუმართლებლად მეჩვენებოდა. ვცდილობდი, აგრეთვე, გან-



მესაზღვრა, რამდენად ჰგავდა „პიროვან“ ფორმებს (პირველს ან მეორეს) და რამდენად განსხვავდებოდა მათგან მესამე პირის ფორმები— „უპირო“ ფორმები, როგორც მათ ე. ბენვენისტმა უწოდა.

ბასკური ზმნის სტრუქტურასა და ფუნქციებში რომ გავერკვიოთ, აუცილებელია განვიხილოთ შემდეგი საკითხები:

1. ორი ზმნური კლასის დაპირისპირება
2. პიროვანი და უპირო ფორმები
3. მარტივი და რთული ფორმები
4. ძირითადი ფორმები:

a) პირის ნიშნები:

(I) სუბიექტი

(II) მოქმედების საგანი და მოქმედი

(III) ობიექტი, რომლისთვისაც მოქმედება სრულდება

(IV) შოსაუბრის დამოწმება

(სუბიექტის ნიშნები ორი ტიპისაა, ასევეა მოქმედების საგნისა და მოქმედის ნიშნებიც, რაც ფორმათა ორი ჯგუფის არსებობითაა შეპირობებული; ამის საპირისპიროდ ნიშნები ობიექტისა, ვისთვისაც მოქმედება სრულდება, ორივე ჯგუფისათვის საერთოა).

b) ნამყო დროის სუფიქსი

5. სინტაქსური ფუნქციის არმქონე სუფიქსები, რომლებიც ძირითად ფორმებს მიერთვის:

a) განუსაზღვრელობის სუფიქსი —-ke, -te, -teke

b) პრეფიქსები ai- (ვოტივი) და al bait- (პრესკრიპტივი)

6. სინტაქსური ფუნქციის მქონე მორფემები, რომლებიც მიერთვის ძირითად ფორმებსა და განუსაზღვრელობის სუფიქსიან ფორმებს:

a) რელატიური სუფიქსი -n

b) სუფიქსი -la

c) პრეფიქსი ხa-

d) პრეფიქსი bait-

7. დრო-კილოთა ფორმები

8. ორი ჯგუფის ფორმებს შორის არსებული დაპირისპირების მნიშვნელობა.

პიროვან ზმნურ ფორმათა მაგალითები

I კლასი: ძირი (root) გი-„ღარჩენა“, ზმნური ფუძე (radical) ego-. პირველი ჯგუფი: nago „მე ვრჩები“, ago „შენ რჩები; ღარჩი“ dago

„ის რჩება“, მეორე ჯგუფი: bego „დარჩეს!“ nengoen „მე ვრჩებო-  
დი“, ბისკაიურში egaoan, სხვა დიალექტებში zegoen, zagoan „ის  
რჩებოდა“, banengoi „მე რომ დავრჩენილიყავი“, nengoke „მე დავ-  
რჩებოდი“.

II კლასი: ძირი kar- „მოტანა, ტარება, მოყვანა“, ზმნური ფუძე  
ekar. პირველი ჯგუფი: dakart „მე ის მომაქვს“, dakar „მას ის მო-  
აქვს“, nakar „მას მე მოყვავარ“, nakark „შენ მე მოგყავარ“. მეორე  
ჯგუფი: bekar „მან ის მოიტანოს!“, nekarren „მე ის მომქონდა“,  
nenkarren „შენ მე მოგყავდი“, banekar „მე რომ ის მომეტანა“,  
nekarke „მე მას მოვიტანდი“.

1. ზმნათა ორი კლასი. ბასკური ზმნები, მათი სინტაქსური ფუნქ-  
ციისა და პიროვანი აგებულების მიხედვით ორ კლასად იყოფა. მათ  
გარდაუვალად და გარდამავალს უწოდებენ. მაგრამ ბასკურში ამ ტერ-  
მინებს იგივე მნიშვნელობა არა აქვთ, რაც, ვაჭკვთ, ლათინურსა და  
რომანულ ენებში. პირველი კლასის ზმნები არ შეიცავენ მოქმედის ნი-  
შანს და უღვლილებაში არ შეითანხმებენ სახელს ან ნაცვალსახელს  
ერგატივში; მეორე კლასის ფორმები კი შეიცავენ მოქმედისა და  
მოქმედების საგნის ნიშნებს და უღვლილებაში უთანხმდებიან ერგატივს.

პირველი კლასი აღნიშნავს მდგომარეობას, მდგომარეობათა ცვლილე-  
ბას და ისეთ მოქმედებას, რომელიც ობიექტს არ მოითხოვს: „ყოფნა“,  
„დარჩენა“, „გახდომა, გადაქცევა“, „წასვლა“, „დაცემა“, „სიარული“,  
„ლაპარაკი“. ამ კლასის ზმნები ყოველთვის შეიცავენ პირის ნიშანს,  
რომელიც პრეფიქსს წარმოადგენს და ნომინატივის როლს ასრულებს;  
უღვლილებაში ისინი უთანხმდებიან სახელს ან ნაცვალსახელს ნომი-  
ნატივში, რომელიც მათ სუბიექტს წარმოადგენს. ისინი, შესაძლოა,  
შეიცავდნენ აგრეთვე დატივის სუფიქსს, რომელიც აღნიშნავს, თუ  
ვის ან რის მიმართ სრულდება მოქმედება (რეფერენტი). ასე მაგალით-  
თად, „გაყოლა“ ზმნა წარმოადგენს ნომინატივში დასმული სუბიექტ-  
ტისა და დატივში დასმული რეფერენტის კომბინაციას.

მეორე კლასის ზმნები გამოხატავენ ისეთ მოქმედებას, რომელსაც  
ერთი პიროვნება ან საგანი (მოქმედი) ასრულებს მეორეზე (მოქმე-  
დების საგანი). ისინი მრავალრიცხოვან პროცესებს აღნიშნავენ. ეს  
ზმნები შეიცავენ ერგატივში დასმული მოქმედის ნიშანს და მოქმედე-  
ბის საგნის ნომინატივის ნიშანს. ამ კლასის გარკვეულ ზმნებს ყოველ-  
თვის აქვს მე-3 პ. მხოლოდობითი მოქმედების საგნის ნიშანი, რომელიც  
განუსაზღვრებლ რასმე აღნიშნავს, მაგრამ წინადადებაში მათ არასო-  
დეს არ უკავშირდება ნომინატივში დასმული სახელი. ასე მაგალითად:  
iraun „გაგარქლება“, iraki „აღულება“; ის, რაც გრძელდება, ის, რაც  
დულდება, ერგატივში დგას; ამრიგად, გაგარქლება და აღულება წარ-

მოდგენილია როგორც მოქმედებები, რომლებიც ეხება განუსაზღვრელ, ზოგად რასზე.

მოქმედების საგნის პირის პრეფიქსები ემთხვევა სუბიექტის პრეფიქსებს; ამათთანავე, გარდამავალი ზმნის პიროვანი ფორმები ისევე უკავშირდება ერგატივს, როგორც მათი ნამყოს მიმღობის ფორმები, რის საფუძველზედაც შეხარლტი დაასკენის, რომ გარდამავალი ზმნა ბასკურში პასიური ბუნებისაა. მართლაც, *მ-3* პირს განურჩევლად სქესისა, *dakusa-შია* „იგი ხედავს მას“ და *მა-შია* „ის არის“; *dakusa-ც* ითანხმებს ერგატივს *haurrak* (*haur-ისაგან* „ბავშვი“) და მისი ნამყოს მიმღობაც *ikusi* „ნანახი“. ისევე როგორც *haurrak ikusi gizona* ნიშნავს: „კაცი დანახული ბავშვის მიერ“, *haurrak dakusa gizona-ც* („ბავშვი ხედავს კაცს“) ზუსტად იქნება: „კაცი არის დანახული (ის არის დანახული მის მიერ) ბავშვის მიერ“.

მაგრამ ბასკურში გარდამავლობის ამგვარი „პასიური ინტერპრეტაცია“ სერიოზულ წინააღმდეგობებს შეიცავს. ჯერ ერთი, ბასკურს აქვს ისეთი ფორმები, რომლებიც, შესაძლოა, პასივად მივიჩნიოთ და რომლებიც იწარმოება მეშველი ზმნების „ყოფნისა“ და „განხომის, გადაქცევის“ დახმარებით. მარტივ ფორმას *dakusa* „იგი მას ხედავს“ და მის ეკვივალენტურ რთულ ფორმას *ikusten du*, სიტყვასიტყვით: „მას ის აქვს მხედველობის არეში“, შეესაბამება *ikusten da*, სიტყვასიტყვით: „ის არის მხედველობის არეში“, რაც შეიძლება ნიშნავდეს: „იგი დანახულია“ ან „ვინმე ხედავს მას“, ან „ის ხედავს თავის თავს“. მაგრამ ამ ბოლო ფორმას არ შეიძლება დაემატოს მოქმედის აღმნიშვნელი სახელი ან ნაცვალსახელი ერგატივში.

*Dakusa-სა* „ის ხედავს მას“ და *daroa-ში* „ის აიძულებს მას წავიდეს“ მნიშვნელობის მქონე ელემენტებს წარმოადგენენ მხოლოდ ძირები (*kus-*, *roa-*) და *მე-3* პ. მოქმედების საგნის პრეფიქსები (*მ-*); *-ა-* შემეართებელი ხმოვანია: *dakusa-ს* ბოლო *ა-ს* არავითარი მორფოლოგიური ფუნქცია არ გააჩნია (ზოგ დიალექტში ამბობენ *dakus*). მეორე კლასის ზემოჩამოთვლილი ფორმები შეიძლება დაუკავშირდეს პირველი კლასის ფორმებს: *მაჯი* „ის რჩება“, *მა* „იგი არის“ (ძირები: *გი*, *ა*). თუ *dakusa-ს* „იგი მას ხედავს“ შევედარებთ *dakusat-სა* „მე ვხედავ მას“ და *daknsak-ს* „შენ ხედავ მას“, ადვილად შევამჩნევთ, რომ მასში არ არის წარმოდგენილი *მე-3* პ., მხ. მოქმედის ნიშანი. მაგრამ ამის საფუძველზე ვერ დავასკენით, რომ ზმნა „ხედავს“ აღიქმება და იწარმოება პასივად და რომ *dakusa* ზუსტად ნიშნავს: „იგი არის დანახული (მის მიერ)“, ხოლო *dakusat-ს* „იგი არის დანახული ჩემს მიერ“. იმ ფაქტიდან, რომ *მ-* აღნიშნავს მოქმედების საგანს და არა მოქმედს, სრულიადაც არ გამოიმდინარეობს, რომ მეორე კლასის ფორ-

მები, რომლებშიაც ეს ხდება, პასივის ფორმებს წარმოადგენენ. პრინციპულადაც, არ არის სწორი დავასკვნათ, რომ თუ ფორმა აქტივში არ დგას, მაშინ იგი პასივშია. ამისათვის საკმარისია გავითვალისწინოთ ის ენები, სადაც აქტივის უპირისპირდება საშუალო გვარი და არა პასივი.

ჩვენი შემთხვევაც ამგვარია—პირველი კლასის ზმნები გამოხატავენ ისეთ პროცესებს, რომლებიც არ საჭიროებენ მოქმედისა და მოქმედების საგნის დაპირისპირებას. მეორე კლასის ფორმები კი მოითხოვენ ამგვარ დაპირისპირებას. ზმნის გარეთ მათი აღნიშვნა აუცილებელია მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოქმედება ეხება ორ სხვადასხვა არსებას ან ობიექტს და მათი გარჩევაა საჭირო. პირველი კლასის ზმნებში ასეთი შემთხვევები არა გვაქვს.

პირველი კლასის ზმნებში სუბიექტის აღნიშვნა აუცილებელი არ არის. რაც შეეხება მეორე კლასის ზმნებს, განსაკუთრებით კი უპირო ფორმებს, აქ ნიშნის უნდა იყოს მოქმედი—ის, ვისგანაც მოქმედება მომდინარეობს. იგი ერგატივშია დასმული. იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან გაირჩეს მოქმედი და მოქმედების საგანი, ეს უკანასკნელი არ არის ნიშნით წარმოდგენილი. ამრიგად, იგი ზმნის გარეშეა დატოვებული, პირველი კლასის ზმნის სუბიექტის მსგავსად. ამიტომ ბუნებრივია, რომ ზმნაში იგი იმავე აფიქსებით აღინიშნება, რომლებითაც პირველი კლასის ზმნების სუბიექტია აღნიშნული. ამავე დროს, ეს ერთარება გვიხსნის იმ ფაქტს, რომ მე-3 პ. მხ. მოქმედის მქონე ფორმები შესაძლოა დაემთხვეს პირველი კლასის ფორმებს, რომელთა სუბიექტი იმავე პირშია. მე-3 პ. მხ., რომელიც უპირო ფორმას აწარმოებს, შესაძლოა არ იყოს მოცემული ზმნაში, რადგანაც იგი აღინიშნება ერგატივის დაბოლოებით, როცა მოქმედი გამოხატულია ზმნის გარეშე. ამრიგად, აფიქსთა ეკონომია განხორციელებულია იმით, რომ მეორე კლასის ზოგი პიროვანი ფორმა შეიძლება დაემთხვეს პირველი კლასის ფორმებს. როცა აუცილებელია პირის (კერძოდ, პირველი ან მეორე პირის) ან უპირო მრავლობითის აღნიშვნა, მაშინ ამ თანხედენილ ფორმებს დაემატება მოქმედის პირის ან მრავლობითის გამომხატველი ნიშნები.

2. პირიანი და უპირო ფორმები. პირველნი, რომლებიც განსხვავდებიან დროთა და კილოთა მიხედვით, შესაძლოა შეიცავდნენ ერთიდან ოთხამდე პირის ნიშანს; ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანია. უპირო ფორმები კი, საფრანგეთის ბასკების დიალექტების (და ამ დიალექტების პირენეების სამხრეთით მდებარე კილოების) ზმნათა უმრავლესობაში მხოლოდ სამია: ნამყოს მიმლეობა, ზმნური ფუძე (radical) და ნაზმნარი სახელი (verbal noun): ebili, ebil, eбилte „სიარული“; ikusi, ikus, ikuste „ხედვა“; hartu, har, hartze „აღება“.

ნამყოს მიმღეობა და ნაზმნარი სახელი იწარმოება ზმნურ ფუძეზე შეძლევი სუფიქსების დართვით: -i, -tu (ეს უკანასკნელი ლათინურიდანაა ნასესხები); -te, -tze. ლექსიკონებში სიტყვები დალაგებულია და მოცემულია მათი ნამყოს მიმღეობის ფორმათა მიხედვით. ნამყოს მიმღეობა და ნაზმნარი სახელი იბრუნვის როგორც ნებისმიერი ზედსართავი ან არსებითი სახელი. ზმნური ფუძე არ იბრუნვის. იგი უბრალოდ ზმნურ ილეს გამოხატავს. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ზნა, განსხვავებული მოდალური მნიშვნელობებით, რომლებიც კონტექსტზეა დამოკიდებული (მაგ., ინტექპორალური თხრობითი, ნარატიული კილოს ინფინიტივი, ბრძანებითი), ან როგორც ატრიბუტიული ზედსართავი მეშველ ზმნასთან ერთად: *ebil dadin* „რომ იაროს“ (კავშირებითი), სიტყვასიტყვით: „რომ მან დაიწყოს სიარული“; *har dezan* „რომ აილოს“. სიტყვასიტყვით: „რომ აალებინოს მას იგი“. თავისი მნიშვნელობით ის ხან აქტივია, ხან კი პასივი; მისი გვარი (დიათეზა) ამბივალენტურია. ზოგი პიროვანი ფორმა ნაწარმოებია ზმნური ფუძიდან, რომელიც იულელის.

როდესაც ნამყოს მიმღეობა დაბოლოებულია -n-ზე, -ki-ზე ან -o-ზე, მაშინ არა გვაქვს მისგან განსხვავებული ზმნური ფუძის ფორმა; მიმღეობა ამ შემთხვევაში ორივე ფუნქციას ითავსებს. მეორე მხრივ, თანამედროვე ბისკაიური, გიპუსკოური, ჩრდილო და სამხრეთ ნავარული არ განარჩევენ უღელილებში ზმნურ ფუძესა და მიმღეობას; ამბობენ: *ebili dadin, artu dezan*.

ნასახელარი ზნების ზმნური ფუძე ემთხვევა იმ არსებითებსა და ზედსართავებს, რომელთაგანაც ეს ზმნებია ნაწარმოები, რადგანაც ნამყოს მიმღეობა არსებითებსა და ზედსართავებზე -tu დაბოლოების დართვით იწარმოება და, თუ მას ამ სუფიქსს ჩამოვაშორებთ, ისევ ამოსავალ არსებით სახელს ან ზედსართავს მივიღებთ. სახელებისაგან: *handi* „დიდი“; *gizon* „კაცი“, *gure* „ჩვენი“ (გენეტ. *gu*-საგან „ჩვენ“), *diziplina* „დისციპლინა“ იწარმოება მიმღეობები: *handitu* „გაზრდილი“, *gizondu* „კაცად ქცეული“, *guretu* „ჩვენად ქცეული“, *dizipli natu* „დისციპლინირებული“. შესაბამისი ზმნური ფუძეები -tu-ს გარეშე იგივეა, რაც ამოსავალი სახელები.

3. მარტივი და რთული ფორმები. ზოგი პირიანი ფორმა მარტივია (ან ძლიერი), სხვები კი შედგება ერთ-ერთი მეშველი ზმნის („ყოფნა“, „გადაქცევა“, „ქონა“, „ვეთება“) მარტივი პირიანი ფორმისა და ძირითადი ზმნის უპირო ფორმისაგან: ნამყოს მიმღეობის ძირითადი ფუძის ან -en და -ko სუფიქსიანი გენეტის ფორმიდან; ზმნური ფუძისაგან, ან თუ იგი არა გვაქვს, ნამყოს მიმღეობისაგან; -n სუფიქსიანი (ინესივი) ნაზმნარი სახელისაგან. ნამყო დროში გვაქვს ორმაგი

რთული ფორმები, ფრანგულის მსგავსად *ehili izan naiz "j'ai en marché*. „ვიარე“. თანამედროვე სალიტერატურო ლაბურდულში მარტო რვა ზმნაა დარჩენილი ისეთი, მეშველი ზმნების გამოკლებით, რომელსაც გარკვეული მარტივი დროების წარმოება შეეძლოს. მეუაქესმეტე საუკუნეში კი ორმოცდაათამდე ასეთი ზმნა მაინც იქნებოდა. მაგრამ მაშინაც უმეტესობას მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის მარტივი ფორმების წარმოება შეეძლო. ბევრად მდიდარი იყო მარტივი ფორმებით ის ოთხი ზმნა, რომელიც დღეს მეშველ ზმნებად გამოიყენება.

ბასკურში, თუ მეშველი ზმნების უღლება ვიცით, თითქმის ყველა სხვა ზმნაც შეკვიძლია ვაუღლოთ. ძირითადი ზმნის უპირო ფორმებისა და მეშველი ზმნის პირიანი ფორმების შეთანხმების წესები ძალზე მარტივია. პირიანი ფორმები მრავალრიცხოვანია; უმეტესობა მათგან მოულოდნელი აგებულებისაა, ზოგი კი სრულიად ანომალიურია.

4. ძირითადი ფორმები. ეს ისეთი ფორმებია, რომლებიც შეიცავენ მხოლოდ ძირს ან ზმნურ ფუძეს და პირის ნიშნებს, პლუს, თუ საქიროა, ნამყოს დაბოლოებასაც. მტკიცებითი სი ნაწილაკისა და უარყოფის აღმნიშვნელი *ez-*ის დაშატება მათში ცვლილებას არ იწვევს: *dakit* და *badakit* „მე ეს ვიცი“, *ez dakit* ან *extakit* „მე ეს არ ვიცი“.

#### a) პირის ნიშნები:

ორი ტიპის ნიშნები არსებობს სუბიექტისათვის და მოქმედისა და მოქმედების საგნისათვის. მარტივი ფორმების ის ორი ჯგუფი, რომელთაც ისინი ახასიათებს, ადვილად გაიჩევა მნიშვნელობის მიხედვით. პირველი ტიპის ნიშნები გამოხატავენ თხრობითი კილოს აწმყოს და, აგრეთვე, ყველაფერს იმას, რაც არ წარმოადგენს ბრძანებას, მიმართულს მესამე პირისადმი, შესაძლებლობას ან წარსულის ფაქტს. მეორე ტიპის ნიშნები კი იზმარება იმ ფორმებთან, რომლებიც ამ ბოლო სამ მნიშვნელობას გამოხატავენ. ნამყოს დაბოლოება -*iu* მხოლოდ იმ ფორმებთან შეიძლება ვიხმაროთ, რომლებიც მეორე ტიპის ნიშნებს შეიცავენ. საკმაოდ ხშირად (მაგრამ არა ყოველთვის), ფორმათა ორი ჯგუფის განსხვავება გამოიხატება ავრუთვე იმ ხმოვნის ტემბრით, რომელიც ფორმათა უმეტესობაში ძირის წინ მოგვევლინება.

(I) სუბიექტის ნიშნები. ისინი ყოველთვის პრეფიქსებს წარმოადგენენ. (იხ. ცხრ., გვ. 44.).

მეუაქესმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნის ტექსტებში მე 2 პ. მხ. რ. ნიშანი ჩვეულებრივ ნულაა; საფრანგეთის ბასკურში შესაბამისი ნაცვალსახელის ფორმაა *hi*. კვლევის თანამედროვე ეტაპზე არ არის ცნობილი ამ ნაცვალსახელის პირველი ხმოვანი და შესაბამისი პირის ნიშან-

	პირველი ტიპი	მეორე ტიპი	პირის ნაცვალსახელები
1 მხ.	n-	n-en-, n-in-	ni
2 მხ.	ნული, h-	(h)-en-, (h)-in-	hi, i
1 მრ.	g-	g-en-, g-in-	gu
2 პ.	z-	z-en-, z-in-	zu
3	d-	ნული, z-, l-, b-	

ნი ზმნაში რას წარმოადგენდა—h-ს, სხვა რომელიმე თანხმოვანს (დორ-სალურს? ლარინგალურს?) თუ ნულს. მე-2 პ. მრ. რ. თანამედროვე ფორმები იწარმოება ძველი ფორმებისაგან მათზე მრავლობითის სუფიქსების დართვით, ძველი ფორმები კი ზრდილობიანი მხოლოობითის ფორმად იქცა. პრეფიქსი d-, რომელიც აღნიშნავს უპირო ფორმას რიცხვის გარჩევის გარეშე, არც ერთ ნაცვალსახელს არ შეესაბამება. -en-, -in- ნიშნები აუხსნელია; უფრო ძველი ჩანს -en-. უდავოა, რომ მეორე ტიპის ნიშნების z ამოსავალ ფორმას არ წარმოადგენს; ის უთუოდ მომდინარეობს zen, zan-ისაგან „ის იყო“, ძველი ფორმა კი ნულს წარმოადგენდა. l- შესაძლოა მიღებული იყოს ahal, al-ისაგან „შესაძლებელი“; b- უთუოდ შეესაბამება ber-ის („იგივე“) —ნაცვალსახელისა და ზედსართავის—პირველ თანხმოვანს. მესამე პირის მრავლობითი ფორმების საწარმოებლად საკმარისია მრავლობითობის სუფიქსების დართვა. მე 3 პირის ფორმები შეესაბამება პირველი და მეორე პირის ფორმებს ფორმათა პირველი ჩგუფისათვის. მაგრამ განსხვავდება მათგან მეორე ჩგუფის ფორმებში.

(II) მოქმედების საგნისა და მოქმედის ნიშნები

ფორმათა პირველი ჩგუფი. იგი იწარმოება I კლასის ფორმების მსგავსად; მაგრამ აქ დამატებით წარმოდგენილია მოქმედის ნიშანიც, რომელიც სუფიქსითაა გამოხატული. მოქმედების საგანი კი აღნიშნულია იმავე პრეფიქსებით. რომლებიც პირველი კლასის ზმნებთან სუბიექტს გამოხატავენ. თუ ამ აფიქსებს პირობით აღნიშნავთ S-ით, ძირს—R-ით და მოქმედის სუფიქსებს A-თი, მაშინ პირველი და მეორე კლასის პირველი ჩგუფის ფორმები შეიძლება გამოვხატოთ შემდეგნაირად: SR და SRA.

მოქმედის სუფიქსები:

1 მხ.		-ძ-, -ტ-, -ტ
2 მხ. მამრ.		-ი (თანხმ.)-, -კ-, -კ
მდედრ.		-ი
3 მხ.		ნული
1 მრ.		-ჟი
2 პ.		-ჟი
2 მრ.		-ჟი
3 მრ.		ნული, პლუს -ტე, -ე

ფორმათა მეორე ჯგუფი. აქ უნდა გამოიყოს ქვეჯგუფები, რომლებიც შეესაბამება შემდეგ შემთხვევებს:

მოქმედების საგანი 1-ლი და მე-2 პ.;

მოქმედების საგანი მე-3 პ.: მოქმედი მე-3 პ.;

მოქმედების საგანი მე-3 პ.: მოქმედი 1-ლი და მე-2 პ.

მოქმედების საგნის 1-ლი და მე-2 პ. ფორმები იწარმოება პირველი კლასის ფორმების მსგავსად. მაგრამ ისინი დამატებით შეიცავენ მოქმედის აღმნიშვნელ სუფიქსს, რომელიც იგივეა, რაც პირველი ჯგუფის შესაბამისი ფორმების სუფიქსი. თუ 1-ლი და მე-2 პ. სუბიექტის ნიშნებს მეორე ტიპისაათვის აღვნიშნავთ S'-ით, მაშინ სუბიექტის—მოქმედების საგნის 1-ლი და მე-2 პ. ფორმების მეორე ტიპი შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც S'R და S'RA. მაგალითად: nenkarren „მან მე მომიყვანა“ (მოქმედი: ნულოვანი სუფიქსი).

მოქმედების საგანი და მოქმედი მე-3 პ. ბისკაიურში ამ ფორმებს არა აქვს პირის ნიშნები ნამყოში: ekarren „მას ის მოჰქონდა“, სხვა დიალექტებში—zekarren. თავდაპირველად ისინი ზმნური ფუძისაგან იწარმოებოდა, მაგრამ ზოგჯერ, ანალოგიის მოქმედების შედეგად, ზმნური ფუძის e ხმოვანი იცვლებოდა a-თი (zakarren). მორფოლოგიურად ერთმანეთის პარალელურია ფორმები: ekarren და egoan, zekarren და zegoan „ის რჩებოდა“, bakar „მოიტანოს!“ და heggi „დარჩეს!“ z- და b- პრეფიქსიან ფორმებში მოქმედი მე-3 პ. მხ. რ. არ არის ნიშნით წარმოდგენილი.

მოქმედების საგანი მე-3 პ. და მოქმედი 1-ლი ან მე-2 პ. აქ უკვე სურათი იცვლება. ეს ფორმებში მიიღება ზმნურ ფუძეზე, მოქმედის აღსანიშნავად, შემდეგი პრეფიქსების დართვით: n-, h- ან ნული, ზოგჯერ g-, z-, ყველაზე ხშირად geu-, gin-, zen-, zin- (როდესაც ეს პრეფიქსებში ძირს დაერთვის, მაშინ ისინი მოქმედების საგანს აღნიშნავენ): nekarren „მე იგი მოჰქონდა“. ფორმებში: na-



kusan „მე მას ვხედავდი“, zenakusan „თქვენ მას ხედავდით“ (ძირი kus-) ზმნური ფუძის e ხმოვანი შეიცვალა g-თი. ეს ფორმები პარალელს არ ქმნიან პირველი ან მეორე კლასის რომელიმე სხვა ფორმასთან. რადგანაც ამ ფორმებში მოქმედის მე-2 პ., მხ. რ. პრეფიქსით არის გამოხატული, მამრობითი სქესი აღარ გაირჩევა მდებრობითისაგან: (b)nen „შენ ის გქონდა“.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბრძანებითის ფორმებს, რომელთა მოქმედების საგანი მე-3 პირშია, მოქმედი კი—მე-2 პირში. ისინი იწარმოება ზმნური ფუძისაგან მასზე მოქმედის სუფიქსის დართვით: ekark „მოიტანე ის!“.

(III) ნიშნები ობიექტისა, რომლისთვისაც მოქმედება სრულდება. ბასკურში არის ზმნური ფორმები, რომლებიც შეიცავენ პირის სუფიქსს, რომელიც აღნიშნავს, თუ ვისთვის არის დანიშნული მოქმედება, ან ვის ან რის მიმართ სრულდება იგი. ეს სუფიქსი გამოხატავს ატრიბუტიული ან მიმართების ობიექტის (referent) გრამატიკულ პირს. როცა ეს დამატება გამოხატულია ზმნის გარეშეც არსებითის ან ნაცვალსახელის სახით, იგი მიცემითში დგას. მიცემითის პირის ნიშნები ემთხვევა მოქმედის პირის ნიშნებს, ან ოდნავ განსხვავდება მათგან (ზოგ შემთხვევაში -ku გვაქვს -გუ-ს ნაცვლად). ზოგჯერ მათ წინ უძღვის უპირო ელემენტი -k ან -ki, რომელსაც განსხვავებული მოდიფიკაციები განუცდია. მოქმედის მე-3 პ. მხ. რ. არ არის ზმნაში აღნიშნული (ნულოვანი სუფიქსითაა წარმოდგენილი), ის ობიექტი კი, ვის მიმართაც მოქმედება სრულდება, ყოველთვის გამოხატულია ზმნაში.

მაგალითები: uagok „მე შენთვის ვერჩები“ (uagok aldean „მე ვერჩები შენს გვერდით“, aldean ნიშნავს „გვერდით“), პირველი კლასის ფორმა ორი პირის ნიშნით; dautak „შენ მე გყავარ“, მეორე კლასის ფორმა სამი პირის ნიშნით. ძალზე იშვიათი შემთხვევების გამოკლებით, ყველა მეორე კლასის ფორმა, რომელსაც მიცემითში დასმული სახელის ნიშანი აქვს, მე-3 პ. მოქმედების საგნის ნიშანსაც შეიცავს.

(IV) მოსაუბრის დამოწმება. ბასკური უღვლილება შეიცავს მთელ სერიებს ფორმებისა, რომელთაც სასაუბრო (allocutive) ეწოდება. ეს ბასკურის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ორიგინალურ თვისებას წარმოადგენს. ეს ფორმები ყველა დიალექტში გვხვდება. როდესაც მიმართავენ ისეთ პიროვნებას, ვისთანაც „შენ“-ობით არიან, სალიტერატურო ენაშიაც და ჩვეულებრივ საუბარშიაც იყენებენ. დამოუკიდებელი ან ძირითადი მტკიცებითა წინადადების ფორმებს, რომლებიც, აუცილებელი პირის ნიშნების გარდა, შეიცავენ მე-2 პ. მხ. რ. მამრო-

ბითის ან მდედრობითის აღმნიშვნელ სუფიქსებს -k-ს ან -n-ს, პიროვნების სქესისა და მიხედვით. ეს ფორმები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკე თავისი ნათქვამის მოწმედ მიიჩნევს იმ პირს, რომელსაც მიმართავს, შეიცავენ ერთით მეტ პირის ნიშანს, ვიდრე შესაბამისი ჩვეულებრივი ფორმები—ორს ან სამს პირველი კლასისათვის, სამს ან ოთხს მესამე კლასისათვის. ეს სუფიქსები ფუნქციონალურად არც ერთ ბრუნვას არ უკავშირდება. ისინი იხმარება მხოლოდ იმ ფორმებთან, რომლებიც არ შეიცავენ მე-2 პ. მხ. რ. ან მრ. რ. სხვა ნიშანს (სუბიექტის, მოქმედების საგნის, მოქმედის ან ობიექტისა, ვისთვისაც მოქმედება სრულდება).

მაგალითები: პირველი კლასი: niagsuk, niagun „მე ვრჩები“; diagotak, diagotan „ის მე მრჩება“; მეორე კლასი: diat (მამრობითი სქესის ნიშანი დაკარგულია), dinat „მე ის მყავს“; ziaukutek, ziaukuten „მათ ჩვენ ვყავართ“ (ნეიტრალური ფორმა: daukute).

გარდა ამისა, სულეტურსა და, ნაწილობრივ, აღმოსავლეთ ქვემო ნავარულში გვაქვს რამდენიმე ზრდილობიანი მიმართვის ფორმა, რომელიც გამოიყენება იმ პირის მიმართ, ვისაც „შენ“-ობით ვერ მივმართავთ. ამ ფორმებში წარმოდგენილია სუფიქსი, რომელიც ემთხვევა მე-2 პირის ნაცვალსახელის ზრდილობიან ფორმას ან მომდინარეობს მისგან. იგი არ განარჩევს თანამოსაუბრის სქესს. სულეტურში: dik, din, dizü; ნეიტრალური ფორმა: il.

ამრიგად, ბასკურში მამრობითისა და მდედრობითი სქესის გარჩევა, რომელიც არ არის გატარებული ბრუნებაში, უღვლილებაში მიღწეულია სუფიქსებით, რომლებიც თანამოსაუბრის სქესს აღნიშნავენ. ეს უთუოდ ადრეული ფორმებია. დაბოლოებები -k (რომელიც უთუოდ \*-g-საგან მომდინარეობს) და -n არაფერთან არ ამქლავებენ მსგავსებას ენაში, ეგევე ითქმის -t-ს (უეჭველია, რომ \*-d-საგან მომდინარეობს) შესახებაც, რომელიც 1-ლი პ. მხ. რ. დაბოლოებას წარმოადგენს. მამრობითისა და მდედრობითის გარჩევა არ ხდება, როდესაც პირი, რომელსაც მიმართავენ, სუბიექტია ან მოქმედების საგანი, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი პრეფიქსით იქნება წარმოდგენილი. მე-2 პ. მხ. რ. ფორმა ფამილარულ მიმართვად ითვლება, მაგრამ როცა გვინდა შევინარჩუნოთ და აღვნიშნოთ ზმნურ ფორმაში გრამატიკული სქესის გარჩევა, თანამოსაუბრესთან ფამილარული მიმართვის ფორმა უნდა ვიხმაროთ. ამის გამო გრამატიკული სქესის გარჩევა, რომელიც წინათ მხოლოდ თანამოსაუბრის სქესს აღნიშნავდა, ახლა სიახლოვის ხარისხზეც მიგვითითებს. მდედრობითი სქესის ფორმით მიმართავენ მხოლოდ ქალებს და მდედრობითი სქესის ბავშვებს. როცა ცხოველს ან უსულ.ა საგანს მიმართავენ, მას მამრობითად მიიჩნევენ ხოლმე.

ბ) ნამყო დროის დაბოლოება. ეს დაბოლოება -n(-en, -au) მხოლოდ იმ ფორმებთან გვხვდება, რომლებიც მეორე ტიპის პირის ნიშნებს შეიცავს ან რომლებიც, ისევე როგორც ბისკაიურის egoan „ის რჩებოდა“, ekarren „მას ის მოჰქონდა“, ზმნური ფუძისაგან იწარმოება და პირის ნიშნებს არ შეიცავს. იგი იდენტურია -n-სი, რომელიც გარკვეულ ნამყოს მიმღეობათა ნიშანს წარმოადგენს.

ზმნური სისტემის განსაკუთრებული თავისებურებაა ის, რომ წარსული მოვლენის აღმნიშვნელი მარტივი ფორმები იწარმოება არა ისე, როგორც აწმყოსა და მყოფადის ფორმები, არამედ როგორც ის ფორმები, რომლებიც გამოხატავენ შესაძლებლობას ან მესამე პირისადმი მიმართულ ბრძანებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წარსულის ფაქტი მოთავსებულია არა იმავე სიბრტყეზე, რომელზედაც აწმყო და მომავალი მოქმედებები, არამედ იმაზე, რომელზედაც შესაძლებლობა და ბრძანება მესამე პირისადმი. ბასკურში წარსული და რეალურობა ურთიერთგამომრიცხველია; ის, რაც წარსულია, არარეალურია; ის, რაც რეალურია, წარსულს არ განეკუთვნება. წარსული „ყოფილი რეალურობაა“. ამ თვალსაზრისის მიხედვით წარსულს, არარეალურს და იმას, რაც მხოლოდ შესაძლებლობას ან არაპირდაპირ ბრძანებას წარმოადგენს, აერთიანებს „არარეალურის“ გადმოცემა. მოვლენები, ამგვარად, განაწილებულია აზროვნების ორ დონეს შორის: რეალურსა (პირველი ჯგუფის ფორმები: აწმყო და მყოფადი) და არარეალურს (მეორე ჯგუფის ფორმები: ბრძანებითი, რომელიც უპირო ფორმას ენება, შესაძლებლობა და ნამყო) შორის.

პერფექტი (ყოველთვის რთული წარმოებისაა)—sartu da „ის დაბრუნებულია“, ikusi du „მას ის დანახული ჰყავს“—აღნიშნავს, რომ წარსული მოქმედების შედეგი მოცემულია აწმყოში; წარსული პროექტირებულია აწმყოზე. ე. ბენვენისტის შემდეგი გამონათქვამი კარგად უდგება ბასკურის პერფექტს: „პერფექტი ამყარებს ცოცხალ კავშირს წარსულის მოვლენასა და აწმყოს შორის, რომელშიაც მისი დასრულება ხდება“ (1967: 244). ამისგან განსხვავებით, პერფექტული პრეტერიტი ანუ ნამყო პერფექტი—sartu zen „ის შემოსული იყო, შემოვიდა“, ikusi zuen „მას ის დანახული ჰყავდა, დაინახა“—იმპერფექტის მსგავსად, აღნიშნავს ნამყოს, რომელიც არავეითარ კავშირს არ ამკლავებს აწმყოსთან.

ბ. სინტაქსური ფუნქციის არმქონე მორფემები, რომლებიც ძირითად ფორმებს დაერთვის: ა) განუსაზღვრელი სუფიქსი -ke, -te, -teke. ეს დაბოლოება, რომელიც სამი ეკვივალენტური ფორმითაა წარმოდგენილი, თეორიულად ყველა მარტივ ძირითად ფორმას შეიძლება დაერთოს, როგორცაა, პირველი ჯგუფი: თხრობითი კილოს

აწმყო და მყოფადი; მეორე ჯგუფი: მე-3 პირისადმი მიმართული ბრძანება, შესაძლებლობა, ნამყო. ამრიგად, შესაძლებელია ბასკური ზმნების ძირითადი ფორმების გაორმაგება. მაგრამ ფაქტობრივად ენის ისტორიაში არ არის ცნობილი არც ერთი ზმნა, რომ ყველა თეორიულად შესაძლებელი ძირითადი ან სუფიქსიანი ფორმა ჰქონოდეს. ასე, მაგალითად, იშვიათია შესაძლებლობის აღმნიშვნელი მარტივი ფორმა; იგი არა გვაქვს ზმნათა უმეტესობაში, განსაკუთრებით „ყოფნა“ და „ქონა“ ზმნებში. მას ენაცვლება შესაძლებლობის აღმნიშვნელი -ke სუფიქსიანი ფორმა, რომელიც ძალზე გავრცელებულია. ამის საპირისპიროდ დიალექტთა უმრავლესობისათვის უცნობია -ke სუფიქსიანი ბრძანებითი.

სუფიქსი -ke გამოხატავს განუსაზღვრელობას, რომელიც შეიძლება ეხებოდეს მოქმედების დროს ან დასრულების ხარისხს, მის ინტენსიურობასა და სიზუსტეს. Dagio ნიშნავს: „იგი რჩება“ (ახლა, ან ჩვეულებრივ, ან მუდამ); dagoke შესაძლოა ნიშნავდეს: „იგი რჩება“, მაგრამ არა მხოლოდ უახლეს აწმყოში (ზოგადი კემპარიტება), და აგრეთვე: „იგი დარჩება“ და „იგი შეიძლება დარჩეს“. სულეტურში diike შეიძლება ნიშნავდეს: „მას ის ექნება“ და „მას ის უნდა ჰქონდეს“ (შესაძლებლობა აწმყოში). zükian „მას შეიძლება ჰქონოდა ის“ ან „მას უნდა ჰქონოდა ის“ (შესაძლებლობა წარსულში).

შესაძლებლობის (eventuality) აღმნიშვნელი -ke სუფიქსიანი ფორმა, მაგ. legoke, ცვლის რა შესაძლებლობის გამოხატველ უბრალო ფორმას, რომელიც არ (ანდა აღარ) იხმარება, ნიშნავს: „იგი შეიძლება დარჩენილიყო“.

-ke სუფიქსიანი მარტივი ფორმები ekarri-საგან „მოტანა, ტარება“ ხშირად აღნიშნავს „ტარებას“ დასრულებულობის აღნიშვნის გარეშე.

b) პრეფიქსები ai- და albait- (ან albeite-). ისინი მხოლოდ შესაძლებლობის აღმნიშვნელ მარტივ ფორმებს დაერთვის: aihinz „ღმერთმა ქნას, რომ შენ იყო!“ (შდრ. inzen, hincan „შენ იყავი“); albeitzinekite „იციოდე“ (შდრ. zinekiten „თქვენ ეს იციოდით“). ისინი ქმნიან კილოებს, რომლებიც ცნობილია როგორც: მოწოდებითი (votive) და დაჯალბებითი (prescriptive). პირველი მათგანი, რომლის ზოგი ფორმებია ცნობილი ძველი ტექსტების მიხედვით და რომლის კვალი ჩანს სულეტურში, გამოხატავს სასურველ შესაძლებლობას (Desired eventuality). მეორე, რომელიც უფრო ხშირად იხმარებოდა, აღარ გვხვდება მეჩვიდმეტე საუკუნის შემდეგ; იგი გამოხატავდა დაჯალბებას, მოწოდებას. Ai- ნამდვილად იდენტურია იმ შორისდებულები-სა, რომლებიც გვხვდება ბისკაიურსა და გიპუსკოურში, შემდეგი ტიპის სინტაგმებში: ai baletor! „ო! რომ მოვიდოდეს!“ „ღმერთმა ქნას

რომ იგი მოვიდეს“. Albeit- სხვა არაფერია, თუ არა ნაწილაკი albeit, რომელიც იხმარება ბისკაიურში, გიპუსკოურსა და ზემო ნაგარულში და ნიშნავს: „რამდენადაც შესაძლებელია“.

6. სინტაქსური ფუნქციის მქონე სუფიქსები, რომლებიც დაერთვის ძირითად ფორმებს ან განუსაზღვრელ სუფიქსიან ფორმებს. ერთი წინადადების მეორისადმი დაქვემდებარება ჩვეულებრივ გამოიხატება სუფიქსით ან პრეფიქსით, რომელიც მიერთვის ზმნის პირიან ფორმას (ბრძანებითის გამოკლებით), უნიშნოს ან -ke სუფიქსიანს. სინტაქსური ფუნქციის აღმნიშვნელი ნიშანი ოთხია: მიმართებითი სუფიქსი -ი, სუფიქსი -იჲ. პრეფიქსები ba- და bait-. პრეფიქსი ba- „თუ“ ძალზე იშვიათად მიერთვის -ke სუფიქსიან ფორმებს. სინტაქსური ფუნქციის მქონე სუფიქსებს ქვემოთ განვიხილავთ. -ი და -იჲ სუფიქსებს შეიძლება დაერთოს სხვა სუფიქსები. ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე იხმარებოდა პრეფიქსი -აისა „თუ...შესაძლებელია“.

სინტაქსური ნიშნების მქონე ფორმები იხმარება დამოუკიდებელ ან ძირითად წინადადებაში, განსხვავებული ფუნქციებით.

7. დროთა და კილოთა ტაბულები. მეთექვსმეტე საუკუნის ენა: მარტივი ფორმები (Lafon 1943:1.496—9); რთული ფორმები (Lafon 1943:II.117—19). ბრძანებითის შესახებ იხ.: Lafon 1969.

თანამედროვე ენა (სალიტერატურო ლაბურდული და სულეტური): Lafon 1951 c და 1952 b.

8. ფორმათა ორი ჯგუფის დაპირისპირების მნიშვნელობა. დაპირისპირება, რომელიც მოქმედებს ბასკური ზმნის მარტივ ფორმებში, ასევე ნათლად მკვლევანდება მეშველზმნიან ფორმათა სისტემაშიც. მისი დამახასიათებელი თვისებები ასეთია:

ა) პირველი ჯგუფი შეიცავს ფორმებს, რომლებიც აღნიშნავენ აწმყოს, ჩვეულებრივს ან მუდმივ პროცესს, ან მომავლის ფაქტს, ან წარსული მოქმედების ახლანდელ შედეგს. იგი აგრეთვე მოიცავს ბრძანებითის ფორმებს (უპირობა გამოკლებით); იგი უმეტესად იდენტურია მისი შესაბამისი აწმყო, თხრობითი კილოს ფორმებისა. ფორმები, რომლებიც აღნიშნავენ წარსულს აწმყოში ვაგრძელების ან გამოხმაურების გარეშე, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მკვდარ წარსულს, წარსულ მოვლენას, შესაძლებლობას, ან წარსული მოქმედების წარსულ შედეგს, მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან.

ბ) ორივე ჯგუფი შეიცავს ფორმებს, რომლებიც გამოხატავენ შესაძლებლობას (possibility). პირველი ჯგუფის ფორმები აღნიშნავენ ისეთ შესაძლებლობას, რომელიც დაბეჯითებითი მტკიცების საგანია („მას შეუძლია ან შეძლებს...“); მეორე ჯგუფის ფორმები კი—სავარაუდო შესაძლებლობას (the possibility of an eventuality), რომ-

მელიც არადაბეჯითებითი მტკიცების საგანს წარმოადგენს, ან, შესაძლებლობას, რომელიც არსებობდა წარსულში და ახლა აღარ არსებობს.

ე) პირველი ჯგუფი შეიცავს ფორმებს, რომლებიც გამოხატავენ დაპაჩერებელ ვარაუდს, რომელიც შეესაბამება სინამდვილეს აწმყოს ან მომავლის მომენტისათვის; მეორე ჯგუფის ფორმები კი გამოხატავენ ვარაუდს, რომელიც წარმოდგენილია არა რეალურობის დონეზე, არამედ როგორც შესაძლებლობა ან წარსულის ფაქტი.

დ) მოწოდებითის, დავალებითი კილოსა და უპირო ბრძანებითის ფორმები მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან.

დაპირისპირებას აწმყოსა და თხრობითი კილოს ნამყოს შორის არა აქვს ბასკურში წმინდა დროითი მნიშვნელობა. წარსულის მოვლენა არ არის მოთავსებული იმავე სიბრტყეზე, რომელზედაც აწმყო და მომავალი მოვლენებია, არამედ ისეთ მოვლენათა სიბრტყეზე, რომელთა შესაძლებელ განზორციელებას იმედოვნებენ ან წინასწარ განკვეთენ. Zen, zan „ის იყო; ვინც იყო“, რომელიც იხმარება როგორც ზედსართავი და ნიშნავს: „გარდაცვლილი“, განეკუთვნება იმავე ჯგუფის ფორმებს, რასაც baliz „ის თუ იყო“, რომლისგანაც ნაწარმოებია balizko „წარმოდგენაში არსებული, წარმოდგენილი“: erretor zena „გარდაცვლილი მღვდელი“; balizko oleak burdinarik ez, მეთექვსმეტე საუკუნის ბისკაიური ანდაზა, წინადადება ზმნის გარეშე: „წარმოდგენაში არსებული სამკედლო რკინას არ (ქედავს)“. ის, რაც უნდა მოხდეს, რაც გესურს, რომ მოხდეს ანდა ვიცით, რომ მოხდება, ყველაფერი არარეალურად არის მიჩნეული. რაც იყო, ის ახლა აღარ არის; წარმოდგენაში არსებულიც არ არის; შესაძლებელიც არ არის. ბასკური ენის სისტემაში მდგომარეობანი და პროცესები აზროვნების ორ განსხვავებულ დონეს განეკუთვნება: რეალურსა და არარეალურს. გაბატონებული დაპირისპირება არსებულისა და არარსებულის გარჩევა.

## VI. სინტაქსი

იხ. 1931 წლის ე. ლევის (E. Lewy) სტატია: ლაფიტის გრამატიკის მეოთხე ნაწილი (1944); ლაფონის 1943 წლის ნაშრომის შესამე ნაწილის თავი III და შემდგომი პერიოდის სტატიები.

ბასკურში გვაქვს მარტივი წინადადებები (ერთი დამოუკიდებელი წინადადება), რთული თანწყობილი წინადადებები (ორი ან მეტი წინადადება გაერთიანებულად ან უკავშიროდ, ან შეერთებული კავშირის საშუალებით), რთული ქვეწყობილი წინადადებები (ერთი ძირითადი და ერთი ან მეტი დაქვემდებარებული წინადადება).

ბასკური სინტაქსის ორი უმნიშვნელოვანესი თავისებურება ასეთია: a) სინტაქსური ურთიერთობანი აღინიშნება ზმნის პირიან ფორმებზე აფიქსების დართვით და არა დამოუკიდებელი სიტყვების მეშვეობით (ნაცვალსახელებითა და მაქვემდებარებელი კავშირებით); b) გარკვეული წესები სიტყვათა რიგის შესახებ უგამონაკლისოა, სხვები მხოლოდ სიტყვათა სწორ რიგს განსაზღვრავს, ნაწილი კი—იგუეებს გამონაკლისებს გარკვეული სიტყვის ან წინადადების გასახაზავად (Lafitte 1944: § 100—20).

მართალია, ფრანგული, ესპანური და გასკონიური კონსტრუქციები შევიდა ბასკურში, მაგრამ მათი როლი ძალზე შეზღუდულია. ხშირად ბასკური წინადადების სტრუქტურა იძენდა განსხვავებულა რომანული წინადადების აგებულებისაგან, რომ სრულიად გამორიცხავს მიბაძვის ან შერწყმის შესაძლებლობას.

მაგალითები: სინტაგმა „არსებითი პლუს ეპითეტური ზედსართავი“: ის. ზემოთ, გვ. 34. Ikusi dugu etxea; ederra da „ჩვენ ვნახეთ სახლი; ის ლამაზია“; ikusi dugun etxea ederra da „სახლი, რომელიც ჩვენ ვნახეთ, ლამაზია“; ფრანგული მიმართებითი ნაცვალსახელის que-ს შესატყვისია სუფიქსი -n, რომელიც დაერთვის dugu-ს „ჩვენ ვხედავთ მას“. Ni<sup>1</sup> baino<sup>2</sup> zaharrago<sup>3</sup> da<sup>4</sup> gizon<sup>5</sup> hura<sup>6</sup> „ეგ<sup>6</sup> კაცი<sup>5</sup> არის<sup>4</sup> უფროსი<sup>3</sup> ვიდრე<sup>2</sup> მე<sup>1</sup> (-ago შედარებითი სუფიქსია). როდესაც ბასკურ სიტყვათა რიგს უდარებენ ფრანგულს ან ესპანურს, ორენოვანი ბასკები აღნიშნავენ, რომ ბასკურში ყველაფერი უკულმაა.

ბასკურში ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ენაში, წინადადება განისაზღვრება ორი დამოუკიდებელი ფორმალური საზომით: a) იგი მოთავსებულია ორ პაუზას შორის; b) მას აქვს სპეციფიკური „ფინალური“ ინტონაცია, რომელიც განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რა წინადადებასთან გვაქვს საქმე: მტკიცებითა, ან, ეთქვათ, ძახილისა, კითხვითთან და ა. შ. (მდრ. Benveniste 1967: 154, 128—9). ბასკური ფინალური ინტონაციის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 26—29.

წინადადება მარტო ერთი სიტყვისაგანაც (ცვალბადისა ან უცვლელისაგან) შეიძლება შედგებოდეს, Oia „ყარგია“. Badakit „მე ეგ ვიცი“. Errazul „თქვი!“ Emekey! „ერთხილად!“

წინადადებები შეიძლება შემდგენიარად დავაჯგუფოთ:

A. დამოუკიდებელი და ძირითადი წინადადებები

1. უზმნო
2. ზმნის პირიანი ფორმის არმქონე
3. ზმნის პირიანი ფორმის შემცველი

a) სინტაქსური ნიშნის გარეშე (უბრალო, -ke სუფიქსიანი,

ai-, albait- პრეფიქსიანი)

ბ) ნიშნით, რომელიც არსებითად სინტაქსურს წარმოადგენს.  
B: დაქვემდებარებული წინადადებები

1. უპირო ზმნით

2. სინტაქსური ნიშნის შემცველი პირიანი ზმნით

დამოუკიდებელ ან ძირითად წინადადებას შეიძლება აკლდეს ზმნა; დაქვემდებარებულს იგი ყოველთვის აქვს. ზმნის პირიანი ფორმა—უნიშნო, -ke სუფიქსიანი ან ai-, albait- პრეფიქსიანი—შეიძლება შეგვხედეს მხოლოდ დამოუკიდებელ ან ძირითად წინადადებაში. ეგევე წესი მოქმედებს სასაუბრო ფორმებისთვისაც; ჩვეულებრივ მხოლოდ თხრობითი კილოს ან შესაძლებლობის გამომხატველი პირიანი ზმნა—უნიშნო ან -ke სუფიქსიანი—იხმარება მიმართვის ფორმებში.

უზნო წინადადებებისა და უპირო ზმნების შემცველი წინადადებების შესახებ იხ. Lafon-1951 b და Duny-Pétré 1963.

A1. ზმნური ფუძე შემდეგი ფუნქციებით: ბრძანებითი — zuhauk ikusi „შენ თვითონ ნახე!“, თხრობითის ინფინიტივი: konkurrek kantata, mainguek dantza (დიბარარტი 'Dibarrart'), ლათ. „gibbosi cantare, claudi saltare“ (თხრობითი; სხვა კონტექსტში ამ წინადადების წინაშეწოდება შეიძლება იყოს: „დაე კუზიანებმა იმღერონ და კოკლებმა იცეკვონ!“). Norat itzul-ში „საით მოვბრუნდეთ“ ზმნური ფუძე გამოხატავს ზმნურ იდეას განსაზღვრულობის გარეშე.

A2. მეშველი ზმნის ელიფსი: jaun aphezek etsortatzen karitate egin dezen (ეჩაპუნე): „ბატონი მღვდლები გვარწმუნებენ გავილოთ (სიტყვისიტყვით: „რომ გაილონ“) მოწყალება“; სრული ფორმა etsortatzen tie.

A3a). დამოუკიდებელი და ძირითადი წინადადებები, რომლებიც შეიცავენ სინტაქსური ნიშნის არმქონე პირიან ზმნას. Amorioa itsu da eta eztazagu zuzena (დეჩეპარე) „სიყვარული ბრმა და კანონები არ იცის“. Nahi nuke etxe bat „სახლი მინდა“. Aihin z hotz edo erakin (ლისარაგა; „აპოკალიფსის“ თარგმანი 3.15) ლათ. „utinam frigidus esses aut calidus“! Othoitzarik eginen duzucnean, albeitzinarrate hunela (ლისარაგა) „როცა ლოცულობ, ასე თქვი“.

A3b). ფუნქციათა ცვლილების შედეგად, რომელიც შეთქმულსავე საუკუნეში უკვე დაწყებული იყო, სინტაქსური ნიშნის მქონე პირიანმა ფორმებმა გარკვეულ შემთხვევებში ახალი ფუნქციებიც შეიძინეს. ეს ფორმები ძირითად ან დამოუკიდებელ წინადადებაში იხმარება.

მიმართებითი სუფიქსი: aizen „ვინ არის“ (aiz-ისაგან „შენ ხარ“) შეიძლება ნიშნავდეს: „იყავი“—aizen han (ლისარ.) „იყავი იქ!“, goazen „წავიდეთ“. კავშირებითის ფორმა, როგორცაა jan dezagun შეიძლება ნიშნავდეს: „რათა ვკამოთ“ ან: „მოდე, ვკამოთ!“



მიმართებითი სუფიქსიანი ფორმები იხმარება ძახილის წინადადებებში:  
zoin eder den! „რა ლამაზია!“

სუფიქსი -la. მეთექვსმეტე საუკუნეში aizela-ს შეიძლება პქონა შემდეგი მნიშვნელობები: „სანამ შენ ხარ“, „რომ შენ ხარ“ ან „იყავი“; ongi: aizela! „კარგად იყავი!“. თანამედროვე ენაში აკრძალვა გამოხატულია რთული ფორმებით, როგორცაა eztezazula har! „არ აილა“. ეს ფორმები მეთექვსმეტე საუკუნეშიც არსებობდა.

პრეფიქსი ba- „თუ“: პირობითის (eventual suppositive) ფორმა შეიძლება გამოვიყენოთ ექვის ან სინანულის გამოსახატავად: a! ethor baledi! „აჰ! ნეტავ მოვილოდეს!“, „ღმერთო, ნეტავ მოვიდეს“, jakiu banu! „მე რომ მცოდნოდა!“

პრეფიქსი bait- აღნიშნავს, რომ ერთი ზმნური ფორმა უკავშირდება მეორეს. ადრეულ ეტაპზე იგი იხმარებოდა ძირითად ან დამოუკიდებელ წინადადებებში, რომლებიც დაკავშირებული იყო სხვა ძირითად ან დამოუკიდებელ წინადადებასთან მეერთებელი კავშირით eta „და“: baina errak solament hitza, eta sendaturen baita ene muthilla (ლისარ.) „მხოლოდ თქვი სიტყვა და ჩემი ვაჟი განიკურნება“. Eta-ს შემცველი წინადადების ზმნურ ფორმაზე bait- პრეფიქსის დართვა აღნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ წინა ნათქვამი დაკავშირებულია მომდევნოსთან, არამედ იმასაც, რომ მათ შორის ლოგიკური კავშირი არსებობს (იხ. Lafon 1966: 223—5; Lafitte 1944: § 774).

B1. უპირო ზმნიანი დაქვემდებარებული წინადადებები

იხ. Lafitte: 1944: a. XXII—XXIV და XXXV, განსაკუთრებით, § 872, დაქვემდებარებულ წინადადებათა ფორმების შესახებ.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე სინტაგმას შევუბნებთ. ზმნური ფუძე: ez-taki norat itznl „მან არ იცის, საით მიბრუნდეს“ (არაპირდაპირი კითხვითი).

ნამყოს მიმღობა: eginen dnzu nik erran bezala „თქვენ ისე მოიქცევით, როგორც მე ვთქვი“; მოქმედი გამოხატულია ერგატივში დასმული ნაცვალსახელით nik. პირიანი ფორმა თუ გვინდა ვიხმაროთ, მაშინ უნდა მივუმატოთ 1-ლი პ. მოქმედის ფორმა და მიმართებითის დაბოლოება dudān და შემდეგ ამოვადლოთ nik: erran dudān bezala. წინადადებებში, რომლებიც შედარებას გამოხატავენ, bezala „როგორც, ისეთი“ ბოლოს დაისმის. Sur lekhua utziz geroz, Jainko ona urrikaldu da hethi eue nigarrez „მას შემდეგ, რაც ჩემი სამშობლო ადგილი დავტოვე (სიტყვასიტყვით: „მას შემდეგ, რაც დაბადების ადგილი დატოვეხულია“), კეთილი ღმერთი ყოველთვის იწყალედა ჩემს ცრემლებს“: geroz არას ზედსართავი, ნიშნავს: „შემდეგ“; ნამყოს მიმღობა განუსაზღვრელ მოქმედებითაა დასმული; ეს წინადადება მო-

ტანილია პოეტ ელისამბურუს (Elissamburu) სიმღერიდან. ასეთი წინადადებაც ბასკური წარმოშობისაა: სულეტ. გŭ hunátuz gëoz, ebría héthi ai dūzū „მას შემდეგ, რაც აქ ჩამოვედით, განუწყვეტლივ წვიმს“; hinátū არის მიმღეობა, ნაწარმოები ზმნიზედისაგან hūna „აქეთ“.

იმის აღსანიშნავად, რომ ერთი მოქმედება მეორეზე აღრე ხდება, შეიძლება ვიხმაროთ პოსტპოზიციის ondoan, რომელსაც დაეურთავთ ზმნის მიმართებით ფორმას ან ნამყოს მიმღეობას ბრუნვის დაბოლოების გარეშე: joan den ondoan, kantatu dugu „მას შემდეგ, რაც ის წავიდა, ჩვენ ვიმღერეთ“; aitak ikusi ondoan, harengauat laster egin zuen „როცა მამამისმა ის შეამჩნია, იგი მას გაევიდა“. ხშირად სხვაგვარი გამოთქმაც იხმარება; ნამყოს მიმღეობას მოსდევს კავშირი eta „და“, რომელიც მასთან ერთად წარმოითქმის და დაწერილ ტექსტებში დეფისითაა მასთან დაკავშირებული: hura joan-eta, aitak ikusi-eta. ამ კონსტრუქციის ახსნა ძალიან ადვილია. თავდაპირველად აქ იყო ასეთი წინადადებები: edan eta kantatu dugu „ჩვენ დავლიეთ და ვიმღერეთ“. იმისათვის, რომ მეორე ზმნა გახაზულიყო და მოქმედებათა ქრონოლოგიური რიგიც აღნიშნულიყო უფრო გარკვევით, eta გამოეყო kantatu-ს და მიერთო edan-ს. აპრიგად, შეთანხმება დაქვემდებარებით შეიქცალა. ასეთი ცვლილება მომხდარა, როგორც ამას სასენი ნიშნების ადგილი გვიჩვენებს, ლისარაგას შემდეგს წინადადებაში (ლისარაგა, 23, 16): beraz gaztigatu eta, largaturen dut „იმის შემდეგ, რაც დავსაჯე, მე იგი გავათავისუფლე“.

B 2. პირიანი ზმნების შემცველი დაქვემდებარებული წინადადებები.

დაქვემდებარებული წინადადებების პირიან ფორმებს სინტაქსური ნიშნები აქვს. ისინი დაერთიან ძირითად ფორმებს, ან -ke სუფიქსიან ფორმებს (ბრძანებითის გამოკლებით, ცხადია). ოთხი ფორმა ამათგან ერთმანეთს გამორიცხავს. ისინი განსხვავდებიან თავიანთი ხარისხითაც და წარმოშობითაც. ორი მათგანი, -n და -la სუფიქსურია, მათ დამოუკიდებელი არსებობა არ შეუძლიათ. ორი დანარჩენი კი პრეფიქსულია და დადებითი ნაწილაკების ფუნქციითაც იხმარება. სხვა სუფიქსები დაერთვის -n-სა და -la-ს. -n სუფიქსიანი ფორმები, რომელთაც მიმართებითავეს უწოდებენ, არსებითი სახელივით იბრუნვის. არაფრის დართვა არ შეიძლება bait- პრეფიქსიანი ფორმისათვის. ha-ს შეიძლება დაერთოს მხოლოდ al, რომელიც შესაძლებლობას გამოხატავს (აქედან პრეფიქსი alba-).

-n(-en, -an) სუფიქსის ძირითად ფუნქციას თავდაპირველად წარმოადგენდა და ახლაც წარმოადგენს მტკიცებითი ზმნური ფორმის

გადაქცევა სახელურ დეტერმინანტად, რომელიც არსებითის წინ დაისმის ნათესაობითში დასმული სახელის მსგავსად. წინადადებაში: *ikusi dugun etxea ederra da* „სახლი, რომელიც ჩვენ ვნახეთ, ლამაზია“, *ikusi dugun* წარმოადგენს *etxea*-ს მსაზღვრელს, ისევე როგორც *aitaren* „მამისა“ *aitaren etxea*-ში „მამის სახლი“. ბასკურის -*u* სუფიქსს ხშირად მიმართებით სუფიქსს უწოდებენ, რადგანაც იგი იმავე როლს ასრულებს ბასკურში, რასაც მიმართებითი ნაცვალსახელები იმ ენებში, სადაც ისინი წარმოდგენილია. ზმნის მიმართებითი ფორმა იბრუნვის ზუსტად ისე, როგორც ნათესაობითში დასმული სახელი: *aitarena* „ის, რაც მამისაა“, *ikusi duguna* „ის, რაც ჩვენ ვნახეთ“; მოქმედებითის დაბოლოება -*az*: *mintzo naiz aitarena* „მე ვლაპარაკობ იმაზე, რაც მამისაა“; *mintzo naiz ikuzi dugunaz* „მე ვლაპარაკობ იმაზე, რაც ჩვენ ვნახეთ“. ზოგი მკვლევარი მიმართებითის ნიშანს ნათესაობითის ნიშანთან აიგივებს. ეს შესაძლებელია, მაგრამ ამას ორი სიძნელე ახლავს თან. მიმართებითი სუფიქსის პირველი, ძირითადი ფორმაა -*u*, არსებითი სახელების ნათესაობითი ბრუნვისაკი — *-en*. ამასთანავე, ზოგ ნაცვალსახელთან ნათესაობითის ნიშნად მოგვევლინება *e*. რაც უეპქველად უფრო ძველ ფორმას წარმოადგენს.

რადგანაც ბასკური ვერ იგუებს ორმაგ თანხმოვნებს, ნამყოს სუფიქსით დაბოლოებული ფორმები მიმართებით ფორმებადაც გამოიყენებიან, რითაც მიმართებითისა და სხვა ფორმების დაპირისპირებანი იტრალიზებულია. მხოლოდ კონტექსტი, ანდა სასაუბრო ენაში ინტონაცია, მიგვანიშნებს, რას ნიშნავს: *ikusi nuen gizona* „მე ვნახე კაცი“ თუ: „კაცი, რომელიც მე ვნახე“ (მაგ., წინადადებაში: *ikusi nuen gizona gaztea zen* „კაცი, რომელიც მე ვნახე, ახალგაზრდა იყო“).

ჩვენ აქ ვერ წარმოვადგენთ ყველა იმ განსხვავებულ შემთხვევას, რომელშიაც იხმარება ბრუნვის დაბოლოებიანი მიმართებითი ფორმები. ერთ-ერთი ყველაზე ხშირი შემთხვევაა მიმართებითი სუფიქსი პლუს მხოლოდითი ინესივის დაბოლოება, მნიშვნელობით: „როცა, რის შემდეგ“, სიტყვასიტყვითა „იმ (დროს), როცა“: *ikusi dugunean, haurrarekin zen* „როცა ჩვენ ის ვნახეთ, ის ბავშვებთან ერთად იყო“. სუფიქსური კომპლექსი -*neko* ნიშნავს „როგორც კი“: *ikusi duguneko, abiatu gare* „როგორც კი იგი ვნახეთ, მაშინვე წავედით“. სუფიქსური კომპლექსი -*nez*, რომელიც „თუ“-ს ეკვივალენტურია, იხმარება არაპირდაპირი კითხვის აღმნიშვნელ ფორმებთან: *eztaki ikusi dugunez* „მან არ იცის, დავინახეთ თუ არა იგი“; -*u* სუფიქსი დამოკიდებულების აღმნიშვნელ ნიშნად იქცა: ზმნური ფორმა, რომელიც მას შეიცავს, ხშირად აღარ წარმოადგენს უშუალოდ საზღვრულის წინ დასმულ მსაზღვრელს, იგი დაქვემდებარებული წინადადების ზმნად

იქცა და შეიძლება დაისევას ძირითადი ზმნის შემდეგ. ამრიგად, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა უთმობს ადგილს ძირითადი და დაქვემდებარებული წინადადების ურთიერთობას.

უბრალო მაგალითიდანაც ჩანს, თუ რამდენად შესაძლებელი იყო „მსაზღვრელ-საზღვრულის“ ტიპის სტრუქტურა, რომელშიაც მსაზღვრელი ყოველთვის უშუალოდ საზღვრულის წინ დგას, გადაქცეულიყო „ძირითადისა და დაქვემდებარებულის“ ურთიერთობად, რომელსაც სიტყვათა მკაცრი რიგი არ ახასიათებს.

ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე თხრობითი კილოს აწმყოს ფორმები კავშირებითის როლსაც ასრულებდნენ; den (da-საგან „არის“) ნიშნავდა: „რომელიც არის, რომ არის“, ანდა: „ვინც იყოს, რომ იყოს“. თუ გვინდოდა გვეთქვა: „ვფიქრობ, რომ ის არის“, საჭირო იყო ჯერ აღგვენიშნა: han den uste dut, სიტყვისიტყვით: „რწმუნა (uste) მაქვს, რომ ის იქ არის“; ან კიდევ, თუ გვინდოდა გვეთქვა: „მე მსურს, რომ ის იქ იყოს“, უნდა გვეთქვა: han den nahi dut, სიტყვისიტყვით: „მე მაქვს სურვილი (nahi), რომ ის იქ იყოს“, Han den წარმოადგენდა uste-სა და nahi-ს მსაზღვრელს. ამიტომ ბუნებრივია, რომ den მაც, როგორც nahi-ს მსაზღვრელმა, შეითვისა დასრულებულობის ფუნქცია. შემდეგ, არსებითი სახელი შეუერთდა ზმნას, როგორც ეს ჩვეულებრივ ზმნურ გამოთქმებში გვაქვს, uste dut „მჯერა“, nahi dut „მსურს“. ის, რაც ადრე მსაზღვრელს წარმოადგენდა, ახლა გააზრებულ იქნა, როგორც ამ ზმნური გამოთქმების დანატება და დაისვა მათ შემდეგ, უეჭველია, რომანული ენების გავლენის შედეგად. Uste dut han den „ვფიქრობ, რომ ის იქ არის“; ეს ფორმები დღესაც იხმარება.

მსაზღვრელ-საზღვრულის კონსტრუქცია შენარჩუნებულია ისეთ სინტაგმებში, სადაც ustez-ს (ინსტრუმენტალისი) ან usteau-ს (ინესივი) წინ უძღვის მიმღეობა ან ზმნური ფუძე: enganatu ustez „ფიქრობდა რა, რომ შეცდა“, hura bil ustez „ფიქრობდა, რა, რომ შემოერთებულია“ (Lafitte 1944: § 489 d და 875). Nahi dut han den „მსურს, რომ ის აქ იყოს“, ასე აღარ ამბობენ, რადგან den აღარ გამოხატავს დასრულებულობას; მის ნაცვლად იხმარება კავშირებითის izan dadin. ისეთი კონსტრუქცია, სადაც nahi-ს უშუალოდ წინ უძღვის მსაზღვრელი, შემონახულია ukusi nahi-ში „მსურველი ნახვისა“: hura ikusi nahia uaiz „მე მსურს მისი ნახვა“.

დღეს ბასკურის ყველა დიალექტს აქვს კავშირებითი კილო, რომელიც განსხვავდება თხრობითისაგან. მისი წარმოება ყოველთვის რთულია, მეშველი ზმნის ნიშანია ყოველთვის -n. ეს ფორმები არ იბრუნვის. ერთადერთი საერთო, რაც მათ და მიმართებითს ფორმებს

აქვს, არის სუფიქსი -ი კავშირებითის ფორმები აღარ იხმარება მიმართებითის ფუნქციით.

მიმართებითი ფორმები უკავშირდება განსხვავებულ სიტყვებს, რომელთაც იგი წინ უძღვის. მაგ.: artean „იმის განმავლობაში, რაც“ (სიტყვასიტყვით: „იმ მონაკვეთში“), bezala „მსგავსად, როგორც“, nahiz „მიუხედავად იმისა“ (ინსტრუმენტალისი nahi-საგან „სურვილი“): han aguen artean „სანამ შენ იქ ხარ“, erran dudan bezala „როგორც ვთქვი“, nahiz ez den gaztelua, mait: dut nik sor-lekhua (ელისამბურუ) „მიუხედავად იმისა, რომ იგი კოშკს არ წარმოადგენს, მე მაინც მიყვარს ჩემი დაბადების ადგილი“.

სუფიქსი -la. მას ორი ფუნქცია აქვს. იგი იხმარება იმის აღსანიშნავად, რომ რაიმე მოვლენა ხდება მეორესთან ერთდროულად და პირობას ქმნის მეორისათვის. ამასთანავე, იგი იხმარება არაპირდაპირ თქმაშიც, მტკიცების ან ბრძანების გამოსახატავად. ეს სუფიქსი დაახლოებით უღრის ფრანგულის comme, tandis que-სა და ასევე que-ს, რომელსაც შემოაქვს დამამთავრებელი წინადადება და იხმარება როგორც თხრობითი კილოს, ასევე კავშირებითის ფორმებთან. ამ მეორე შემთხვევაში, როგორც უხხარდტი აღნიშნავს (1923: §105), „იგი ურთიერთშენაცვლებადია -ი-თან და „მათი ფუნქციების გარჩევაც ძნელია“.

მაგალითები მეთექვსმეტე საუკუნის ტექსტებიდან (ზმნა ekarri „მოტანა, გამოღება, ტარება“): Eta lurra izigarri oro ikharaturik, Zuharnyek dakartela odolezko izerdi (დჩეზ., 1.312—313) „და მთელი დედამიწა საშინლად შეირყა, ხეებმა სისხლის ოფლი გამოიღეს“. Erioa manatzen du ezein falta gaberik Hilak oro dakazela aitzinera bizirik, Hantik harat eztkela bothererik jagoitik (დჩეზ., 1.239—241) „მან უბრძანა სიკვდილს დაუყოვნებლივ მოეყვანა მისთვის ცოცხლები, და აგრეთვე, ყველა მკვდარი, ამბობდა რა, რომ ამ დროიდან მას (სიკვდილს) აღარ ექნებოდა ძალა“; Ilkhi zedin Jesus kampa, elhorrizko koroa zakarkela (ლისარ., იოანე, 19,5) „გამოვიდა რა იესო, თავს ედგა ეკლის გვირგვინი“ (zakarkela წარმოადგენს -ke სუფიქსიან ნამყოს; (იხ. ზემოთ, გვ. 49). დღევანდელ ენაშიაც, erraiten du ongi kantatzen duzula „იგი ამბობს, რომ თქვენ კარგად მღერით“ (მტკიცება) უპირისპირდება erraiten du ongi kanta dezazula-ს „ის ამბობს, რომ თქვენ კარგად უნდა იმღეროთ“ (ბრძანება).

ეგვე -la სუფიქსი მონაწილეობს ზმნიზღებების წარმოებაში: nola „როგორ?“, hala „ამგვარად“, bertzela „სხვაგვარად“, ნაწარმოებია: no-საგან „ვინ?“, ha-საგან (მე-3 პირის ჩვენებითი ნაცვალსახე-

ლის ფუძე) და bertze-საგან „სხვა“. როგორც ჩანს, ეს სუფიქსი წინათ მონაწილეობდა ზმნის პირიანი ფორმისაგან ვითარებითი ზმნიზედური სიტყვის წარმოებაში. ამ სუფიქსის ეს ამოსავალი ფუნქცია ჯერ კიდევ შეიგრძნობა ლისარაგას შემდეგს წინადადებაში (იოანე, 6,19): *ikhusten dute Jesus itsas gainez dabilala* „ისინი ხედავენ იესოს მავალს ზღვაზე“, ლათ. „*vident Iesum ambulans supra mare*“; *dabila* არის „ის მიდოდა“, *dabilala* კი—„იგი მიმავალი“. იგივე წინადადება შეიძლება ითარგმნოს როგორც: „მათ დაინახეს, რომ ეს-სო მიდიოდა ზღვით“. პირველი მნიშვნელობიდან მეორეზე გადასვლა ადვილად განხორციელდა ერთგვარი პირიანი გერუნდივის—ვითარებითი დამატების—გაჩენით დაქვემდებარებული წინადადების ბოლო ზმნასთან.

-la დაბოლოებას შეიძლება დაემატოს ორი სახელური სუფიქსი -ik და -ko. პირველი მათგანი პარტიტივს განეკუთვნება. დღევანდელ ენაში ზემოაღნიშნული მსაზღვრეულური გერუნდივი, ჩვეულებრივ, იწარმოება -larik ფორმის დართით: *abiatu zen khantatzen zuelarik* „იგი წავიდა სიმღერით“. სახარების ზემომოყვანილი წინადადების თარგმნის დროს *dabilalarik* ფორმას უფრო იმპარენ, ვიდრე *dabilala*-ს. დაბოლოება -ku ბრუნების განუყოფელ ნაწილად იქცა, მაგრამ თავდაპირველად იგი სახელურ დამატებათა საწარმოებლად იმპარეაოდა. თანამედროვე ბასკურში იგი შეიძლება დაერთოს -la სუფიქსთან ზმნურ ფორმას, რაც მას სახელურ დამატებად აქცევს: *guan niuduan etxera gauza hortan akabo zelako esperantzan* (ელისამბურუ) „მე წავედი შინ იმ იმედით, რომ ეს საქმე სულ დამთავრებული იყო“. კომპლექსი დაბოლოებული -lakotz, lakoz-ზე ნიშნავს: „იმიტომ რომ“, *ezta jin, eri delakutz* „ის არ მოვიდა, იმიტომ რომ ავად არის“.

თხრობითისაგან ფორმის მიხედვით განსხვავებულნი კავშირებითის წარმოქმნა. ადრეული ეტაპის ენაში მარტივი უღვლილება ფორმის მიხედვით განასხვავებდა მხოლოდ თხრობითს (დეკლარატიული კილო), პირობითსა და ბრძანებითს. არ გამოიყოფოდა ცალკე კავშირებითი. -n და -la სუფიქსიანი ფორმები იმპარებოდა ხან თხრობითის ფუნქციით, ხან კი—დასრულებულობის აღსანიშნავად. რთულ უღვლილებაში თანდათანობით ჩამოყალიბდა განსხვავება თხრობითსა და კავშირებით კილოებს შორის. დღეისათვის ნათელია, რომ კავშირებითი ბასკურში ჩაისახა იმ დაპირისპირების საფუძველზე, რომელიც არსებობდა მეშველ ზმნებს შორის. „ყოფნა“ და „ქონა“ ზმნები არ გამოხატავენ დასრულებულობას, მაშინ როდესაც *di-* „გადაქცევა, გახდომა“ და *za-* „გაკეთება“ (ბისკ. *gi-* „გაკეთება“) ამ მნიშვნელობასაც მოიცავენ. ძველ ბასკურში, როდესაც *sartzen den* ნიშნავდა მხოლოდ:

„ის. ვინც შემოდის, რომ შემოდის“ (თხრობითი), sar dadin-ს შეეძლო აღნიშნა, როგორც: „ის, ვინც შემოდის, ან შემოვა“ (თხრობითი), ასევე: „რომ შემოვიდეს“ (კავშირებითი). პირველ შემთხვევაში sar dadin იბრუნვოდა, მეორეში კი—არა. Sartzen dela ნიშნავდა მხოლოდ: „ის როდესაც შემოდა, ის რომ შემოდის“ (თხრობითი), sar dadila კი მხოლოდ არაპირდაპირ ბრძანებას გადმოსცემდა, ანდა ძირითადად ან დამოუკიდებელ წინადადებაში—ბრძანებას ანდა სურვილს. დღეს sartzen deu || dela ტიპი თხრობით კილოს განეკუთვნება, sar dadin || dadila კი—ბრძანებითს.

პრეფიქსი ხა- „თუ“. ბასკურში ორი სახის ხა- პრეფიქსიანი ფორმა გვაქვს. პირველს მტკიცებითის ფუნქცია აქვს და ძირითად ან დამოუკიდებელ წინადადებაში მოგვევლინება. მეორე აღნიშნავს პირობას და, ძირითადად, მხოლოდ დაქვემდებარებულ წინადადებაში გამოიყენება. ამ მეორე ფორმას პირობით კილოს უწოდებენ. მაგალითად, badut, რომელიც ნიშნავს: „მე რომ ის მქონდეს“. პირველი ტიპის ხა-წარმოადგენს მტკიცებითის ნაწილს, რომელსაც, ხა-ის „ღიახ“ მსგავსად, დამოუკიდებელი არსებობა აქვს: jinen dx, ხა „ის მოვა, ღიახ“. მტკიცებითისა და პირობითის ფორმები შემდეგი სამი ნიშნით გაირჩევა ერთმანეთისაგან:

1. უარყოფა ez შეიძლება დაერთოს პირობითს, მტკიცებითს კი—არა,
2. პირობითის ხა- ჩვეულებრივ არ დაერთვის მიმართვის ფორმებს.
3. როგორც წესი, არა გვაქვს შესაძლებელი პირობითის აღმნიშვნელი ფორმების შესაბამისი მარტივი, ან მტკიცებითის ხა- პრეფიქსიანი ფორმები. ქვემოთ მოყვანილ ტაბულაში აღნიშნული ფორმები გამოხატავენ შემდეგს მნიშვნელობებს: „მე მაქვს ის“, „მე რომ მქონდეს ის“, „მე რომ მქონოდა ის“.

ძირითადი ფორმა	მტკიცებითის ხა-	პირობითის ხა-
dut	badut	badut
diat (სასუბრო)	badiat	(არ არის)
(არ არის)	(არ არის)	banu
ez dut, ezut	ez dut, ezut	ez badut, ezpadut

საკმაოდ ხშირად პირობითის ფორმებს წინ უძღვის ნაწილაკი ხა-დინ ან ხა-ლინ, რომელსაც ზოგჯერ eta დაერთვის და რომლის ეტიმოლოგიაც ნათელი არ არის.

პირობითის ზოგი ფორმა პირველ ჯგუფს განეკუთვნება, ზოგიც— მეორეს. პირველი გამოხატავს სარწმუნო ვარაუდს აწმყოს ან მომავლის-ათვის. მეორე ჯგუფის პირობითი ფორმები კი აღნიშნავენ ვარაუდს, რომელიც შესაძლებლობის სფეროს ან წარსულს განეკუთვნება. *Amorosek bada:гите behind bere nahia, Handiago jiten zaie berze nahikaria* (დეჩეპ., II. 45—46) „თუ შეყვარებულნი თავიანთ სურვილს ერთხელ შეისრულებენ, მათ უფრო დიდი სურვილი გაუჩნდებათ სხვა რამისა“. *Gizonek utzi balitzate, elaidite faltarik* (დეჩეპ., III. 2) „კაცები თუ მათ თავს დაანებებენ, ქალები სისულელეებს აღარ ჩაიდენენ“. *Sosa balimbazuen, gestatzen zuen* „მას რომ ფული ჰქონოდა, დახარჯავდა“.

პირობითი, რომელსაც მოსდევს *ere* „აგრეთვე, მაინც“ უდრის ფრანგულ „*même si*“-სა და „*quoque, bien que*“-ს: *eri bada ere, lan egiten du* შეიძლება ნიშნავდეს: „აედაც რომ არის, მაინც მუშაობს“, ან: „მიუხედავად იმისა, რომ აედაც არის, მაინც მუშაობს“.

პირობითის *ba-* წარმოშობით სხვა არაფერია, თუ არა მტკიცებითის *ba-* გარკვეული წინადადეგებიდან ჩანს, თუ როგორ გახდა შესაძლებელი კატეგორიული მტკიცებიდან სავარაუდოზე გადასვლა: დეჩეპარე, ფიქრობს რა თავის მტრებზე, რომლებმაც იგი დაატყვევეს, შემდეგი სიტყვებით მიმართავს ღმერთს (XIII. 33—34): *Nik eniak badauskit ene gaitzaz bozturik Zure eskuiaz dakuskidan heiek gaztigaturik. Badauskit* ნიშნავს, ან: „მე მათ ეხედაე“, ან: „თუ მე მათ დავინახავ“. პირველ რედაქტორს სასენი ნიშნები არ დაუსვამს სტროფებს შიგნით, ამიტომ იგი შეიძლება გავიგოთ ან როგორც „მე ეხედაე ჩემს მტრებს, გახარებულთ ჩემი განსაცდელით. დაე, ენახო მე ისინი შენი ხელით დასჯილნი!“, ან „თუ მე დავინახავ ჩემს მტრებს, გახარებულთ ჩემი განსაცდელით, დაე, ვიხილო მე ისინი შენი ხელით დასჯილნი!“

პრეფიქსი *bait-*, რომლისგანაც გარკვეულ რაიონებში ვიღებთ *beit-*სა და *bit-*ს, წინათაც და ახლაც, აღნიშნავს, რომ ზმნური ფორმა, რომელსაც იგი მიერთვის, სხვა ზმნურ ფორმას უკავშირდება. იგი წინადადეგებს შორის დაქვემდებარების ურთიერთობას გამოხატავს (Lafon 1966). *Eria baita, ez da jinen* „რადგანაც ის აედაა, არ მოვა“; *aita hil zaio, aspaldi eria baitzen* „მან დაკარგა მამა, რომელიც დიდ ხანს აეადმყოფობდა“. ბასკი მწერლები, როდესაც მათ ლათინურიდან, ფრანგულიდან ან ესპანურიდან მიმართებითი წინადადეგების შემცველი ფრაზების გაღმოთარგმნა უხდებოდათ, ამისათვის იყენებდნენ როგორც მიმართებით სუფიქსიან ფორმებს, ასევე *bait-* პრეფიქსიანებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმები განსხვავებული



ხასიათისანი არიან და წინადადებათა განსხვავებულ სტრუქტურებს განეკუთვნებიან. bait- პრეფიქსიან ფორმებს ხშირად წინ უძღვის განუსაზღვრელ-კითხვითი nor და zer ან მათგან ნაწარმოები ზმნიზედები და კავშირები. Nor, zen ამ შემთხვევებში უდრის: „ის, რომელიც“. Nor baitago nitan, eta ni hartan, hark ekharten du frutu anhitz (ლოსარ., იოანე, 15,5) „მას, ვინც ჩემში ცხოვრობს, და მე მასში, ბევრი ნაყოფი მოაქვს“. შეიძლება ითქვას აგრეთვე: Nitan dagoenak, eta ni hartan, ekharten du frutu anhitz. ამის შედეგად მიმართებითი ფორმისა და მისი წინამავალი სახელის შემცველი ფრანგული და ესპანური წინადადების კალკები მივიღეთ; მათში nor, zer, zein „რომელი?“ იხმარება მიმართებითი ნაცვალსახელების ფუნქციით: ikusi dut haur bat, zeinek hamar urthe baituke „მე ვნახე ბავშვი, რომელიც ათი წლისა იქნებოდა“. საკუთრივ ბასკურისათვის დამახასიათებელი, სწორი ფორმა იქნებოდა: ikusi dut hamar urthe dukeen haur bat, ან: ikusi dut haur bat, hamar urthe dukeena, მიმართებითი ფორმით: dukeen.

სულეტურსა და რონკალურში ნაწილაკები bait, bai, baiko დაისმის ნამყოს მიმღეობის შემდეგ და ნიშნავს: „როდესაც, როდისთვის, მაშინვე როგორც კი“. სულეტ. zü jin bait, eginik düket „მე ეგ გაკეთებული მექნება თქვენი ჩამოსვლისათვის“; Heriua da laztüko Phiztürik ikhüsi baiko Gizóna jüjamentüko (გ. ებფერეს 'Canon G. Eppherre' მიერ შესრულებული „Dies irae“-ს ახალი თარგმანი) „სიკვდილი შეშინდება მაშინვე, როგორც კი დაინახავს, რომ კაცი აღდგა სამსჯავროსათვის“. ეს ნაწილაკები განაზავენ წინამავალ სინტაგმაში გამოხატულ მტკიცებას და, ამავე დროს, ამ სინტაგმის საზღვარსაც აღნიშნავენ. ზემომოყვანილი პიჯველი წინადადება თავდაპირველად ნიშნავდა: „თქვენ კარგად მოსულნი, მე ეგ უკვე გავაკეთე“. მეცხრამეტე საუკუნის ლაბურდულში, ერთ-ერთ ბიოგრაფიაში, bai-ს წინ უძღვის პირიანი ზმნური ფორმა და ნიშნავს: „მაშინვე, როგორც კი“: xilinsa tintin, aditzen zen bai, akhabo jostetak „მაშინვე, როგორც კი ზარის რეკა გაიგონეს, თამაშობანი შეწყდა“ (GH-ში პ. არადოს 'P. Arradoy' მიერ გამოცემული ტექსტი, 1967, გვ. 145); ამ მაგალითის ძირითად წინადადებაში ზმნა არ არის წარმოდგენილი.

განუსაზღვრელი ფორმები იწარმოება კითხვითებზე bait-ისა და მისი ვარიანტების დართვით: norbait „ვიღაც“, zerbait „რალაც“. კითხვითი ფორმები ძველ ბასკურში განუსაზღვრელის ფუნქციითაც იხმარებოდა. -bait-ის დართვა კი მათ კითხვითობის ყოველგვარ შინაარსს უკარგავს.

ეს -bait უღრის ზმნურ პრეფიქსს bait-. განვიხილოთ ლისარაგას ზემომოყვანილი წინადადება (გვ. 62): nor baitago nitan, eta ni hartan, hark ekharten du frutu anhitz. ადვილი დასაშვებია, რომ nor baitago შეიძლება მომდინარეობდეს უფრო ძველი ფორმისაგან: \*nor bait dagi, რაც ნიშნავდა „ვილაც ცხოვრობს“. თავდაპირველად აქ უნდა ყოფილიყო უკავშიროდ გაერთიანებული, ორი ერთმანეთის მომდევნო წინადადებისაგან შემდგარი თანწყობილი წინადადება, მხოლოდ ხანმოკლე პაუზით ამ წინადადებებს შორის და hartan ის („მასში“) შემდეგ ტონის დაწევის გარეშე: „ვილაც ცხოვრობს ჩემში, და მე მასში, მას ბევრი ნაყოფი მოაქვს“. შემდგომში განვითარებამ იგი აქცია ქვეწყობილ კონსტრუქციად, რომელშიაც პირველი წინადადება ექვემდებარება მეორეს. შემდეგი ორი სინტაგმა: norbait dagi „ვილაც ცხოვრობს“ და nor baitago „ის ვინც ცხოვრობს“, წარმოადგენს ორ განსხვავებულ წარმოებას ადრეული \*nor bait (დაგი-საგან, სადაც bait უკავშირდებოდა ნაცვალსახელს ან ზმნას განურჩევლად, დადებითის ფუნქციით ორსავე შემთხვევაში. bait- პრეფიქსიანი ზმნური ფორმების გამოყენება eta „და“ კავშირიან თანწყობულ წინადადებაში იმ პერიოდიდან მომდინარეობს, როდესაც bait ჯერ კიდევ მტკიცებითს ნაწილს წარმოადგენდა და იხმარებოდა იმ სიტყვის ან სინტაგმის გასახაზავად, რომელსაც იგი თან ახლდა.

ამრიგად, სინტაქსური ფუნქციის მქონე ბასკური ზმნური პრეფიქსები ba- („თუ“) და bait- (დაქვემდებარების აღმნიშვნელი), მომდინარეობს ორი მტკიცებითი ნაწილაკისაგან, რომელთაგანაც მეორე პირველისაგანაა ნაწარმოები.

ამ უკანასკნელი ოცდახუთი წლის მანძილზე გამოქვეყნებულმა შრომებმა ნათელყო, რომ ლათინური და რომანული ენების სინტაქსის მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია ბასკურზე, ალბათ, იმიტომ, რომ ამ ენათა სტრუქტურები ღრმად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამასთანავე, გავლენა უფრო ძლიერი იყო სალიტერატურო ენაზე და არა ზეპირ მეტყველებაზე, განსაკუთრებით კი იმათ მეტყველებაზე, ვინც მხოლოდ ბასკური იცოდა ან მხოლოდ ბასკურად ლაპარაკობდა (იხ. Lafon 1957—58 და 1966).

## VII. ლექსიკა

ეურნალებში გამოქვეყნდა დიდი რაოდენობით განსხვავებული მოცულობისა და მნიშვნელობის წერილები ბასკური ლექსიკის შესახებ. მათგან მეტი წილი ძირითადად დიალექტოლოგიურ ინტერესებს აკმაყოფილებს, ზოგი კი ძალზე მნიშვნელოვანია. გამოიცა ლექსიკონებიც.

განსაკუთრებით საყურადღებოა პ ლანდეს (P. Lhande) ბასკურ-ფრანგული ლექსიკონი (1938), თუმცა იგი მხოლოდ საფრანგეთის ტერიტორიის დიალექტებს მოიცავს. ი. ლარასკემ (J. Larrasquet) თავის „აღმოსავლეთ ქვემო-სულეტურ ბასკურში“ *Le Basque de la Basse-Soule orientale* (1939) ამ დიალექტის ლექსიკონი მოგვცა; მან ლანდეს ზოგი შეცდომა შეასწორა და რაც მთავარია, გაგვაცნო ამ ფორმათა თანამედროვე წარმოთქმა და მახვილის ადგილი. აღსანიშნავია ა. ტურნიესა (A. Tournier) და პ. ლაფიტის ფრანგულ-ბასკური ლექსიკონი (1954). ტ. ეჩებერიას (T. Echeberria) ლექსიკონი ეიბარის (Eibar) ბასკურისა (1965—66) ასალ ცნობებს გვაწვდის ამ მეტყველების შესახებ, რომელიც გიპუსკოურის ბისკაიურ კილოს წარმოადგენს.

ხელნაწერი ლექსიკონი, რომელიც ლანდუჩის (Landucci) მიეწერება (1952) და 1957 წელს გამოსცეს ლ. მიჩელენამ და მ. აგუდმა, წარმოგვიდგენს დიალექტს, რომელიც ერთგვარ სიახლოვეს ამქაღვენებს ბისკაიურთან, თუმცა განსხვავება მისგან და, რომელზედაც უთუოდ ლაპარაკობდნენ ალავაში (Alava), ვიტორიას (Vitoria) რაიონში; გამოძკემლები მას „სამხრულს“ უწოდებენ.

ასკუესა და ლანდეს ლექსიკონები აღარ იბეჭდება და ამიტომ სასურველი იქნებოდა ისინი ისევ გამოგვეცა, სათანადო შესწორებებისა და შევსების შემდეგ, თუმცა ეს ხანგრძლივი და ძნელი სამუშაო იქნება. ლ. დასანსი (L. Dassauce), პარიზელი და ლაფიტი გამოსაცემად ამზადებენ ბასკურ-ფრანგულ ლექსიკონს, რომელიც ბასკური ლექსიკონის ყველა არსებით მხარეს განიხილავს. საჭიროა დაიწყოს მუშაობა დიდ ბასკურ-ფრანგულ-ესპანურ ლექსიკონზე და, აგრეთვე, ბასკური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონზედაც.

ბასკური ლექსიკონის ერთადერთ სტრუქტურალისტურ გამოკვლევას ულენბეის ზემოხსენებული სტატია წარმოადგენს (გვ. 32). საინტერესოა ვნახოთ, რა არის ნათქვამი სიტყვაწარმოების შესახებ ასკუეს „მორფოლოგიასა“ და ლაფიტის „გრამატიკაში“. ასკუეს (1925: § 594—8), მაგალითად, საყურადღებო დაკვირვებები აქვს გაორმაგებული სიტყვების შესახებ, განსაკუთრებით კი იმათ შესახებ, რომელთაც მეორე ელემენტის პირველ ბგერად m აქვთ; მაგალითად: erran-merran „ზღაპრები“ erran-ისაგან „ნათქვამი“ (ნამყოს მიმღეობა), nahaz-mahaz „არეულობა“ nahaz-ისაგან „ერთად“, „წესრიგის გარეშე“.

ზოგი სიტყვა საერთოა ყველა ბასკური დიალექტისათვის; სხვები მხოლოდ რამდენიმე დიალექტში გვხვდება, ზოგი კი—ერთ დიალექტში ან კილოკავში. ძალიან ბევრი სიტყვას ეტიმოლოგია უცნობია. ჩვენი აზრით, ბასკურსა და მასთან უთუოდ დაკავშირებულ კავკასიურ


ენებს აქვთ საერთო წარმომავლობის სიტყვები, ბევრია ბასკურში განსხვავებული ენებისაგან ნასესხები სიტყვები: ჩვენთვის უცნობი ან ნაკლებ ცნობილი ენებისაგან, რომლებზედაც ძველად ლაპარაკობდნენ პირენეებში, ალპებსა და სარდინიაში; ქამიტურ-სემიტურისაგან, გერმანიკულისა და კელტური ენებისაგან; განსაკუთრებით კი—ლათინურისაგან. თავისი ისტორიის მანძილზე ბასკურმა ბევრი რამ შეითვისა რომანული ენებისაგან, რომლებთანაც მას მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა: ესპანურისაგან, ფრანგულისაგან და ბასკეთის სხვა მეზობელი რაიონების დიალექტებისაგან, განსაკუთრებით, გასკონიურისა და, ბოლოს, პროვანსალურისაგან (რომელზედაც ლაპარაკობდნენ ნაეარაში მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეთოთხმეტე საუკუნემდე). აქ უნდა ვახსენოთ აგრეთვე ბერტოლდის (Bertoldi), ულენბეკის (Anthropos, 1940—41), შუხარდტისა და გაველის ნაშრომები; უფრო ახლებიდან: როლფსის (Rohlf's), მიჩელენას, ტოვარის, ბოულდას, ჰუბშიმდისა და ლაფონის გამოკვლევები.

ტოპონიმია და ანთროპონიმია. ბასკური ონომასტიკა მოიცავს ბასკონიური და აკვიტანიური სახელების კვლევას. ადრე ჩატარებულ გამოკვლევათა სია მოცემულია ჟურნალ „Onoma“-ში გამოქვეყნებულ ლაფონის სტატიაში (1954), უფრო ახალი ბიბლიოგრაფია კი ახლავს მის სტატიას RIONO-ში (1965), Onoma ყოველ წელს აღნიშნავს რუბრიკებით „საფრანგეთი“ და „ესპანეთი“ ბასკური ონომასტიკისადმი მიძღვნილ ნაშრომებს. ლ. მიჩელენამ გამოაქვეყნა ძალზე მნიშვნელოვანი წიგნი „ბასკური სახელწოდებები“ Apellidos vascos (მე-2 გამოც., 1955) ბიბლიოგრაფიითა და სახელთა საძიებლით; ბევრი ტოპონიმის პოვნა შეიძლება მასში. ლუის დე ელეისალდემ (Luis de Eleizalde), რომელიც 1923 წელს გარდაიცვალა, 1922 წელს დაიწყო „ბასკური ტოპონიმებისა და ონომასტიკონის ანბანური სიის“ Listas alfabéticas de voces toponomásticas vascas გამოქვეყნება. ეს ნაშრომი დაუმთავრებელია, მაგრამ ძალზე საყურადღებოა. სიტყვები Pozuzarreta-მდე გამოქვეყნდა RIEB-ში (ბოლო ნომერი გამოიცა 1936 წელს), დანარჩენები კი BRSVAP-ის ორ ნომერში (XIX.241—73 და XX. 103—59, 1964).

## VIII. დიალექტოლოგია, რუკები, ტექსტები

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბისკაიურს განსაკუთრებული ადგილი უკავია ბასკურ დიალექტებს შორის და რომ მეთექვსმეტე საუკუნის „სამხრული“ დიალექტები, რომლებიც დღეს აღარ არსებობს, მასთან ერთგვარ სიახლოვეს ამჟღავნებდა, მაშინ ბასკურის რვა

დიალექტს შორის დამოკიდებულება გამოიხატება ქვემოთმოყვანილი დიაგრამით; იგი ითვალისწინებს დიალექტების გეოგრაფიულ მდებარეობას და მსგავსებებს მათ შორის უწყვეტი ხაზებით აღნიშნავს:



საფრანგეთის ბასკურის ყოველ დიალექტს აქვს კილოკავი, რომელზედაც ლაპარაკობენ პირენეების სამხრეთით. ამ კილოკავთა მიმართება ჩრდილო დიალექტებთან, ერთმანეთთან და ჩრდილო და სამხრეთ ზემო ნავარულთან განხილულია ლაფონის სტატიამში, რომელიც Pirenes-ში დაიბეჭდა (1955).

არ არსებობს ბასკურის რომელიმე კილოს ან დიალექტის სტრუქტურული გამოკვლევა. რაც შეეხება ამ კილოთა აღწერას, ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ: როლოს (Rollo) გამოკვლევა მარკინას (Marquina) ბისკაიურის შესახებ, ლარაკეს ნაშრომები აღმოსავლეთ ქვემო სულეტურის (მისი საკუთარი ენის) შესახებ, ასკუესი—რონკალურის შესახებ, მიჩელენასი—რონკალურსა და სალასარულზე (VD-ში).

გ. ბარმა (G. Bähr), დაბადებით გიპუსკოელმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დაიკარგა, გამოაქვეყნა სია ზმნური ფორმებისა, რომლებიც მომდინარეობს სხვადასხვა რაიონებიდან, სადაც გიპუსკოურ დიალექტზე ლაპარაკობენ (RIEB, ტ. XVII და შემდგომ). ლაფონმა შეისწავლა და VD-ში გამოაქვეყნა ლარო-ს სულეტურში ზმნის ფორმები და თავისებურებანი.

წლების მანძილზე მსჯელობის საგანს წარმოადგენდა ბასკურის ლინგვისტური და ეთნოგრაფიული ატლასის გამოცემა. ბოლოსდაბოლოს, მზადება დაიწყო (ე. პარიჩელარი, პ. ლაფიტი, ე. ალიერი 'J. Allières', ლ. მიჩელენა, ქ-ნი ა. მ. ეჩაიდე (Mlle A. M. Echaide). ე. ალიერი, რომანულის სპეციალისტი, რომელიც ადრე გასკანიური რაიონის ენათმეცნიერულ და ეთნოგრაფიულ გამოკვლევებს აწარმოებდა, თანდათან დაინტერესდა ბასკურით. მან საგანგებოდ შეისწავლა ერთი და იმავე ფრანგული ტექსტის თარგმანი, შესრულებული 1887 წელს საფრანგეთის ბასკეთის განსხვავებულ დიალექტებზე. მიღებული მონაცემები რუკებზე გადაიტანა, რითაც მეტად მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი შრომა გასწია.

დიალექტური ტექსტები, სიმღერები, ზღაპრები და მოთხრობები შეაგროვეს და გამოსცეს სხვადასხვა დროს: *შუხარდტმა*, ასკუმე, დონოსტიამ (Father Donostia), ბარანდიარანმა (J. M. Barandiarán), ლ. დასანსმა, პ. დიუნ-პეტრემ და ე. ჰარიჩელამა. ამ უკანასკნელმა 1969 წელს გამოაქვეყნა სულეტელი პოეტის ენაქონის სიმღერების კრიტიკული გამოკვლევა თარგმანიურად.

ბევრი ძველი ტექსტი, რომელიც ძნელი იყო ხელმისაწვდომად, ხ. დე ურკიხომ გააცნო ფილოლოგებსა და ენათმეცნიერებს. მან RIEB-ში გამოაქვეყნა კლასიკური შრომების ფოტოპირები, როგორცაა ამჟღაღარის Guero (ასი გვერდის გამოკლებით), დეჩეპარეს ლექსები, ოიპენარტის ანდაზები და ლექსები. ამავე ჟურნალში გამოაქვეყნა მან 1596 წლის Refranes y Sentencias, მეტად საჭირო კომენტარითურთ. მან გამოსცა გარიბაის (Garybay) ბასკური ტექსტები საყურადღებო შესავლით. ჟურნალ BRSVAP-ში ბასკური ფილოლოგიის სემინარისა და მისი ხელმძღვანელის ლ. მიჩელენას წყალობით გამოიცა ბეტოლასას (Bctulaza) „ქრისტიანული მოძღვრების“ (Doctrina cristiana) ბისკაიური თარგმანი (1596). ჩვენც შევეძლით BRSVAP-ში გავოგვექვეყნებინა დეჩეპარესა და ოიპენარტის ლექსების ფრანგული თარგმანი, კრიტიკული და განმარტებითი შენიშვნებითურთ; აგრეთვე დეჩეპარეს ენის გამოკვლევა და შენიშვნები ბეტოლასას ენის ზმნაზე.

მიჩელენას უნდა ვუმაღლოდეთ „არქაული ბასკური ტექსტების“ Textos arcaicos vascos (1964) შესანიშნავ კრებულს, რომელშიაც იშვიათი ტექსტებია თავმოყრილი და შენიშვნებით აღჭურვილი. მისი თაოსნობით გამოიცა აგრეთვე „ბასკური ფილოლოგიის სემინარის წელიწდული“ Anuario del Seminario de Filología vasca Julio de Urquijo (პირველი ნომერი 1967).

## IX. ბასკურის წარმომავლობის პრობლემა

უახლესი ცნობები ამ საკითხზე მოცემული აქვს ლაფონს (1951, 1953, 1965).

1918 წლის შემდგომს პერიოდში ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთა მანუელ გომეს-მორენომ (Manuel Gómez Moreno), რომელმაც შეძლო გაეშიფრა იბერიული დამწერლობა (პირველი სტატია 1922 წელს გამოქვეყნდა). ამ აღმოჩენამ ნათელყო, რომ ბასკური აგრძელებს აკვიტანიელებისა და ბასკონიელების ენას და არ მომდინარეობს იბერიულისაგან. ამასთან ერთად, წარმატებით მიმდინარეობდა მუშაობა (განსაკუთრებით ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე) ბასკურისა და კავკასიური ენების შედარებითი შესწავლის მიმართულებით. დადგე-

ნილ იქნა, რომ ანტიკურ ხანაში ბასკური ენა გავრცელებული იყო ბევრად უფრო დიდ ტერიტორიაზე, ვიდრე დღეს.

პირენეის ქედის სხვადასხვა ბოლოში არსებული ორი ქალაქი ბასკურ სახელს ატარებდა: დასავლეთით, ატლანტიკის სანაპიროსთან ახლოს: ბერძნ. Oíatsō, გენეტ. Oiasónos, ლათ. Oiarso, დღეს: Oyarzun, საფრანგეთის საზღვარსა და სან-სებასტიანს შორის; აღმოსავლეთით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან ახლოს, პერპინიანსა (Perpignan) და ესპანეთის საზღვარს შორის: Iliberri, რაც ბასკურად „ახალ ქალაქს“ ნიშნავს. არა მარტო აკვიტანიაში, არამედ ოდსა (Aude) და გარშიც (Gard) ლათინურ წარწერებში აღმოჩნდა სამასამდე სახელი (ადამიანისა, ადგილისა თუ ხალხისა), რომელიც არც ლათინურია და არც კელტური, და ემთხვევა ან ჰგავს ბასკურ სიტყვებს. უფრო მეტიც, Auzci სახელი იმ ხალხისა, რომელიც ოშის (Auch) რაიონში ცხოვრობდა, ისევ ბასკურში მოიძებნება: euskara. პირენეების სამხრეთით ბასკონიელებს ეჭირათ დღევანდელი ნავარის ტერიტორია — მონაკეთი, რომელიც მოიცავდა ოიარსუნსა (Oyarzun) და სარაგოსას (Saragussa) და უესკას (Huesca) პროვინციების ნაწილს. მონაკემები ამ ტერიტორიის შესახებ არ არის ისეთი სრული, როგორც ჩრდილოეთისა. მაგრამ აქაც ზოგიერთი ქალაქისა და პიროვნების სახელი, რომელთაგანაც ზოგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 90 წლის ძეგლებში იქნა დადასტურებული, ამჟამად ბასკური ხასიათისაა. ერთ-ერთ ლათინურ წარწერაში, რომელიც აღმოჩენილ იქნა ლერგაში 'Lerga' (ნავარა) — რაიონში, სადაც მეთექვსმეტე საუკუნეში ჯერ კიდევ ლაპარაკობდნენ ბასკურად — მოიხსენიება სახელი Soliar, რაც ბასკურად ნიშნავს: „მოხუცი“. დაბოლოს, უფრო აღმოსავლეთით. კატალონიაში, ახლახანს აღმოჩნდა ქვა, რომელზედაც იკითხება სახელი: L. Iunius Iaurbeles; უკანასკნელი სიტყვა წარმოადგენს კომპოზიტს, რომელიც ბასკურად ნიშნავს „შავ ბატონს“.

აკვიტანიური და ბასკონიური ენები ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ დოკუმენტებიდან (ძვ. წ. მესამე საუკუნე — ახ. წ. მესამე-მეოთხე საუკუნეები) და ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი წინადადება ან სინტაგმა ამ ენებზე. არ ვიცნობთ არც ერთ მათს ზმნურ ფორმას; ვიცით მხოლოდ სახელები ნომინატივის, დატივის ან, უფრო იშვიათად, გენეტივის ფუნქციით, უნიშნოდ ან ლათინური სახელების დაბოლოებებითურთ. აკვიტანიურისა და ბასკონიურის ფონოლოგიური სისტემა ძალიან ჰგავს ისტორიულად ჩვენთვის ცნობილ ბასკურ სისტემას; მეტად აღვლია დავინახოთ, თუ როგორ მომდინარეობს ეს უკანასკნელი ძველი სისტემისაგან (შდრ. ზემოთ, გვ. გვ. 23 და 29). გარდა ამისა, აკვიტანიურში იყო გარკვეული სიტყვაწარმოებითი სუფიქსები, რომლებიც ბასკურ-

შიც მოიპოვება. ექვს გარეშეა, რომ აკვიტანიური და ბასკონიური, რომლებიც ესოდენ ჰკვანან ერთმანეთს, ბასკური ენის ადრეულ ფორმას წარმოადგენენ.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბასკური ტოპონიმები აღმოჩნდა აკვიტანიისა და ბასკონიის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზეც, სერდანში (Cerdagne), კატალონიაში და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე (ილიბერი—Iliberri), უნდა დავასკვნათ, რომ ორი ათასი წლის წინათ ბასკური გავრცელებული იყო ატლანტიკიდან ხმელთაშუა ზღვამდე, პირენეის მთებში და დაბლობ რაიონებში და ზოგ ადგილას რონას აუზამდეც აღწევდა.

ახლა ველარ გავიმეორებთ ჰუმბოლდტის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „ბასკური ტოპონიმები მთელ პირენეის ნახევარკუნძულზე გვხვდებაო“, მაგრამ ყაქტია, რომ ისინი მოიპოვება ანდალუზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ესპანეთში; ზოგი მათგანი ძველ მწერლებს აქვს ნახსენები, სხვები კი მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში იქნა დადასტურებული (Lafon, 1955). შესაძლებელია ზოგი თანხედენა შემთხვევითი იყოს ან შემოსევების შედეგად მოსახლეობის გადანაცვლებით აიხსნას. მაგრამ „ილიბერი“, სახელწოდება ქალაქისა ბაეტიკაში, რომელიც ახლანდელ გრანადის ტერიტორიას მოიცავდა, უეჭველად ბასკური წარმოშელობისაა. იგი მხოლოდ ისტორიულად შეიძლება აიხსნას.

იბერიულის შესწავლა წარმატებით მიმდინარეობდა 1918 წლის შემდგომ პერიოდში, რასაც ესპანელ მკვლევრებს უნდა ვუმაღლოდეთ. ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია გომეს-მორენოს, ხ. მალუკერ დე მოტესისა (J. Maluquer de Motes) და საფრანგეთიდან—მ. ლეჟენის (M. Lejeune) გამოკვლევები, რომლებიც სხვა ნაშრომებზე მითითებებსაც შეიტყვენ. დღესაც ეპოულობთ უცნობ იბერიულ წარწერებს და ამიტომ საჭიროა შეიქმნას ამ წარწერათა კრებულები და აგრეთვე გაგრძელდეს ტოვარის მიერ დაწყებული შრომა: „იბერიულ წარწერათა ლექსიკონი“ *Léxico de las inscripciones ibéricas* (1951). მაგრამ ამ ამოცანების გადაჭრა უფრო მეტ მკვლევრებს მოითხოვს.

იბერიული გავრცელებული იყო სანაპირო რაიონში ენსერუნიდან 'Enseruene' (ნარბონასა 'Narbonne' და ბესიერს 'Béziers' შორის) ალიკანტემდე 'Alicante'; აგრეთვე სილრმეშიც, მდ. ებროს ხეობაში. ლერიდასა (Lérida) და სარაგოსამდე. მასზე ლაპარაკობდნენ აგრეთვე იმ რაიონში, რომელიც ალიკანტესა და კორდოვას შორის მდებარეობს.

იბერიული წარწერები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, განეკუთვნება პერიოდს ძვ. წ. მეოთხე (ან შესაძლოა, მეხუთე) საუკუნიდან ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე (ხ. მალუკერ დე მოტესი). ზოგისათვის



ბერძნული ასოებია გამოყენებული, უმეტესობა კი საკუთარი დამწერლობითაა წარმოდგენილი. ეს დამწერლობა ხშულებს (მკლერებისა და ყრუების გარჩევის გარეშე) სილაბური ნიშნებით გამოხატავს. ასოების უმეტესობა ბერძნული წარმომავლობისაა, ზოგი კი შეიძლება სემიტური ან რაიე სხვა წარმომავლობისა იყოს. წარწერები იკითხება მარცხნიდან მარჯვნივ მთელ სანაპირო რაიონში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ესპანეთში კი ძირითადად მარჯვნიდან მარცხნივ და შეიცავს ზოგ განსაკუთრებულ ნიშანს.

ჩვენ შეგვაქვია იბერიული ტექსტების წაკითხვა, მაგრამ არ გვესმის მათი მნიშვნელობა. არა გვაქვს ორენოვანი ტექსტები; ვერც ბასკურის დახმარებით მოხერხდა იბერიული გაგება. თსუთმეტი საუკუნე აშორებს უახლეს იბერიულ ტექსტს უჩველეს ბასკური ტექსტებისაგან; გარდა ამისა, არც ქრისტიანული ეპოქის დასაწყისის ბასკური მორფოლოგია და სინტაქსი არის ჩვენთვის ცნობილი. მაგრამ იბერიულის ფონოლოგიური სისტემა ბევრ მსგავსებას ამჟღავნებს აკვიტანიურთან და ბასკონიურთან. უფრო მეტიც, იბერიული სიტყვების ზოგი მორფოლოგიური ელემენტი: *ba-, -ke-, -ai* ბასკურს მოგვაგონებს.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვერ გავაგივებთ მათ ბასკურის ასეთსავე ელემენტებთან, რადგან არ ვიცით არც მათი მნიშვნელობა და არც იმ სიტყვებისა, რომელთაც ისინი დაერთვის. იბერიულში არის სუფიქსი *-ca* რომელიც, როგორც ჩანს, გენეტივს აღნიშნავს და ფორმის მიხედვით ემთხვევა ბასკურის გენეტივის სუფიქსს. არის აგრეთვე სუფიქსები *-ar, -tar*, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ვინმე წარმოშობით აქა და ამ ქალაქიდანა ან ქვეყნიდან, ან გარკვეული ოჯახიდანაა, და რომლებიც ჰგავს ამავე ფუნქციის მქონე აკვიტანიურ და ბასკურ დაბოლოებებს: *-ar, -tar*. დაბოლოს, დაახლოებით ორმოცი იბერიული სიტყვა ემათხვევა ან ჰგავს ბასკურ სიტყვებს. მაგ. *belex*, რომელიც მოგვაგონებს აკ-

ვიტ. *belex*, ბასკ. *beltz* „შავი“; *arxi*, რომელიც მოგვაგონებს ბასკ. *arxi* „ნათელი, ბრწყინვალე“. ასეთ დამთხვევებს ვერ ავხსნით შემთხვევითობით ან სესხებით. მაგრამ ვერც იმას დავასკვნით, რომ ბასკური იბერიულისაგან მომდინარეობს, რადგანაც ეს რომ ვივარაუდოთ, მაშინ გამოვა, რომ აკვიტანიურიც და ბასკონიურიც, როგორც იბერიულს თანამედროვე ბასკურის აღრეული ფორმები, იბერიული ენებია.

მართალია, არა გვაქვს არც ერთი აკვიტანიური ან ბასკონიური წინადადება, მაგრამ მაინც შეგვიძლია შევადაროთ ერთმანეთს იბერიული და აკვიტანიურ-ბასკონიური სიტყვები ერთი და იმავე ეპოქისა — მეორე და პირველი საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე (იბერიული სიტყვები, რომლებიც გვხვდება მალუქერთან, №№ 180—204 და

324—513). აღმოჩნდება, რომ განსხვავებები დიდად სქარბოპს მსგავსებებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა ენასთან და არა ერთთან. ასე მაგალითად, *aiunescertar* (189) შეიცავს *-tar* სუფიქსს, *escer* მოგვაგონებს ბასკურ *esker*-ს „მარცხენა“, მაგრამ *aiunescer* არაუფერს არ უკავშირდება ბასკურში. ასევე, ფინალური *-wi* (ჩვენებითი? სუფიქსური არტიკლი? ნომინატივი?), რიჟელიც სპირია იბერიულში, ბასკურის არც ერთ ფორმას არა ჰგავს. იბერიული სიტყვის *argisabam* პირველი ნაწილი, *argi*, ბასკურშიაც და იბერიულშიაც გვხვდება; მაგრამ არც აკვიტანიურში, არც ბასკონიურში და არც ბასკურში არა გვაქვს *m*-ზე დაბოლოებული სიტყვები, მაშინ როდესაც იბერიულში ორი ამგვარი მაგალითის პოვნა შეიძლება: *-sabam* და *surtoiloikekobam* (№ 17; ულასტრეტი, ძვ. წ. მეოთხე საუკუნე); ეს ფორმები არაფერს არ უკავშირდება ბასკურში.

ამრიგად იბერიულთან ვერ გავაგიჟებთ აკვიტანიურსა და ბასკონიურს, ბასკურის ადრეულ ფორმებს. კვლევის თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია დავასკვნათ, რომ ბასკური იბერიულისაგან მომდინარეობს; თუმცა სრულიად კანონიერი იქნება ვივარაუდოთ, რომ ამ ორ ენას შორის არსებობს ნათესაური კავშირი, კავშირი უფრო შორი და არაპირდაპირი, ვიდრე უშუალო ჩამომავლობა. რაც შეეხება ბასკურისა და ქამიტურ-სემიტური ენების ნათესაობას, ვერც 1918 წლამდე და ვერც 1918 წლის შემდეგ ვერ მოხერხდა ამ ვარაუდის სასარგებლოდ საბუთების მოპოვება რეკულარული ფონეტიკური შესატყვისობებისა თუ მორფოლოგიურ მსგავსებათა სახით.

ერთადერთი ენები, რომლებიც შედარებითი მეთოდის წესების მიხედვით შეიძლება შევედაროთ ბასკურს, არის კავკასიური ენები. ბასკურისა და ამ ენების გენეტიკური კავშირის თვალსაზრისს იზიარებდნენ: შუხარდტი, ტრომბეტი, ვანკლერი, მარი, აგრეთვე: ულენბეკი, დიუმეზილი, ბოუდა და ლაფონი. უფრო ზუსტი არგუმენტები მოპოვებულ იქნა ძირითადად 1923 წლის შემდეგ.

ძალზე განსხვავებული სტრუქტურის მქონე ეს ენები (რაოდენობით დაახლოებით ორმოცი) შეიძლება ორ დიდ ჯგუფად დაიყოს: 1. ჩრდილო კავკასიურ ენათა ჯგუფი. რომელიც ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანია, შეიცავს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ენებს (აფხაზურს, ჩერქეზულს ანუ ადიღეურს, უბიხურს), ცენტრალურ ენებს (ჩაჩნურ-ნახურს) და ჩრდილო-აღმოსავლეთის, ანუ დაღესტნის ენებს (ხუნძურს, ლაკურს, დარგუულს და ა. შ.); 2. სამხრეთ ნა-

წილის სამი ენისაგან შემდგარი ქართველურ ენათა ჯგუფი (ქართული, მეგრულ-ჭანური ანუ ზანური და სვანური). ეს ენები აშკარა ერთიანობას ქმნიან.

შედარებითმა გამოკვლევებმა ამ ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ენებში დიდ წარმატებას მიაღწია უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე. ეს ჩანს ერთ კუიპერსის (Aert H. Kuipers) მიერ კრებულ „ენათმეცნიერების თანამედროვე მიმდინარეობებისათვის“ (Current Trends in Linguistics) დაწერილი მონაკვეთიდან „კავკასიური ენის“ შესახებ (ტ. I, გვ. 315—44) და საბჭოთა ენათმეცნიერთა ერთი ჯგუფის (ე. ა. ბოკარევისა და ქ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით) დიდი კოლექტიური ნაშრომიდან „იბერიულ-კავკასიური ენები“ (Иберийско-кавказские языки), რომელიც მოსკოვში გამოიცა 1967 წელს.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკუთრებული. კავკასიური ენების შედარებითი მასალა არასაკმარისია. გარდა ამისა, ბასკურისა და კავკასიური ენების მიმართ შედარებითი მეთოდის გამოყენებას გააძნელებს ის გარემოება, რომ კავკასიური ენების უმეტესობა მხოლოდ გასული საუკუნიდან არის ცნობილი, მხოლოდ ქართულში გვაქვს წერილობითი ძეგლები მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული. ამ ენებს განსხვავებული ფონოლოგიური სისტემები აქვთ, ისინი გაცილებით უფრო მდიდარია თანხმოვნებითა, ვიდრე—ბასკური. მეორე მხრივ, არც ერთი მათგანი არ უპირისპირებს ერთმანეთს რბილსა და მაგარ რ-ს.

კავკასიური ენებისათვის საერთო თავისებურებებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ხშულებისა და აფრიკატების არტიკულაციის ორი წესი: სახმო ნაპრალის სრული ხშვით და მის გარეშე. ამ ენებს აქვთ ყრუ სუპრაგლოტალური ბგერები (მათ გლოტალიზებულებსაც უწოდებენ), რომელთა არტიკულაციას თან ახლავს გლოტალური ხშვა და ინფრაგლოტალურები, რომელთაგან ნაწილი ყრუ ფშვინვიერია, ნაწილი კი—მჟღერია. ამის შედეგად ვიღებთ სამეულებს, როგორიცაა t'/t/d, c'/c/z, რაც შეეხება ბასკურს, მას გლოტალიზებული ბგერები არა აქვს და მისი ყრუ ფშვინვიერებიც მხოლოდ ჩვეულებრივი ყრუ ბგერების ფონეტიკურ ვარიანტებს წარმოადგენენ (იხ. ზემოთ, გვ. გვ. 25—26).

ამ სიძნელების მიუხედავად ჩვენ შევძელით ზოგი ფონეტიკური შესატყვისობის დადგენა ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის. ასე მაგალითად, გლოტალიზებულ სიბილანტს ან პალატალურ თანხმოვანს (უფრო ხშირად აფრიკატს, იშვიათად სპირანტს) კავკასიურ ენებში შეესატყვისება ბასკურის ალვეოლარულ-პალატალური თანხმოვანი (ს ან ts), ხოლო არაგლოტალიზებულ სიბილანტს ან პალატალურ თანხმოვანს (სპირანტს ან აფრიკატს, ყრუს ან მჟღერს) კავკასიურ ენებში შე-

ესატყვისება ბასკურის წმინდა სიბილანტი (z ან tz): ბასკური su „ცეცხლი“ (ბასკურში თავკიდური ts გადადის s-ში) ~ ლაკური c'u, ჩერქეზული mas'°e (მა პრეფიქსია) „ცეცხლი“, ქარა. c'v- „წვა“, c'-ს შემცველი შესაბამისი ფორმებით თითქმის ყველა კავკასიურ ენაში; ბასკური -(t)zი- მრავლობითის ძველი სუფიქსი (იხ. ზემოთ. გვ. 37) ~ აფხაზური -c'z (ლაბიალიზებული სიბილანტი) — მრავლობითის სუფიქსი, უბიხური -c'z — სიჭარბის აღმნიშვნელი სუფიქსი; ბასკური zu „თქვენ“ (თანამედროვე ენაში ზრდილობიანი ფორმა, ძველს ენაში — მრავლობითი) ~ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიურის ვ° „თქვენ“ და ზu, zu, j°u-ს ტიპის ფორმები ცენტრალურსა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ენებში; ბასკური -autz „მდე, სანამ“ ~ აფხაზური -იუა, უბიხ. -იუიუა ამავე მნიშვნელობით.

ჩიგი ბასკური მორფოლოგიური ელემენტი დადასტურებულია კავკასიურ ენებში. ასე მაგალითად, პრეფიქსი r-, რომელიც ადრეულ ბასკურში კაუზატიური ზმნების საწარმოებლად იხმარებოდა, ამავე მიზანს ემსახურება აფხაზურში. დიდი რაოდენობის ბასკური და განსხვავებული კავკასიური ენების ლექსიკური მასალა ერთმანეთთან იქნა შედარებული.

მსგავსებები ამ ენებს შორის ვერ აიხსნება ვერც შემთხვევითობით, ვერც სესხებით; ისინი გენეტური ურთიერთობის არსებობას გულისხმობს. ბასკური, მომდინარე აკვიტანიურისა და ბასკონიურისაგან, და კავკასიური ენები ერთად ქმნიან ოჯახს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ეუსკარო-კავკასიური (Euscaro-Caucasian). ასეთია ჰიპოთეზა, რომელსაც იცავენ დიუმეზილი, ბოუდა და ლაფონი. დიუმეზილი 1933, 123—49; ბოუდა 1949, 1951 და სტატიები BRSVAP-ში 1954 წლიდან; ლაფონის სტატიები 1933 წლის შემდეგ, განსაკუთრებით, 1951—52, 1952, 1968.

ულენბეკი ამ ჰიპოთეზას სავსებით დამტკიცებულად მიიჩნევდა თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში. სხვა ენათმეცნიერები, განსაკუთრებით დეეტერსი, ი. მ. ეჩაიდე (1953), ფოხტი (1955) და მიჩელენა (1964) არ იზიარებენ ამ თვალსაზრისს იმის საფუძველზე, რომ მსგავსება ბასკურისა მთელ კავკასიურ ენებთან და არა ერთ-ერთ რომელიმე ენასთან, სუსტია; რაცა გვაქვს, ის საბუთებიც მცირერიცხოვანია იმისათვის, რომ აქ ნათესაური კავშირი ვივარაუდოთ, მით უმეტეს, რომ თვით კავკასიურ ენათა ოჯახის ერთიანობა არ არის ერთხმად აღიარებული. არსებობს თვალსაზრისი, რომ მსგავსებები და თანხედენები, რომლებიც აღმოჩენილია ჩრდილო-კავკასიურ ენებსა და სამხრეთის ჯგუფის ენებში, აიხსნება ხანგრძლივი კონტაქტით და არ გულისხმობს საერთო წარმომავლობას.

ჩვენ კი, ჩვენის მხრით, მაინც გვჯერა, რომ შესატყვისობათა ასეთი ერთიანობა, ასეთი კავშირი მათ შორის მხოლოდ ტრადიციით შეიძლება აღიხსნას. მაგრამ ის, რაც თაობიდან თაობას გადაეცემოდა ეუსკარო-კავკასიური პერიოდიდან, არ წარმოადგენდა, როგორც ჩანს, ჩამოყალიბებულ მორფოლოგიურ სისტემას და, ამასთანავე, ადგილი უნდა ჰქონოდა გაჩეყვლი ხასიათის შერევას განსხვავებულ ჯგუფებსა თუ ენობრივ კოლექტივებს შორის. აღსანიშნავია, რომ კავკასიური ოჯახისა და ეუსკარო-კავკასიური ოჯახის ცნებათა ჩამოყალიბება კვლევის დაგვირგვინებას კი არ წარმოადგენს, არამედ გვიბიძგებს ახალი გამოკვლევებისაკენ ამ მიზანთაგანს გასარკვევად.

კავკასიურის საბჭოთა მკვლევრები, განსაკუთრებით ქართველები, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კავკასიური ენებისა და ბასკურის ნათესაობის პრობლემას. მე ვესაუბრე ამ საკითხზე თბილისში 1966 წელს ა. ჩიქობავას (ლაფონი 1967). მისი აზრით, აუცილებელია შევისწავლოთ ეს პრობლემა ზედმიწევნითა და მეთოდურად. „ჩვენ ვიცით“, წერს იგი თავის სტატიაში, „რომ დიდი პრობლემები გარდააწყდება ხელის ერთი მოსმით; ვიცით ისიც, რომ ისინი ვერასდროს გადაწყდება, თუ არ იქნება დასმული“. მაგრამ როდესაც გვიხდება გადაწყვეტით ნათესაური კავშირის საკითხი, ერთი მხრივ, გეოგრაფიულად ასე მოწყვეტილ ენასა და, მეორე მხრივ, ასეთ მრავალფეროვან ენათა ჯგუფს შორის, „აუცილებელია, — განაგრძობს ქართველი ენათმეცნიერი, — გამოვიკვლიოთ მათი ისტორია და უფრო დიდ სიღრმეებს ვწვდეთ“. ამ ამოცანის შესასრულებლად უნდა გვყავდეს ენათმეცნიერები, რომლებიც ერთდროულად ბასკურისა და კავკასიური ენების სპეციალისტებიც იქნებიან. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა გავაცნოთ კავკასიურის მკვლევრებს (დამწყებთაც და გამოცდილებსაც) ბასკური ენათმეცნიერება და — პირიქით (იხ. Lafon 1953:333). ამ მიზნით მე 1966 წელს წავიკითხე ლექციათა სერია ბასკური ენის შესახებ თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

უღარებენ ერთმანეთს ბასკურსა და პალეოციმბირულ ენებს: ამ ენების შესახებ იხილე დინ უორთი (Dean Worth) „პალეოციმბირული“ (Paleosiberian), „თანამედროვე ენათმეცნიერების მიმართულებებში“, ტ. I, გვ. 345—73. ჯერ 1922 წელს და შემდეგ 1925 წელს ულენბეკმა აღნიშნა, რომ სრული „პარალელიზმი“ არსებობს ჩუქჩურ ზმნასა და ბასკურ ზმნას შორის. ამ ენებში გარდაუვალი ზმნის სუბიექტი, გარდამავალი ზმნის ობიექტის მსგავსად, არ არის ხოლმე აღნიშნული მაშინ, როდესაც გარდამავალი ზმნის სუბიექტს ყოველთვის აქვს ნიშანი (ერგატივისა ბასკურში, ინსტრუმენტალისისა ჩუქჩურში).

ეს „პარალელიზმი“ ვრცელდება ჩუქურის მონათესავე ორ ენაზეც— კორიაკულსა და კამჩადალურზე.

ბოუდამ შეადარა პრეფიქსი r(a)-, რომელიც იხმარება კაუზატიური ზმნების საწარმოებლად ბასკურსა და აფხაზურში, r-პრეფიქსს ჩუქურში, სადაც იგი ამავე ფუნქციას ასრულებს: iln „მოდრობაში ყოფნა“, rilu „(სხვისი) ამოდრავება“. გარდა ამისა, მან აღნიშნა ლექსიკური მსგავსებები ჩუქურსა და ბასკურს შორის. მაგ., ჩუქრ. villv „ყვავი“, რედუპლიცირებული სიტყვა, ჰგავს ბასკურის bele („ყვავი“), bel „მუჭი“ (ნაწარმოები ფორმების ნეოლე ელემენტი), beltz „შავი“, რომელიც დადასტურებულია აკვიტანიურსა და ბასკონიურში, და იბერიულშიც.

ულენბეკი მხარს უჭერდა ზოგ ამგვარ შესატყვისობას და წერდა 1946 წელს: „ჩვენ ჩერ კიდეც ცოტა რამ ვიცით ჩუქურ-კორიაკულ-კამჩადალური ჯგუფის გარე ნათესაობის შესახებ. იქნებ აღმოჩნდეს, საბოლოო ჯამში, რომ ეს ჯგუფი კავკასიური ენების განშტოებას წარმოადგენს. ჩუქურისა და ბასკურის თანხედნები ნებას გვაძლევენ ჩაერთოთ ისინი ბასკურისა და კავკასიურის შედარებითს შესწავლაში“. მაგრამ ძალზე დიდი სიფრთხილეა საჭირო გეოგრაფულად ასე დაშორებულ ენებს შორის შედარებათა დადგენის დროს.

თუ მართლაც არსებობს, როგორც მე ეს მჯერა, ნათესაური კავშირი ბასკურ ენასა და კავკასიურ ენებს შორის, როგორ აიხსნება იგი ისტორიულად? არა ჩანს სარწმუნო ისეთი ვარაუდი, რომ ეს ენები მიეკუთვნებოდნენ ენათა ღივ ოჯახს, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიიდან პარენეზამდე და რომლის დიდი საწილი ინდო-ევროპელთა გაძლიერებისას შთაინთქა. ამ ჰიპოთეზის მიზეფვით, მისი კვალი უნდა დარჩენილიყო სადმე, ან ორ უკიდურეს წერტილს შორის მოთავსებულ უსარმაზარ ტერიტორიაზე. მაგრამ დღემდე ამის არავითარი კვალი არა ჩანს.

დარჩა ჰიპოთეზა ზიგრატიისა კავკასიიდან, მცირე აზიიდან ან რომელიმე მეზობელი რაიონიდან. რადგანაც ბასკურის აღრეული ფორმები პერპინიანისა და ნარბონის ახლოს იყო გავრცელებული და ბასკურის მსგავსი ტოპონიმები ანტიკური ხანიდან მოყოლებული შეიმჩნეოდა სამხრეთ-აღმოსავლეთსა და სამხრეთ ესპანეთში, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იმიგრანტები, ორი Iliberri-ს, ანუ ორი ბასკური „ახალი ქალაქის“ დამაარსებლები, ზღვით მოვიდნენ.

მაგრამ აქ უკვე ენათმეცნიერება ელარ დაგვეხმარება. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ, ესპანელი არქეოლოგების მონაცემების მიხედვით, ეგეოსის ეპოქაში აღმოსავლელ ხმელთაშუაზღვისპირელებს გაეღენა ჰქონიათ ესპანურ ლევანტზე (Spanish Levant) და

იბერიის ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროზე. იმედი უნდა ეიწონით, რომ პრეისტორიული და პროტოისტორიული არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული გამოკვლევები, რომლებიც ასე ინტენსიურად მიმდინარეობს ესპანეთში, და გათხრები საფრანგეთში, ენსერუნის, ნარბონისა და პერპინიანის რაიონებში, დაგვეხმარება ამ პრობლემის გარკვევაში. მაგრამ ამისათვის მეტი მკვლევარებია საჭირო.

როდესაც ვცდილობთ აღმოვაჩინოთ ან დავადგინოთ გენეტიური კავშირი დასავლეთ ევროპაში ჩარჩენილ ბასკურსა და სხვა მისგან დაშორებულ ენებს შორის, უნდა ვიმოქმედოთ მეთოდურად, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ნელა. მაგრამ თუ შესწავლის პროცესში შევამჩნევთ მორფოლოგიური ან ლექსიკური ხასიათის მსგავსებებს, ისინი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რათა შემდგომმა კვლევამ გადაწყვიტოს, შესაწარმუნებელია ისინი თუ უკუსაგდები.

### ბიბლიოგრაფია

აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ნაშრომები, რომელთაც ბიბლიოგრაფიები ერაუვის: რ. ლაფონის „ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში“ (1943); ლ. მიჩელენას „ბასკურის ისტორიული ფონეტიკა“ (1961); ჰუგო შუხარდტის „ბასკური ენის ელემენტები. შესავალი ბასკურში“, მეორე გამოცემა, ა. ტოვარის შესავლითა და ბიბლიოგრაფიითურთ (1968). ხონ ბილბაო (Jon Bilbao) მუშაობს უკვე რამდენიმე წელია ბასკურის შესწავლის ყველა დარგის ბიბლიოგრაფიის შექმნაზე. ბასკურისადმი მიძღვნილი ჟურნალების სია მოცემული იყო ზემოთ, გვ. 19—21. წინამდებარე ზოგად ბიბლიოგრაფიას ბოლოს ერთვის ბასკურის წარმომავლობის პრობლემისადმი მიძღვნილი ცალკე ბიბლიოგრაფია-

Allières, Jacques. 1960—61. Petit atlas linguistique basque-français 'Sacaze'. VD IX. 205—21 (1960), with maps 1—15; X (1961), with maps 16—83.

ალიერი, ჟაკი. 1960—1961. ბასკურ-ფრანგული მცირე ენობრივი ატლასი 'Sacaze' VD IX. 205—21 (1960), რუკები 1—15; X (1961), რუკები 16—83.

Azkué, Resurrección María de. 1919. Fonética vasca. Bilbao. 32 pp.

ასკუე, რესურექსიონ მარია დე. 1919. ბასკურის ფონეტიკა. ბილბაო, 32 გვ.

Azkué, R. M. de. 1925. Morfología vasca. Bilbao. XIII + 930 pp.

ასკუე რ. მ. დე. 1925. ბასკურის მორფოლოგია. ბილბაო, XIII + 930 გვ.

Benveniste, Emile. 1967. Problèmes de linguistique générale. Paris. 556 pp.

ბენვენისტი, ემილი. 1967. ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემები. პარიზი. 356 გვ.

Bertoldi, Vittorio. 1931. Problèmes de substrat. Essai de méthodologie dans le domaine préhistorique de la toponymie et du vocabulaire. BSL XXXII. 93—184.

ბერტოლდი, ვიტორიო. 1931. სუბსტრატის პრობლემა. მეთოდოლოგიის ცდა პრეისტორიული ტოპონიმისა და ლექსიკის სფეროში BSL XXXII. 93—184.

- Betolaza.** 1955. *Doctrina cristiana* (1596). BRSVAP IX. 83—100.  
**ბეტოლასა.** 1955. ქრისტიანულ დოქტრინა (1596). BRSVAP IX. 83—100.
- Baroja, Julio Caro.** 1949. *Los vascos*. Madrid. 2nd ed. 1959. 511 pp.  
**ბაროხა, ხულიო კარო.** 1949. ვასკები. მადრიდი. მე-2 გამოც. 1958. 511 გვ.
- Duny-Pétré, Pierre.** 1963. *Notes sur le parler populaire de Basse-Navarre orientale*. GH 1963. 33—42.  
**დიუნი-პეტრე, პიერი.** 1963. შენიშვნები აღმოსავლურ ქვემო-ნავარული ხალხური ზეტყველების შესახებ. GH 1963. 33—42.
- Echebarria, Torribio.** 1965—66. *Lexicon del euskera de Eibar, Euskera X—XI*. 659 pp.  
**ენებარია, ტორიბიო.** 1965. 66. ებარული ბასკურის ლექსიკონი. „ეუსკერა“ („ბასკური ენა“) X—XI. 659 გვ.
- Elcizalde, Luis de.** 1922. *Listas alfabéticas de voces toponomásticas vascas*.  
**ელციზალდე, ლუის დე.** 1922. ბასკურ ტოპონომასტიკურ სახელთა ანბანური სია. (იხ. ზემოთ გვ. 65).
- Gavel, Henri.** 1920. *Éléments de phonétique basque*. Paris. 543 pp.  
**გაველი, ანრი.** 1920. ბასკურის ფონეტიკის ელემენტები. პარიზი. 543 გვ. დაიბეჭდა აგრეთვე: RIEB, XI (1921).
- Gavel, H.** 1929. *Grammaire basque*. Vol. I. Bayonne. x+69—220 pp.  
**გაველი, ა.** 1929. ბასკურის გრამატიკა. ტ. I. ბაიონა. x+69—220 გვ.
- Gavel, Henri, and Georges Lacombe.** 1937. *Grammaire basque*. Vol. II: *Le verbe*. Bayonne.  
**გაველი, ანრი, და ჟორჟ ლაკომბი.** 1937. ბასკურის გრამატიკა. ტ. II: ზმნა. [არასრული—პირველი ოთხმოცოც გვერდი გამოვიდა ცალკე ნაკვეთად.] ბაიონა.
- Haritschelhar, Jean.** 1961. *Le rythme poétique (4+7) and (4+6)*. GH 1961. 1—13.  
**ჰარიჩელჰარი, ჟანი.** 1961. პოეტური რიტმი (4+7) და (4+6). GH 1961. 1—13.
- Haritschelhar, J.** 1969. *Le poète souletin Pierre Topet-Etchahun (1786—1862). Contribution à l'étude de la poésie populaire basque du XIXe siècle*. Bayonne. 583 pp.  
**ჰარიჩელჰარი, ჟ.** 1969. სულეტელი პოეტი პიერ ტოპეტ-ეტჰაჰუნე (1786—1862). XIX საუკუნის ბასკური ხალხური პოეზიის შესწავლის ცდა. ბაიონა. 583 გვ.
- Hubschmid, Johannes.** 1965. *Thesaurus Praeromanicus*. Fasc. 2. *Probleme der baskischen Lautlehre und baskisch-romanische Etymologien*, Bern, 168 pp.  
**ჰუბშმიდ, იოჰანესი.** 1965. წინარე რომანული საუნჯე, ნაკვ. 2. ბასკური ფონეტიკის პრობლემა და ბასკურ-წინარე რომანული ეტიმოლოგიები. ბერნი. 168 გვ.
- Jakovlev, Nikolaj.** 1923. *Tablicy fonetiki kabardinskogo jazyka*. Moskva  
**იაკოვლევნი, ნიკოლოზი.** 1923. ყაბარდოული ენის ფონეტიკის ტაბულები. მოსკოვ
- Lacombe, Georges.** 1952. *La langue basque*. *Les langues du monde*, ed. b A. Meillet and M. Cohen, 257—69. 2nd ed. Paris.  
**ლაკომბი, ჟორჟი.** 1952. ბასკური ენა. მსოფლიოს ენები, ა. მეილესა და მ. კოენის გამოცემა, 257—69. მე-2 გამოც. პარიზი.



- Lafitte, Pierre. 1911. Grammaire basque (navarro-labourdin littéraire) 2nd ed. 1962. Bayonne. 489 pp.
- ლაფიტე, პიერი. 1941. ბასკურის გრამატიკა (სამწერლო ნეაარულ-ლაბურდული). მე-2 გამოც. 1962. ბაიონა. 489 გვ.
- Lafon, René. 1913. Le système du verbe basque au XVI siècle. 2 vols. Bordeaux. 519 and 171 pp.
- ლაფონი, რენე. 1943. ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში. 2 ტ. ბორდო. 549 და 171 გვ.
- Lafon, R. 1947. Sur la catégorie de genre grammatical en basque. BHI XLIX. 373—94.
- ლაფონი, რ. 1947. გრამატიკული სქესის კატეგორიის შესახებ ბასკურში. BHI XLIX, 373—94.
- Lafon, R. 1918. Remarques sur l'aspiration en basque. Mélanges Gavel, 55—61. Ioulouso.
- ლაფონი, რ. 1943. შენიშვნები ასპირაციის შესახებ ბასკურში. (გაველისადმი მიძღვნილი კრებული), 55—61. ტულუზა.
- Lafon, R. 1950. Remarques sur la racine en basque, BRSVAP VI. 303—8.
- ლაფონი, რ. 1950. შენიშვნები ბასკურ რძეის შესახებ. BRSVAP VI. 303—8.
- Lafon, R. 1951 a. Quelques traits essentiels de la langue basque. BRSVAP VII. 13—24.
- ლაფონი, რ. 1951 a. ბასკურ ენის ზოგიერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი. BRSVAP VII. 13—24.
- Lafon, R. 1951b. Remarques sur la phrase nominale en basque. BSL XLVII. 106—25.
- ლაფონი, რ. 1951b. შენიშვნები სახელური წინადადების შესახებ ბასკურში. BSL XLVII. 105—25
- Lafon, R. 1951c. Indications pour l'étude du verbe basque. EJ V. 93—103.
- ლაფონი, რ. 1951c. მანიშნებანი ბასკური ზმნის შესწავლასათვის. EJ V. 93—103
- Lafon, R. 1952a. Etudes basques et caucasiques. Salamanca. 91 pp.
- ლაფონი, რ. 1952a. ბასკური და კავკასიური გამოკვლევები. სალამანკა. 91 გვ.
- Lafon, R. 1952b. Remarques sur les modes et les temps en basque. EJ VI. 11—39.
- ლაფონი, რ. 1952b. შენიშვნები ბასკური კილოებისა და დროების შესახებ. EJ VI. 11—39.
- Lafon, R. 1953. Le basque dans la nouvelle édition des „Langues du monde” (1952). BRSVAP IX. 299—334.
- ლაფონი, რ. 1953. ბასკური ენა „მსოფლიოს ენების“ ახალ გამოცემაში (1952). BRSVAP IX. 299—334.
- Lafon, R. 1954a. Les recherches onomastiques sur le pays basque. Onoma V/I. 49—63.
- ლაფონი, რ. 1954a. ონომასტიკური ძიებანი ბასკური ქვეყნის შესახებ. „ონომა“ V/1. 47—63.
- Lafon, R. 1954b. Le nombre dans la déclinaison basque. VD I. 111—21.
- ლაფონი, რ. 1954b. რიცხვი ბასკურ ბრუნებაში. VD I. 111—21.
- Lafon, R. 1955. Sur la place de l'aczeon, du salazarais et du roncalais-

- dans la classification des dialectes basques. *Pirineos (Zaragoza)* XI 109—33.
- ლაფონი, რ. 1955. აესკურის, სალასარულისა და რონკალერის ადგილის შესახებ ბასკური დიალექტების კლასიფიკაციაში. *პარენეს-ი (სარაგოსა)* XI. 109—33.
- Lafon, R. 1957a. Sur la versification de Decheperre. *ERSVAP* XIII. 347—93.
- ლაფონი, რ. 1957a. ვერსიფიკაციის შესახებ დეჩეპერესთან. *ERSVAP* XIII. 387—43.
- Lafon, R. 1957b. Remarques sur l'emploi du masculin et du féminin en basque. *VD* 1957. 1—9.
- ლაფონი, რ. 1957b. შენიშვნები მამრობითი და მდედრობითი სქესის სწარების შესახებ ბასკურში. *VD* 1957. 1—9.
- Lafon, R. 1957—58. L'expression de la comparaison en basque. *BSL* LIII. 243—56.
- ლაფონი, რ. 1957—58. შედარების გამოხატვა ბასკურში. *BSL* LIII. 243—56.
- Lafon, R. 1958. Contribution à l'étude phonologique du parler basque de Larrau (Haute-Soule). *Homenaje a André Martinet, La Laguna*, II. 77—106.
- ლაფონი, რ. 1958. ნარკვევები ლაროს (ზემო-სული) ბასკურ კლასიკურ დიალექტში. *ლოგიური შესწავლის შესახებ. ეძღვნება ანტონე მარტინეს, „ლა ლაგუნა“*, II. 77—106.
- Lafon, R. 1959a. Place de la 2<sup>e</sup> personne du singulier dans la conjugaison basque. *BSL* LIV. 103—29.
- ლაფონი, რ. 1959a. მხოლოდობითის მე-2 პირის ადგილი ბასკურ უღვლილებაში. *BSL* LIV. 103—29.
- Lafon, R. 1959a. La lengua vasca. *Enciclopedia lingüística hispánica*. I. 67—97. Madrid.
- ლაფონი, რ. 1959b. ბასკური ენა. ესპანურის საენათმეცნიერო ენციკლოპედია. I. 67—97. მადრიდი.
- Lafon, R. 1959b. L'expression de l'autour de l'action en basque. *BSL* LV. 186—221.
- ლაფონი, რ. 1960. მოქმედის გამოხატვა ბასკურში. *BSL* LV. 186—221.
- Lafon, R. 1962. La voyelle *ü* en basque. *BSL* LVII. 83—102.
- ლაფონი, რ. 1962. ხმოვანი *ü* ბასკურში. *BSL* LVII. 83—102.
- Lafon, R. 1964. L'adjectif épithète et les déterminants en basque. *BSL* LIX. 82—104.
- ლაფონი, რ. 1964. ეპითეტური ზედსართავი და მსახლერელები ბასკურში. *BSL* LIX. 82—104.
- Lafon, R. 1965a. Contact de langues et apparition d'une nouvelle voyelle: *u* et *ü* en basque. *Actes du Xe Congrès international de linguistique et philologie romanes (Strasbourg 1962)*, 901—9. Paris.
- ლაფონი, რ. 1965a. ენათა კონტაქტები და ახალი ხმოვნის გაჩენა: *u* და *ü* ბასკურში. რომანული ენათმეცნიერებისა და ფოლოლოგიის X კონგრესის შრომები (სტრასბურგი 1962), 901—9. პარიზი.
- Lafon, R. 1965b. Les deux gónitifs du basque. *BSL* LX. 131—59.
- ლაფონი, რ. 1965b. ბასკურის ორი ნათესაობითი. *BSL* LX. 131—59.

- Lafon, R. 1936. La particule „bait“ en basque. BSL LXI. 217—48.
- ლაფონი, რ. 1966. ნაწილაკი bait ბასკურში. BSL LXI. 217—48.
- Lafon, R. 1968. Principes du rôle syntaxique du verbe en basque. BSL LXII. 134—64.
- ლაფონი, რ. 1968. ბასკური ზმნის სინტაქსური როლის საუბუქლები. BSL LXII. 134—64.
- Lafon, R. 1969. L'impératif en basque au XVI<sup>e</sup> siècle. BSL LXIII. 110—40.
- ლაფონი, რ. 1969. ბრძანებითი XVI საუკუნის ბასკურში. BSL LXIII. 110—40.
- Landucci, N. 1957. Dictionarium Linguae Cantabricae (1562), ed. by M. Agud and L. Micholena. San Sebastián.
- ლანდუჩი, ნ. 1957. კანტაბრიელი ენის ლექსიკონი (1562), გამოც. ავტორები მ. აგული და ლ. მიჩელენა. სან-სებასტიანი.
- Larrasquet, Jean. 1938. Action de l'accent dans l'évolution des consonnes en basque souletin. Recherches expérimentales dans le basque souletin. Paris. 424 pp.
- ლარასკე, ეანი. 1938. მახვილის როლი სულეტური ბასკურის თანხმოვანთა ევოლუციაში. სულეტური ბასკურის ექსპერიმენტული გამოკვლევები. პარიზი. 424 გვ.
- Larrasquet, J. 1939. Le basque de la Basse-Soule orientale. Paris. 223 pp.
- ლარასკე, ე. 1939. აღმოსავლურ ქვემო-სულეტური ბასკური. პარიზი. 223 გვ.
- Lewy, Ernst. 1931. Skizze einer elementaren Syntax des Baskischen. Caucasicum IX. 89—123. Spanish translation in BRSVAP II—III.
- ლევი, ერნსტი. 1931. ბასკურის ელემენტარული სინტაქსის ნარკვევები. „კავკასიკა“ IX. 83—128. ესპანურ თარგმანი BRSVAP II—III-ში.
- Lhande, Pierre. 1933. Dictionnaire basque-français, Paris I, 118 pp.
- ლანდე, პიერი. 1933. ბასკურ-ფრანგული ლექსიკონი. პარიზი. I, 118 გვ.
- Lopez-Mendizabal, Isaac. 1949. La lengua vasca. Buenos Aires. 370 pp.
- ლოპეს-მენდიზაბალ, ისააკ. 1949. ბასკური ენა. ბუენოს აირესი. 370 გვ.
- Martinet, André. 1955. Economie des changements phonétiques. Traité de phonologie diachronique. Bern. 596 pp.
- მარტინე, ანდრე. 1955. ეკონომიის პრინციპი ფონეტიკურ ცვლილებებში. დიქრონული ფონოლოგიის ნარკვევები. ბერნი. 596 გვ.
- Martinet, A. 1956. Linguistique structurale et grammaire comparée. Travaux de l'Institut de Linguistique de la Faculté des Lettres de l'Université de Paris, vol. I.
- მარტინე, ა. 1956. სტრუქტურული ენათმეცნიერება და შედარებითი გრამატიკა. პარიზის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ენათმეცნიერების კათედრის შრომები, ტ. I.
- Martinet, A. 1962. Le sujet comme fonction linguistique et l'analyse syntaxique du basque. BSL LVII. 73—82.
- მარტინე, ა. 1962. სუბიექტი, როგორც ენობრივი ფუნქცია და ბასკურის სინტაქსური ანალიზი. BSL LVII. 73—82.
- Meillet, Antoine, and Marcel Cohen, eds. 1922. Les langues du monde. 2nd. ed. 1952. Paris.

- მეიე ანტუანი და მარსელ კონი, გამოქვეყნებული. 1922. მსოფლიოს ენები. მე-2 გამოცემა. 1952. პარიზი.
- Michelena, Luis. 1955. *Apellidos vascos*. 2nd ed. San Sebastián. 185 pp. მიჩელენა, ლუისი. 1955. ბასკური სახელები. მე-2 გამოც. სან-სებასტიანი. 185 გვ.
- Michelena, Luis. 1951. *Fonética histórica vasca*. San Sebastián. 455 pp. მიჩელენა, ლუისი. 1961. ბასკურის ისტორიული ფონეტიკა. სან-სებასტიანი, 455 გვ.
- Michelena, L. 1964a. *Sobre el pasado de la lengua vasca*, Madrid 200 pp.
- მიჩელენა, ლ. 1964a. ბასკური ენის წარსულის შესახებ. მადრიდი. 200 გვ.
- Michelena, L. 1964b. *Textos arcaicos vascos*. Madrid. 206 pp.
- მიჩელენა, ლ. 1964b. ძველი ბასკური ტექსტები. მადრიდი. 206 გვ.
- Navarro Tomás, T. 1925. *Pronunciación guipuzcoana. Homenaje a Menéndez Pidal*, 593—653. Madrid.
- ნავარო ტომასი, ტ. 1925. გიპუსკოური წარმოთქმა. ეძღვნება მენენდეს პიდალს, 593—653. მადრიდი.
- Rohlf, Gerhard. 1956. *Studien zur romanischen Namenkunde*. München, 200 pp.
- როლფსი, გერჰარდი. 1956. ნარკვევები რომანული ონომასტიკის შესახებ. მიუნხენი. 200 გვ.
- Schuchardt, Hugo. 1923. *Primitiae Linguae Vasconum. Einführung ins Baskische*. Halle. 34 pp. 2nd ed., with introduction and bibliography by A. Tovar, Tübingen. 1968, XXIV—38 pp.
- შუხარდტი, ჰუგო. 1923. ბასკური ენის ელემენტები. შესავალი ბასკურის შესწავლაში. ჰალე. 34 გვ. მე-2 გამოც., შესავლისა და ბიბლიოგრაფიის ეტიკონი ა. ტოვარი, ტიუბინგენი, 1968, XXIV—38 გვ.
- Schuchardt, H. 1925. *Das Baskische und die Sprachwissenschaft*. SbÖAW 202/4. 34 pp.
- შუხარდტი, ჰ. 1925. ბასკური და ენათმეცნიერება. SbÖAW 202/4. 34 გვ.
- Tournier, André, and Pierre Lafitte. 1954. *Lexique français-basque*. Bayonne. 554 pp.
- ტურნიერი, ანდრე და პიერ ლაფიტი. 1954. ფრანგულ-ბასკური ლექსიკონი. ბაიონა. 554 გვ.
- Uhlenbeck, C. C. 1923. *Zur vergleichenden Lautlehre der baskischen Dialekte. Berichtigungen*, VKNA XXIV/1. 11 pp.
- ულენბეკი, კ. კ. 1923. ბასკური დიალექტების შედარებითი ფონეტიკისათვის. შესწორებანი, VKNA XXIV/1. 11 გვ.
- Uhlenbeck, C. C. 1942. 1946. *De oudere lagen van den Baskischen woordenschat*. MKNA 5/7 (1942). 50 pp. Addenda and corrigenda. MKNA 9/2. 11—12(1946). French translation: *Les couches anciennes du vocabulaire basque*, EJ (1947).
- ულენბეკი, კ. კ. 1942, 1946. ბასკური ლექსიკონის ძველი ფენები. MKNA 5/7(1942). 50 გვ. დამატება-შესწორებანი. MKNA 9/2. 11—12 (1946). ფრანგული თარგმანი. EJ (1947).
- Uhlenbeck, C. C. 1947. *La langue basque et la linguistique générale: Lingua I*. 59—76.

ულენბეკი, კ. კ. 1947. ბასკური ენა და ზოგადი ენათმეცნიერება. „ლინგვა“ I. 59—76.

Vogt, Hans. 1936. Remarques sur la structure formelle du verbe basque. For Roman Jakobson, 600—4. The Hague. Mouton.

ფოგტი, ჰანსი. 1936. შენიშვნები ბასკური ზმნის ფორმალური სტრუქტურის შესახებ. რომანს იაკობსონისადმი მიძღვნილი კრებული, 600—4. ჰააგა, მოუტონი.

Zamarripa y Uranga, P. de. 1928. Gramática vasca (dialecto vizcaíno). 7th ed. 1955. Bilbao.

სამარიპა ი ურანგა, პ. დე. 1928. ბასკურის გრამატიკა (ბისკაიური დიალექტი). მე-7 გამოც. 1955. ბილბაო.

### ბ ა ს კ უ რ ი ს   წ ა რ მ ო მ ა ე ლ ო ბ ა

Bouda, Karl. 1949. Baskisch-kaukasische Etymologien, Heidelberg.

ბოუდა, კარლი. 1949. ბასკურ-კავკასიური ეტიმოლოგიები. ჰაიდელბერგი.

Bouda, K. 1951. L'Euskaro-caucasique. Homenaje a D. Julio de Urquijo, III. 27—32. San Sebastián.

ბოუდა, კ. 1951. ეუსკარულ-კავკასიური. ეძენება ხელით დე ურკიხოს, III. 207—32. სან-სებასტიანი.

Dumézil, Georges. 1933. Introduction à la grammaire comparée des langues caucasiennes du Nord. Paris. XVI+152 pp.

დიუმეზილი, ჟორჟი. 1933. ჩრდილო კავკასიურ ენათა შედარებითი გრამატიკის შესავალი. პარიზი. XVI+152 გვ.

Echaide, I. M. 1953. El Euskera y las lenguas caucásicas. BRSVAP IX. 21—35.

ეჩაიდე, ი. მ. 1953. ბასკური და კავკასიური ენები. BRSVAP IX. 21—35.

Gómez-Moreno, Manuel. 1949. Misceláneas, I: La antigüedad, 157—350, Madrid.

გომეს-მორენო, მანუელი. 1949. ნარევი, I: სიძველენი, 157—330, მადრიდი.

Gómez-Moreno, Manuel. 1962. La escritura bástulo-turdetana (primitiva hispánica). Madrid. 76 pp., plus plates.

გომეს-მორენო, მანუელი. 1962. ბასტულურ-ტურდეტანული წარწერა (ძველი ესპანური). მადრიდი. 76 გვ., პლეს გრავეურები.

Lafon, René. 1951. Les origines de la languo basque. Conférences de l'Institut de Linguistique de l'Université de Paris, X, années 1950—51, 59—81. Paris.

ლაფონი, რენე. 1951. ბასკური ენის წარმომავლობა. პარიზის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კონფერენციები, X, 1950—51 წლები, 59—81 პარიზი.

Lafon, R. 1951—52. Concordances morphologiques entre le basque et les langues caucasiennes. Word 7. 227—44 (1951), 8:90—94 (1952).

ლაფონი, რ. 1951—52. მორფოლოგიური ფარდობანი ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის. „უორდ“ 7. 227—44 (1951), 8. 80—94 (1952).

- Lafon, R. 1952. *Etudes basques et caucasiques*. Salamanca. 91 pp.
- ლაფონი, რ. 1952. ბასკური და კავკასიური გამოკვლევები. სალამანკა. 91 გვ.
- Lafon, R. 1955. *Noms de lieux d'aspect basque en Andalousie. Actes et Mémoires du 5e Congrès international de Sciences onomastiques* (Salamanque, avril 1955), II. 125—33.
- ლაფონი, რ. 1955. ბასკური სახეობის ტოპონიმები ანდალუზიაში. ონომასტიკურ ძიებათა მე-5 საერთაშორისო კონგრესის შრომები და მოხსენებები. (სალამანკა, აპრილი 1955), II. 125—33.
- Lafon, R. 1957. *Sur la langue des Aquitains et celle des Vascons. Bulletin philologique et historique (jusqu' à 1715) du Comité des Travaux historiques et scientifiques*, 1—8. Paris.
- ლაფონი, რ. 1957. აკვიტანიელთა და ბასკონიელთა ენის შესახებ. საისტორიო და სა-მეტყინეო გამოკვლევათა კომიტეტის ფილოლოგიური და ისტორიული ბიულეტენი (1715-მდე), 1—8. პარიზი.
- Lafon, R. 1965. *Noms de lieux et noms de personnes basques et ibères; état actuel des problèmes*. RIONO 1965. 81—92.
- ლაფონი, რ. 1965. ბასკური და იბერიული ტოპონიმები და პირთა სახელები: პრობლემათა მდგომარეობა დღეს. RIONO 1965. 81—92.
- Lafon, R. 1967. *La linguistique basque et caucasique, avec bibliographie*. (See above, p. 1751).
- ლაფონი, რ. 1967. ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება, ბიბლიოგრაფიითურთ. (იხ. ზემოთ, გვ. 21).
- Lafon, R. 1968. *Pour la comparaison du basque et des langues caucasiques. I: Les indices de personne dans la conjugaison basque*. Bedi Kartlisa, *Revue de kartvélogie* 13—26. Paris.
- ლაფონი, რ. 1968. ბასკური და კავკასიური ენების შედარებისათვის. I: პირის ნიშნები ბასკურ უღვლილებაში. ქართველოლოგიის მიმოხილვა, 13—26. პარიზი.
- Lejeune, Michel. 1950. *A propos d'un plomb inscrit d'Élnc*, REA LXII. 62—79.
- ლევენი, მიშელი. 1960. ელნის წარწერაინი ტყვიის შესახებ. REA LXII. 62—79.
- Lejeune, M. 1963. *Epigraphie sud-hispanique*. REA LXV. 5—32;
- ლევენი, მ. 1963. სამხრეთ ესპანური ეპიგრაფიკა. REA LXV. 5—32.
- Maluquer de Motes, Juan. 1968. *Epigrafía prelatina de la Península ibérica*. Barcelona. 190 pp., plus 22 plates.
- მალუკერ დე მოტესი, ჟუან. 1968. იბერიული ნახევარკუნძულის წინარელათინური ეპიგრაფიკა. ბარსელონა. 190 გვ., პლათს 22 გრაფურა.
- Tovar, Antonio. 1951. *Lóxico de las inscripciones ibéricas. Estudios dedicados a Menéndez Pidal*, II. 273—323. Madrid.
- ტოვარი, ანტონიო, 1951. იბერიულ წარწერათა ლექსიკა. მენენდეს პიდალისადმი მიძღვნილი შრომები, II. 273—323. მადრიდი.
- Tovar, A. 1959. *El euskera y sus parientes*. Madrid.
- ტოვარი, ა. 1959. ბასკური და მისი მონათესავე ენები. მადრიდი.

**Tovar, Antonio.** 1931. *The ancient languages of Spain and Portugal.* New York. 188 pp.

ტოვარი, ანტონიო. ესპანეთისა და პორტუგალიის ძველი ენები. ნიუ-იორკი. 188 გვ.

**Trombetti, Alfredo.** 1925. *Le origini della lingua basca.* Bologna.

ტრომბეტი, ალფრედო. 1925. ბასკური ენის წარმოშობა. ბოლონია.

**Vogt, Hans.** 1955. *Le basque et les langues caucasiques.* BSL LI. 121—47.

ფოხტი, ჰანს. 1955. ბასკური და კავკასიური ენები. BSL LI. 121—47.

## რენე ლაფონი

### ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება<sup>1</sup>

ბასკურისა და კავკასიური ენების შესახებ შეიძლება ვიჭონოთ წარმოდგენა, თუ ამ ენებისადმი მიძღვნილ თავებს წაეკითხავთ „მსოფლიოს ენების“ ახალ გამოცემაში (ენათმეცნიერთა ჯგუფი ანტუან მეიესა და მარსელ კონის ხელმძღვანელობით, „მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრი“, პარიზი, 1952). ავტორები არიან აწ განსვენებული ჟორჟ ლაკობი („ბასკური ენა“) და ჟორჟ დიუმეზილი („კავკასიური ენები“). ამის ანგარიში გამოვაქვეყნე 1953 წელს (BRSVAP, IX, გვ. 299—334). მეცნიერული კვლევის ეროვნულმა ცენტრმა 1964 წელს ამ გამოცემის ფოტომექანიკური რეპროდუქციაც გამოაქვეყნა.

ბასკური ენა („ეუსკერა“, „ესკუარა“, „იუსკარა“ — დიალექტების მიხედვით) ერთადერთი ცოცხალი ენაა დასავლეთ ევროპაში, რომელიც არ ეკუთვნის ინდოევროპულ ენათა ოჯახს, ერთადერთი გადმონაშთია გალიის სამხრეთ-დასავლეთსა და იბერიულ პირენეში ინდო-ევროპულ შემოსევებამდე არსებული ენებისა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ენაზე საფრანგეთის ტერიტორიაზე მხოლოდ 100 000 კაცი ლაპარაკობს, ესპანეთში — 600 000, იგი რვა დიალექტადაა დაყოფილი და ყველგან ინარჩუნებს თავის მეტად ორიგინალურ სტრუქტურას: არ ხმარობს მიმართებით ნაცვალსახელს და მაქვემდებარებელ კავშირებს, სიტყვათა რიგი ხშირად ფრანგულსა და ესპანურთან შედარებით ინვერსიულია.

<sup>1</sup> R. Lafon, *La linguistique basque et caucasique*. დაიბეჭდა *Revue de l'enseignement supérieur*-ში (უმაღლესი განათლების მიმოძილველი), Paris, № 3—4, 1967, p. 56—66.

<sup>2</sup> *Les Langues du Monde*, sous la direction d'A. Meillet et M. Cohen, Paris, 1952.



ბასკური დამწერლობა ლათინურ ანბანს იყენებს.

1545 წელს ბორდოში გამოვიდა უძველესი ბასკური წიგნი, ლექსების კრებული. არსებობს ბასკური ზეპირსიტყვიანობაც და მწერლობაც. ბასკური ენის აკადემია ჩამოყალიბდა 1918 წელს. შუა საუკუნეების ბასკური მხოლოდ არქივის დოკუმენტებში შემორჩენილი, ცალკეული სიტყვებითაა ცნობილი; მაგრამ იგი არსებობს ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეშივე, რადგან აკვიტანიელებისა და ვასკონების ენა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ლათინურ წარწერებში წარმოდგენილი საკუთარი სახელებითა, თუ მეტსახელებით, ნამდვილად ბასკურის ძველი ფორმაა. ეს ენა ვრცელდებოდა სერდანამდე, კატალონიამდე და რუსიონის სანაპირომდე: პერპინიანის სამხრეთით მდებარე ელნს წინათ ბასკური სახელი „ილიბერი“ („ახალი ქალაქი“) ერქვა. ბასკური არ წარმოდგება იბერიულისაგან, რომელიც გავრცელებული იყო მთელ სანაპირო ზონაში ბეზიერიდან ალიკანტემდე. იბერიულ წარწერებს კითხულობენ, მაგრამ არ ესმით მნიშვნელობა. თუმცა მრავალი სიტყვა და მორფოლოგიური ფლემენტი ბასკურთან საერთო აქვს. ამჟამად ჩვენ არ შეგვიძლია დაბეჭდვით ვთქვათ, ეს რეალურად არსებული მსგავსებები როგორც ნასესხობა შეიძლება აიხსნას, თუ—როგორც ნათესაური კავშირი (რაც, ყოველ შემთხვევაში, იბერიულისაგან წარმოშობას არ უნდა გულისხმობდეს). მეორე ჰიპოთეზა უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია (ლაფონი RIO-ში, 1965, გვ. 81—92).

ენათა ერთადერთი ჯგუფი, რომელთანაც შედარებითი მეთოდის წესების გამოყენებით ბასკური ენის დაკავშირება ასე თუ ისე ხერხდება, კავკასიური ენებია. კავკასიური ენები მრავალრიცხოვანია, სტრუქტურით ძლიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მეტად მდიდარია დიალექტებით, რაც დიდ მეცნიერულ ინტერესს იწვევს. ამ ენათა უმრავლესობის სახელიც კი მხოლოდ სპეციალისტებმა იციან. კავკასიური ენები ცალკე ოჯახს ქმნიან, რომელიც ასე იყოფა:

1) ჩრდილო-კავკასიური ენები: ა) ჩრდილო-დასავლური ჯგუფი: ჩერქეზული, უბიხური<sup>3</sup> და აფხაზური; ბ) ცენტრალური ნაწილისა და

<sup>3</sup> უბიხები ანატოლიას შეეხიზნენ 1864 წელს. მათი ენა დღეს ძლივს ბოგინობს; უბიხურში 83 თანხმოვანი და ორი სმოვანია, „რომელთაგანაც ერთი ვარიანების პროცესში შეიძლება მეორეს დაემთხვეს“ (ე. დიუმევილი, ანატოლიური დოკუმენტები კავკასიური ენებისა და ტრადიციების შესახებ. I ტ. გვ. 57); მხოლოდ ქართული არის ცნობილი უძველესი წერილობითი ძეგლებით (ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნის ბოლო). მას საკუთარი ანბანი აქვს (მისი წარმოშობის შესახებ იხ. კ. სალია, „ქართველოლოგიის მიმოხილვა“, 1963); ქართველებს აქვთ მდიდარი და მეტად მშვენიერი ლიტერატურა, რომელიც VI საუკუნიდან მოდის (იხ. სტატიები „ქართველოლოგიის მიმოხილვაში“). ქართული—„ცივილიზაციის ენა“.

ჩრდილო-აღმოსავლური ჯგუფი: ცენტრალური ნაწილი: ჩაჩნური ენები (სამი ენა); ჩრდილო-აღმოსავლეთი: დაღესტნის ენები (ოცდაოთხი ენა).

2) სამხრეთ-კავკასიური, ანუ ქართველური ენები: ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური.



ბასკური ენა და კავკასიური ენები დიდად საინტერესოა ენათა ტიპოლოგიური შესწავლისათვის, ენების დიალექტებად დანაწევრების საკითხისა და ენათა კონტაქტების გასარკვევად. გარდა ამისა, მათ მკიდროდ უკავშირდება ისტორიისა და პრეისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემები: ბასკური და კავკასიური ენების ნათესაობა; ბასკურისა და იბერიულის, კავკასიური ენებისა და წინა აზიის უძველესი ენების საკითხი.

ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერების სწავლების საქმე საფრანგეთში 1966 წლის ოქტომბერს, უნივერსიტეტში სასწავლო წლის დაწყებისათვის, შემდეგნაირად შეიძლება დავახასიათოთ: ეს ენები არ გამოადგება მათ, ვინც სწავლების სპეციალური ნებართვის მისაღები გამოცდებისათვის ემზადება; ამდენად, სტუდენტებისა და მკვლევარების მხოლოდ მცირე რიცხვს იზიდავს.

### **ბასკური ენათმეცნიერება (სწავლება)**

ბორდოს უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ერთადერთია საფრანგეთში, სადაც დაარსებულია ბასკური ენისა და ლიტერატურის კათედრა. მისი ხელმძღვანელი დაარსების დღიდან (1948) ამ სტრიქონების ავტორია. ეს კათედრა პირველია და იმ დროისათვის ერთადერთი იყო მთელ მსოფლიოში. ფაკულტეტი იძლევა ბასკური ენისა და ლიტერატურის უმაღლესი განათლების მოწმობას და მესამე ციკლის დოქტორის დიპლომს, სადაც აღნიშნულია „ბასკურის სწავლება“.

ბასკურის შესწავლისათვის იმედის მომცემია ის ღონისძიებანი, რომლებიც ახლახან იქნა მიღებული ლიტერატურისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პირველი ციკლის სწავლებისა და გამოცდების ახლებური ორგანიზაციისათვის. ამ ღონისძიებათა თანახმად, 1966 წლის ოქტომბრიდან თანამედროვე ლიტერატურისა და ცოცხალი უცხოური ენების განყოფილებების სტუდენტებს ბორდოს უნივერსიტეტის ფაკულტეტზე შესაძლებლობა აქვთ „მეორე ცოცხალ უცხოურ ენად“ ბასკური აირჩიონ.

ასეა თუ ისე, უმაღლესი განათლების ახალი რეფორმის შემდეგ, ბორდოს უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ჰუმანიტარულ მეცნიერ-

რებათა ფაკულტეტზე, ვისაც სურს თანამედროვე ლიტერატურისა და ცოცხალი უცხოური ენების სწავლების უფლება მოიპოვოს, შეუძლია პირველი ციკლის პირველ და მეორე წელს ბასკური ენა აირჩიოს „მეორე ცოცხალ უცხოურ ენად“. კიდევ მეტი, იმავე ფაკულტეტის მეორე ციკლის სტუდენტებს, რომელთაც სწავლების ამ უფლების მოპოვება და, შესაბამისად, მასწავლებლის თანამდებობის დაკავება განუზრახავთ, ისევე შეუძლიათ აირჩიონ მასწავლებლის თანამდებობისათვის „ბასკური ენის, ლიტერატურისა და ცივილიზაციის სერტიფიკატი“, რაგორც ხელოვნების ისტორიისა და არქეოლოგიის მასწავლებლის თანამდებობის კანდიდატებს. ამ ღონისძიებებმა სწრაფად გამოიღო ნაყოფი. პირველისა და მეორე ციკლის ბევრმა სტუდენტმა აირჩია ბასკური ენა მეორე ცოცხალ ენად და ბასკური ენის მასწავლებლის თანამდებობის სერტიფიკატი. ამ სტუდენტებს, განსაკუთრებით, წარმოშობით ბასკებს, რომლებსაც ბასკური ენის კარგი პრაქტიკა აქვთ, შეუძლიათ ძვირფასი სამსახური გაუწიონ ბასკურის შესწავლის საქმეს თვით გამოცდებისათვის მზადების პროცესშიც.

უკ ალიერმა, რომანისტმა, ბასკურის შესწავლას ხელი მოჰკიდა 1956 წელს, ხოლო 1961 წლიდან ოფიციალურად წაიკითხა ბასკური ენის კურსი—„ეუსკარულ-რომანული პრობლემების შესწავლის შესავალი“—ტულუზის უნივერსიტეტის ფაკულტეტზე, სადაც იგი უფროსი ასისტენტია. მიუხედავად იმისა, რომ 1965 წელს სამინისტრომ ამ კურსის კუთვნილი კრედიტები არ განაახლა, მან ეს საქმე მაინც განაგრძო.

ამ ბოლო წლებში ესპანეთში, სან-სებასტიანში ჩამოაყალიბეს ხულო დე ურკიხოს სახელობის ბასკური ფილოლოგიის სემინარი (ხელმძღვანელი ლუის მიჩელენა) და სალამანკის უნივერსიტეტის ბასკური ენის კათედრა „მანუელ დე ლარამენდის“ სახელობისა. 1965 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა „ბასკური ენათმეცნიერების კათედრა—ინსტიტუტი“ დეუსტოს (ბისკაია) „სასულიერო უნივერსიტეტში“. ბასკური ენა ისწავლება პამპელუნში, ნავარის უნივერსიტეტში (1952 წელს „ოპუს დეი-ს“ დაარსებული კერძო დაწესებულება, რომელიც 1960 წელს უნივერსიტეტად გადაკეთდა). ფრანგი ბასკოლოგები მიწვეულნი იყვნენ ამ სამ საუნივერსიტეტო დაწესებულებაში და იქ წაიკითხეს ლექციები და მოხსენებები.

ბატონმა ხონ ბილბაომ, წარმოშობით ბასკმა, შემატყობინა, რომ წელს<sup>4</sup> იგი კითხულობს ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში (აშშ) „ბასკური

<sup>4</sup> 1967 (მოარგმნ. შენიშვნა).

ენათმეცნიერების შესავლის კურსს“. მას სურს გააღვივოს ბასკურის შესწავლისადმი ინტერესი.

### გამოკვლევა

ბაიონის ბასკური მუზეუმი, რომელსაც 1961 წლიდან ხელმძღვანელობს ჟან პარიჩელარი, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული თვალსაზრისით საყოველთაო ინტერესს იმსახურებს და მას შეუძლია გარკვეული როლი შეასრულოს ლინგვისტურ გამოკვლევებშიც. დამყარდა მუდმივი კავშირი მუზეუმსა და ბორდოს უნივერსიტეტს შორის.

ტოპონიმების კომისია, რომელსაც მფარველობს „ბასკური მუზეუმის მეგობართა საზოგადოება“ და რომელსაც სათავეში უდგას ლ. დასანსი ამჟერად მუზეუმისათვის ადგენს ტოპონიმებისა და ანთროპონიმების კარტოთეკას, რაც აუცილებელია მომავალი გამოკვლევებისათვის.

იბერიული ენა: ყორჟ კლოსტრმა და ივ სოლიემ, რომლებიც არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ რიუსინოსა (პერპინიანი) და სიჟანში (ოდი), აღმოაჩინეს და ახლაც პოულობენ იბერიულ წარწერებს და მაშინვე დაუზარებლად ატყობინებენ ამ წერილის ავტორს (ლაფონი RIO-ში; 1965 წ. გვ. 1—6).

### კახკასიური ენათმეცნიერება

ჩვენ აქ მხოლოდ ახალ ნაშრომებს მოვიხსენიებთ. მაგრამ არ შეიძლება არ მოვიგონოთ ნიკოლოზ ტრუბეცკოის სახელი და 1922 წელს „ლინგვისტური საზოგადოების ბიულეტენში“ გამოქვეყნებული მისი წერილი ლატერალურ თანხმონებზე (ტ. XXVIII, გვ. 184—204).

საფრანგეთში ორი ენათმეცნიერი, ყორჟ დიუმეზილი, „კოლეჟ დე ფრანს“-ის პროფესორი, ინდოევროპული ცივილიზაციის კათედრის გამგე, და რ. ლაფონი, 35 წელზე მეტია, რაც თავიანთი საქმიანობის ნაწილს უთმობენ კავკასიურ ენებს.

### სწავლება

უმაღლესი განათლების პრაქტიკულ სკოლაში, 1963 წლის ოქტომბერში მ. ბროდელმა VI სექციაში, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობს, კავკასიური ენებისა და ტრადიციების კურსი შემოაღებინა, რომლის წაკითხვაც უ. დიუმეზილს მიენდო. უ. დიუმეზილი წარმოგვიდგენს ჩერქეზულ, უბიხურ და აფხაზურ ტექსტებს. მისი დახმარება ორპან აღფარსლანი, სტუდენტი—არქიტექტორი, რომელიც ჩინებულად ლაპარაკობს ჩერქეზულის ანატოლიურ დიალექტზე.

პარიზის კათოლიკურ ინსტიტუტში ქართულის კურსს კითხულობს შარლ მერსიე, რომელმაც 1951 წელს შეცვალა კანონიკი მორის ბრიერი.

ასევე, ცოცხალი აღმოსავლური ენების ეროვნულ სკოლაშიც 1965 წლის ნოემბრიდან ქართულის კურსს კითხულობს გიორგი შარაშიძე, რომელიც მალე დაიცავს დისერტაციას ქართული ფოლკლორის თემაზე.

ვინც კავკასიურ ენათმეცნიერებას მოჰკიდებს ხელს, უნდა შეეძლოს ქართულად და რუსულად კითხვა. ქართული ენის დამოუკიდებლად შესასწავლად დასავლეთში შეიძლება ვისარგებლოთ კიტა ჩხენკელის ციურისში გამოქვეყნებული (გამომცემლობა „ამირანი“) ორი შესანიშნავი ნაშრომით: ორტომიანი „ქართული ენის შესავალი“<sup>5</sup> (I—გრამატიკა, II—საეარჩიშოები და ლიტერატურული ტექსტები) და „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“<sup>6</sup>, რომელიც ქვეყნდება 1960 წლიდან, ორ-ორ ნაკვეთად წელიწადში; ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოცემას აგრძელებს თანამშრომელთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობენ ქ-ნი იოლანდა მარშევი და ქ-ნი ლეა ფლური, კ. ჩხენკელისავე მეთოდებზე დაყრდნობით.

ჰანს ფოგტის შესანიშნავი წიგნი „თანამედროვე ქართულის გრამატიკის მონახაზი“<sup>7</sup> (ოსლო, 1936, ფრანგულ ენაზე) სამწუხაროდ გამოილია. ავტორი ვარაუდობს მის გადასინჯვას, შესწორებას და ხელახლა გამოქვეყნებას.

### გამოკვლევა

კავკასიურმა ენათმეცნიერებამ ამ უკანასკნელ წლებში დიდი დანაკლისი განიცადა ისეთი თვალსაჩინო მეცნიერების დაკარგვით, როგორიცაა: გერჰარდ დეეტერსი (ბონი, 1961), ქართველი მკვლევარი კიტა ჩხენკელი (ციურინი, 1963), აიტეკ ნამიტოკი, ეროვნებით ჩერქეზი (სტამბოლი, 1963), შ. მიქაილოვი, ეროვნებით ხუნძი (მახაჩყალა, 1964), იარომირ იედლიჩკა (პრაღა, 1965), ალფ სომერფელტი (ოსლო, 1965), ვარლამ თოფურია (თბილისი, 1966).

თბილისში, მახაჩყალაში, მოსკოვში, კრასნოდარში კავკასიური ენათმეცნიერება ერთობლივი კვლევის საგანია, რომელიც შესანიშნავად

<sup>5</sup> K. Tschchenkeli, Einführung in die georgische Sprache, Zürich (Amirani Verlag), 1958.

<sup>6</sup> K. Tschchenkeli, Georgisch-Deutsches Wörterbuch, Zürich (Amirani Verlag), 1960 (ბოლო. 26-ე ნაკვეთი 1974 წ.—მთარგმნ. შენაშენა).

<sup>7</sup> H. Vogt, Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, Oslo, 1936.

არის ორგანიზებული ორი ქართველი სპეციალისტის—აკაკი შანიძისა და არნოლდ ჩიქობავას მიერ, სახელდობრ: აღწერა და ანალიზი ზოგი ნაკლებ ცნობილი ენისა და დიალექტისა; შედარებითი და ისტორიული გამოკვლევები. ამ წერილის ავტორი რეგულარულად იღებს ავტორები-საგან, ან საკვლევო დაწესებულებებიდან ქართულად ან რუსულად დაწერილ ამ ნაშრომთა უმრავლესობას. კერძოდ, თბილისში გამოდის მონოგრაფიები სხვადასხვა ენების შესახებ, ყოველწლიური კრებული „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, რომელიც შეიცავს წერილებს ამ ოჯახის სხვადასხვა ენების შესახებ და სერია „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები“. საბჭოთა კავკასიოლოგები, რომელთაგან უმთავრეს ძალას ქართველები შეადგენენ, ენათმეცნიერთა ერთ-ერთი საუკეთესო ბირთვია მსოფლიოში.

სხვა ქვეყნებში კავკასიური ენათმეცნიერება ცალკეულ მკვლევართა შესწავლის საგანს შეადგენს, რომელთაც ახლა ერთმანეთს უკავშირებს „ქართველოლოგიის მიმოხილვა“.

დავასახელოთ ის უცხოელი მეცნიერები, რომელთა დიდმნიშვნელოვანი ნაშრომები ფრანგულადაა დაწერილი: ეურარ გარიტი (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი) იკვლევს და აქვეყნებს ძველ სასულიერო ტექსტებს; ჰანს ფოგტი (ოსლოს უნივერსიტეტი) სწავლობს ქართულისა და სხვა ქართველური ენების სტრუქტურას. ქ-ნი იოლ. მარშევი ციურინის უნივერსიტეტში აგრძელებს ქართულის კურსს, რომელიც ადრე ე. ჩხენკელს ჰქონდა დაკისრებული.

შეწყობილად გუშაობს საფრანგეთში ორი მკვლევარი, \* რომლებმაც 1916 წელს ერთად დაამთავრეს უმაღლესი სკოლა და რომელთაც აკავშირებს ძველი მეგობრობა. ორივენი გერმანელი კავკასიოლოგისა და ბასკოლოგის კარლ ბოუდას (ერლანგენიდან) დიდი ხნის მეგობრები არიან.

ე. დიუმეზილი წლების მანძილზე შვებულების დროს აგროვებს ანატოლიაში ყოველივეს, რაც კიდევ შეიძლება იქნეს მოპოვებული უბიხური, ჩერქეზული და აფხაზური მეტყველების შესახებ. თუმცა მისი „ნამდვილი მოწოდებაა დააკვირდეს და გადაარჩინოს ადამიანის წარმოსახვის ზოგიერთი ნაყოფი“ (DA I, გვ. 10), რასაც „სულ მოკლე ხანში გაქრობა მოელის“ (DA III, გვ. 12). იგი დაინტერესდა ენათმეცნიერებით და ხელი მიჰყო ძალიან ძნელ ენათა შესწავლას. მას მოუვიდა შეცდომები, რაც აღიარა კიდევ (DA I, გვ. 10 და 79—80). არც შემდეგ შეუწყვეტია თავისი ჩანაწერებისა და ინტერპრეტაციების გადასინჯვა ჯა შესწორება; მომავლისათვის გადადო შეგროვილი მასა-

\* იგულისხმება რ. ლაფონი და ე. დიუმეზილი (მთარგმნ. შენიშვნა).

ლის შედარებითი მეთოდით დამუშავება, თუმცა უკვე საკმაო რაოდენობით დასახა მიმანიშნებელი გზები. მისი ნაშრომები არა მარტო დიდი მეცნიერული მნიშვნელობისაა, არამედ ჰუმანურობის ინტერესსაც ემსახურება (იხ. მაგ. DA III-ში „შენიშვნები უბიხების მასობრივი გადასახლების ასი წლისთავისათვის“). მას მშვენიერი, ხალისიანი ინფორმატორები ჰყავს. ზოგი მათგანი ცოცხალ ლინგვისტურ იშვიათობას წარმოადგენს: ასე, მაგალითად, 80 წელს გადაცილებული ქალი, რომელიც უბიხურად, აფხაზურად და ჩერქეზულად ლაპარაკობს; მის უბიხურ და აფხაზურ გამოთქმაზე დაკვირვება საინტერესოა ამ ორი ენის შედარებითი ფონოლოგიისათვის.

„კოლეუ დე ფრანს“-ის დოტაციით, 1966 წლის იანვარ-თებერვალში ე. დიუმეზილმა ჩამოაყვანიდა პარიზში თავისი საუკეთესო უბიხი ინფორმატორი ტეფფიკ ესენჩი (რომელიც მას ადრე, 1960 წელსაც ჰყავდა ჩამოყვანილი), შემდეგ, 1966 წლის მაისში - თავისი საუკეთესო აფხაზი ინფორმატორი ზიულკიუფი (Zülküf). მათ მეტყველებაზე პარიზის უნივერსიტეტის ფონეტიკის ინსტიტუტში ფონეტიკური დაკვირვება აწარმოებინა შვედ ფონეტიკოსს ბ. მალმბერგს.

ე. დიუმეზილს მხედველობიდან არ გამოორჩენია კავკასიური ოჯახის სხვა ჯგუფებიც, რომელთაც წინათ სწავლობდა. ის მწერს, რომ ოთხი წლის განმავლობაში ლაზური ტექსტები შევავროვეო და 1965 წელს ვიპოვნე ყმაწვილი, რომელიც ერთ ნაკლებ ცნობილ, ყველაზე მეტად თავისებურ ლაზურ დიალექტზე ლაპარაკობსო. ერთი მისი მოწაფეთაგანი, ჟ-ნი კატრინ პარი ა. მარტინეს ხელმძღვანელობით ამზადებს დისერტაციას ჩერქეზულის ანატოლიურ დიალექტზე. მან ეს დიალექტი ადგილზევე შეისწავლა.

1966 წლის სექტემბრამდე არც ერთი კავკასიური ენა არ მომესმინა თავის ქვეყანაში. მრავალ საბჭოთა კავკასიოლოგთან მქონდა კავშირი, მაგალითად, აკ. შანიძესთან, არნ. ჩიქობავასთან. განსვენებულ ვ. თოფურისთან, მრავალ თბილისელ, მოსკოველ და მახაჩყალელ კოლეგასთან; კერძოდ, ჟ-ნ ქ. ლომთათიძესთან, ილ. ცერცვაძესთან, გ. როგავასთან. ტ. გულდავასთან, ოტ. კახაძესთან, ა. მაპომეტოვთან, ე. ლომთათიძესთან, დ. იმნაიშვილთან, ე. ა. ბოკარევთან, გ. ა. კლიმოვთან, ყ. მიქაილოვთან, დიდი ხანია, რაც ხელი მოვკიდე ორმხრივს სამუშაოს: ერთი მხრივ, მიმოვიხილავეთ კავკასიურ ენებთან დაკავშირებულ ძირითად ნაშრომებს „პარიზის ლინგვისტური საზოგადოების ბიულეტენსა“ და „სააზიო ურუნალში“. გარდა ამისა, იმავე „ბიულეტენში“ 1963 წელს გამოვაქვეყნე ქართულ ზმნაზე აკ. შანიძის სტატიის ფრანგული თარგმანი კომენტარებითურთ. ეს სტატია ზოგადი ენათმეცნიერ-

რებისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს. მეორე მხრივ, ვცდილობდი წინ წამეწია ნ. ტრუბეცკოს მიერ წამოწყებული და სხვათა მიერ განგრძობილი საქმე და ახალი შრომების გათვალისწინებით თანდათანობით შემექმნა კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფებისა და ბასკურის შედარებითი ფონეტიკა („ბასკურთ და კავკასიური გამოკვლევები“, სალამანკის უნივერსიტეტი, 1952; სტატიები ეურნ. „უორდში“ 1951—52 წლებში და ახლახან „ქართველოლოგიის მიმოხილვაში“).

კავკასიური ენებისა და ბასკურის ნათესაობის იდეას იცავდნენ აწ განსვენებულნი ა. ტრომბეტი, პ. შუხარდტი, ნ. მარი, კ. ულენბეკი, დღეს—კ. ბოუდა, ე. დიუმეზილი და მე. ბასკური ენის წარმოშობის პრობლემას შევხე 1951 წლის იანვარში, პარიზის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის ინსტიტუტში წაკითხულ საჯარო ლექციაში (გამოქვეყნებულია კლინკსიკთან). დღეს ზოგიერთი იქ დასმული საკითხი დასაზუსტებელი და შესავსები იქნებოდა. 1967 წელს „ქართველოლოგიის მიმოხილვაში“ (№ 52—53, გვ. 9—19) გამოვაქვეყნე სტატია, რომლის სათაურია „კავკასიური ენათმეცნიერება საქართველოში“.

ზოგი ენათმეცნიერი საკამათოდ ზღის წარმოდგენილი არგუმენტების დამაჯერებლობას, და საერთოდ ბასკურის სხვა ენებთან ნათესაობის საკითხსაც ექვის თვლით უყურებს. მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს მათ ვკითხოთ, როგორ ფიქრობენ ახსნან ზუსტი ფონეტიკური შესატყვისობები და მრავალრიცხოვანი მორფოლოგიური და ლექსიკური შეხვედრები, რომლებიც შენიშნულია ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის და რომელთაც ვერ მივაწერთ ვერც შემთხვევითობას და ვერც სესხებას.

1967 წელს მოსკოვში რუსულად გამოვიდა მეტად მნიშვნელოვანი 712-გვერდიანი წიგნი სათაურით „იბერიულ-კავკასიური ენები“, სადაც მთელი კავკასიური ენებია ავტორიტეტული სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი. ეს ნაშრომი, რომელიც შეადგენს ხუთტომიანი წიგნის „საბჭოთა კავშირის ხალხთა ენების“ მეოთხე ტომს, მომზადდა და გამოქვეყნდა პროფესორების ე. ა. ბოკარევისა (მოსკოვი) და ქ. ჯ. ლომთაიძის (თბილისი) ხელმძღვანელობით. ის საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთ კავკასიური ენათმეცნიერების მდგომარეობაზე 1966 წლისათვის. კიდევ მეტიც, ის საფუძვლად გამოადგება უამრავ სხვადასხვაგვარ აღწერითს, ისტორიულს თუ შედარებითს სამუშაოს.

თუ დადასტურდა, რომ ბასკური და კავკასიური ენები მონათესავენი არიან, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, ქმნიან ეუსკარო-კავკასიურ ენათა ოჯახს, ასახსნელი რჩება: როგორ მოხდა, რომ ოდესღაც კავკასიურთან მონათესავე ენაზე ლაპარაკობდნენ პირენეების ორივე კალთა-



ზე და მთისძირა დაბლობებში და დღესაც ლაპარაკობენ ამ კუთხის უკიდურეს დასავლეთში. ამჟამად ყველაზე მისაღებია კავკასიიდან ან მისი მეზობელი ქვეყნებიდან მიგრაციის ჰიპოთეზა.

ქართველმა ენათმეცნიერებმა, რომლებსაც ახლახან შეეხვდი თბილისში, გამამხნევეს, რათა გამეგრძელებინა ჩემი საქმიანობა, ზემოთ რომ მოგახსენეთ. ისევე როგორც „ქართველოლოგიის მიმოხილვის“ ზოგი სხვა თანამშრომელი, მეც მიმიწვიეს დიდი ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულსა და ცერემონიაზე დასასწრებად, რომელიც 1966 წლის 25 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე გრძელდებოდა. გარდა ამისა, სამუალება მომეცა „საქართველო-საფრანგეთის“ საზოგადოების მიწვევით რამდენიმე დღე გამეტარებინა თბილისში ქართველ ენათმეცნიერებთან შესახვედრად. ბევრი ვესაუბრე მათ, განსაკუთრებით აკ. შანიძესა და ა.წ. ჩიქობავას, აგრეთვე რომანისტს, ფილოლოგიის დოქტორს ქ-ნ მ. ა. ბოროდინას, რომელიც ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში ასწავლის. ვწვიე ენათმეცნიერების, ხელნაწერებისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის ძლიერი სპეციალისტებით დაკომპლექტებულ ინსტიტუტებს, სადაც შესანიშნავ სამუშაოებს ასრულებენ. მოვისმინე უშუალოდ, თუ მაჯინტოფირზე ჩაწერილი სხვადასხვა კავკასიური ენა. უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაში (ენათმეცნიერების ინსტიტუტში) წავიკითხე ლექციების სერია ბასკური ენის შესახებ.

ენათმეცნიერები, რომლებსაც მე შეეხვდი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხალხებისა და ცივილიზაციების ისტორიისათვის ბასკურისა და კავკასიური ენების ნათესაობის პრობლემას. ბევრს აინტერესებს ეს საკითხი. არნ. ჩიქობავა გაზეთ „კომუნისტში“ 15 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სტატიამი სამართლიანად ამბობს, რომ როცა საქმე ეხება გეოგრაფიულად ერთიმეორისაგან ძლიერ დაშორებული და ძალიან განსხვავებული სტრუქტურების მქონე ენების ნათესაობის დამტკიცებას, „საკვიროა ენათა ისტორიის დიდ სიღრმეზე გათხრა“. ამ შემთხვევაში საკვიროა გვყავდეს ენათმეცნიერები, რომლებიც იქნებიან კრთსა და იმავე დროს კავკასიოლოგებიც და ბასკოლოგებიც. ასე რომ, უნდა ვაზიაროთ კავკასიოლოგები და ასევე რომანისტები ბასკურ ენათმეცნიერებას, ხოლო ბასკოლოგები—კავკასიურ ენათმეცნიერებასაო. ასეთია იმ ენათმეცნიერთა აზრი, რომლებსაც იქ შეეხვდი. ამ აზრს საესებით ვიზიარებ. ჩვენ ერთმანეთს დავეხმარებით.

ბასკურის შესწავლა ხელმისაწვდომია მთელი მსოფლიოს ენათმეცნიერთათვის. მიუხედავად მისი მცირე ტერიტორიაზე გავრცელებისა, ბასკეთი წარმოადგენს კვლევა-ძიების ძალიან მდიდარ ასპარეზს, რ.აჟ

ლის ფარგლები ბასკეთს სცილდება. რა ვთქვათ კავკასიაზე? აქაც და იქაც შეტად მრავალფეროვანი სამუშაოებია შესასრულებელი. ფაქტების შეგროვება, რაც ყველაზე მარტივი ჩანს, ყველაზე უმნიშვნელო როდია: ეს გადაუღებელი საქმეა, რადგან დიალექტებსა და ენებსაც კი გაქრობა მოელის—არქივში იკარგება, თავისებურებები იწლება. მაგრამ ფაქტობრივი მასალა ყველაფერი როდია, იგი თავისთავად საქმარისი არ არის. მეცნიერება წინ მიდის გონების უწყვეტი გადანაცვლებით ფაქტებიდან კონცეფციებზე, რომლებსაც ის ქმნის ამ ფაქტების ასახსნელად. ხანდახან ეს კონცეფციები ძალიან თამამი ჩანს. მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან დიდი პრობლემები, რადგან, როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს იმავე წერილში, „ცნობილია, რომ დიდი პრობლემები ერთი ხელის მოსმით ვერ გადაწყდება. ისიც ცნობილია, რომ ისინი ვერასოდეს გადაწყდება, თუ არ იქნა დასმული“.

### ბიბლიოგრაფია

საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ გამოქვეყნებული წიგნები და ჟურნალები, რომლებიც ეხება ბასკურ ენათმეცნიერებას, კავკასიურ ენათმეცნიერებას, ან ორივეს ერთად.

**BK:** „ქართველოლოგიის მიმოხილვა“, მიზნად ისახავს საქართველოსა და კავკასიის შესწავლას, გამოდის პარიზში, „მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრის“ ხელის შეწყობით. დააარსეს და ხელმძღვანელობენ: კალისტრატე სალია და ქ-ნი ნინო სალია. მის სხვადასხვა ეროვნების თანამშრომელთა შორის თბილისელი მეცნიერებიც არიან.

**BMB:** Bulletin du Musée basque: Bayonne (ბასკური მუზეუმის ბიულეტენი, ბაიონა).

**BRSVAP:** Boletín de la Real Sociedad Vascongada de Amigos del País (Saint-Sébastien) (ბასკთა ქვეყნის მეგობართა საზოგადოების ბიულეტენი, სან-სებასტიანი).

**BSL:** Bulletin de la Société de Linguistique de Paris (პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების ბიულეტენი).

**DA:** Georges Dumézil, Documents anatoliens sur les langues et les traditions du Caucase, 3 volumes (1960, 1962, 1965) (ქორე დიუმეზილი, ანატოლიური დოკუმენტები კავკასიური ენებისა და ტრადიციების შესახებ, 3 ტომი).

**Et:** R. Lafon, Etudes basques et caucasiques (Universidad de Salamanca, 1952) (რ. ლაფონი, ბასკური და კავკასიური გამოკვლევები. სალამანკის უნივერსიტეტი).

**Euskera** (ბასკური ენა). ბასკური ენის აკადემიის შრომები და წერილები, Bilbao (ბილბაო).

**GH:** Gure Herria: „ჩვენი ქვეყანა“, Ustaritz, Basses-Pyrénées (უსტარიცი, ქვემო-პირენეი).

JA: Journal asiatique (Paris) (სააზიო ჟურნალი, პარიზი).

RIO: Revue internationale d'Onomastique (Paris) (ონომასტიკის საერთაშორისო მიმოხილველი, პარიზი).

VD: Via Domitia, ტულუზის ლიტერატურისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ გამოქვეყნებული ანალები.

Word: New-York („სიტყვა“: ნიუ-იორკი).

შესანიშნავ სახელმძღვანელოს წარმოადგენს ორი უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული ნაშრომი:

Chanoine Pierre Lafitte, Grammaire basque (Bayonne) (კანონიკი პიერ ლაფიტი, ბასკური გრამატიკა, ბაიონა), 1944, (მე-2 გამოცემა, 1962 წ.)

Luis Michelena, Fonética histórica vasca (Saint-Sébastien) (ლუის მიჩელენა, ბასკურის ისტორიული ფონეტიკა, სან-სებასტიანი) (1961).

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის  
მოსაპოვებელი თემები:

R. Lafon, Le système du verbe basque au XVI<sup>e</sup> siècle (Paris) (რ. ლაფონი, ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში, პარიზი) 1944, „ბორდოს უნივერსიტეტის“ გამოცემა, 2 ტ.

მზალდება:

Etude d'un parler basque du Baztan, par Mme Geneviève N'Diaye (ქ-ნი ენევევ ნ'დიაი, გამოკვლევა ბასკურის ბასტანური კილოკაის შესახებ). ავტორი „მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრის“ თანამშრომელია (ხელმძღვანელი: სორბონის პროფესორი ანდრე მარტინე).

ბორდოს უნივერსიტეტის ფაკულტეტის ესპანურის მასწავლებლის ჟან პარიჩე-ლარის ძირითადი თემა: La vie et l'œuvre du poète souletin Etchahoun, (1785—1862), par Jean Haritschelhar (სულ-ის პოეტის ეჩაჰუნის ცხოვრება და შემოქმედება), ხელმძღვანელი: რ. ლაფონი. ამ მნიშვნელოვანი და ორიგინალური ნაშრომის ნახევარზე მეტი მზად არის. დამატებითი თემა: Le parler basque de Baïgorry (ბასკურის ბაიგორიული კილოკაი), ეს ავტორის მშობლიური კილოკაია. ჩაწერილია მრავალი ტექსტი (ხელმძღვანელი: ანდრე მარტინე).

მესამე ციკლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებელი თემები:

„Onomastique du Nord du Pays basque du XI<sup>e</sup> au XV<sup>e</sup> siècle“, par Eugène Goyheneche (ეენ გოიენეჩე, „ჩრდილოეთ ბასკეთის ონომასტიკა XI—XV საუკუნეებში“). ავტორი არქივის-პალეოგრაფი, „მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრის“ წარმომადგენელია (ხელმძღვანელები: ბორდოს უნივერსიტეტის ისტორიის დამხმარე მეცნიერებათა პროფესორი შ. იგუნე და რ. ლაფონი).

Phonologie, morphologie et syntaxe de la langue basque actuelle et de la vieille langue (თანამედროვე და ძველი ბასკურის ფონოლოგია, მორფოლოგია და სინტაქსი): რ. ლაფონის მიერ BSL-ში გამოქვეყნებული წერილები.

Dialectologie et cartographie (დიალექტოლოგია და კარტოგრაფია): ე. ალიერის წერილები რუკებითურთ VD-ში და რ. ლაფონისა BSL-სა და VD-ში.

ე. ალიერი მოსამზადებელ სამუშაოებს აწარმოებს ბასკეთის ლინგვისტური და ეთნოგრაფიული ატლასის შესადგენად.

Versification, prosodie et métrique: (ვერსიფიკაცია, პროსოდია და მეტრიკა): ე. პარიჟელარი GH-სა და BMB-ში.

Onomastique (ონომასტიკა): კანონიკ პ. ნარზაიუს (P. Narbaitz) გამოუქვეყნებელი მონოგრაფია Commune d'Ascarrat au XVIII<sup>e</sup> siècle et à l'époque actuelle (ასკარატის თემი XVIII საუკუნესა და თანამედროვე ეპოქაში).

CH-სა და BMB-ში წერილები: ენ-ს, ლიტერატურისა და ონომასტიკის შესახებ; კერძოდ ლუი დასაქსის, პიერ დოენი-პეტრეს, კანონიკ გ. ედერის, გოიენქის, პარიჟელარის, ლაფიტისა და ლაფონისა.

რ. ლაფონის ინფორმაციები აკვიტანიური ენის შესახებ სამხრეთ-დასავლეთის ისტორიული ფედერაციისა და სამეცნიერო საზოგადოებათა სხვადასხვა კონგრესებზე

### ს ტ ა ტ ი ა ს ე რ თ ე ს რ ა მ დ ე ნ ი მ ე ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ა :

1. ქართული დამწერლობის განვითარების სამი საფეხური: VI საუკ.; IX—XI; მესამე საფეხურს წარმოადგენს დღევანდელი დამწერლობა.

მოცემულია მრგვლოანი, ნუსხური და მხედრული დამწერლობის ნიმუშები „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე. სტროფა („ნახევ უცხო“...) თარგმნილია ფრანგულად (სიტყვასიტყვითი თარგმანი)<sup>9</sup>.

2. ორი სტროფი ბერნარდ ლეჰარეს უქელესი (1545) ბასკური წიგნიდან *Linguae Vasconum Primitiae* თავდაპირველი გამოცემის მიხედვით. ავტორს თანამედროვე ორთოგრაფიის ნიმუშადაც იგივე სტროფები მოჰყავს:

Amoria ezin zenzuz ezin daite governa.  
Anhutzetan honeston du guti bohar duiona.  
Arnoak bano gauzkiago ordi diro persona.  
Sarri estaka, berant laxa hark hatzeman dezana.

Amoria itu da eta oztazagu zuzena.  
Eztu uste berzerik dela, lekot maite duiona.  
Suiak bano gauzkiago erra diro gizona.  
Itxasoak ez iraungi erutzeki dadina.

[ამორია ესინ სენსუს ესინ დამტე გობერნა  
ანჰიუტეტან პონეშტენ დუ გუტი ბეჰარ დუმენა  
არნოაკ ბანო გაისკიაგო ორდი დირო პერსონა  
შარრი ეშტაკა ბერანტ ლაშა პარკ ჰატემან დესანა

ამორია იჩუ და ეტა ესტასაგუ სუსენა  
ესტუ უშტე ბერსერიკ დელა ლეკოტ მატე დუმენა  
შუდაკ ბანო გაისკიაგო ერაა დირო გისონა  
ინ-შოაკ ეს ირაუნგი ვრაჩეკი დადინა]

ბასკური ტექსტი თარგმნილია ფრანგულად.

<sup>9</sup> თარგმანში გამოტოვებულია — რ ე დ.

„საყვარელს ვერ მართავს ვერავეი თარი გონება. ხშირად იგი ისეთ ვინმეს ხედება წილად, ვინც მას ნაკლებად იმსახურებს. მას ღვინოზე უფრო ცბიერად შეუძლია დაათროს კაცი. იგი უცებ ბოქავს აღაჰიანა, მაგრამ აგვიანებს იმისქ გაშვებას, ვინც დაიჭირა“.

„სიყვარული ბრმა არის და ირ იცნობს კანონს. ჰგონია, რომ საყვარელი ირ-სების იქით აღარაფერია. მას შეუძლია ცეცხლზე ცბიერად დაწვას კაცი. ზღვი ვერ ნააქრობს იმას, რასაც აღი ასე მოედება“.

არნ. ჩიქობავა

## ბასკოლოზ-კავკასიოლოგი რენე ლაფონი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები<sup>1</sup>

დღევანდელი სხდომა ეძღვნება გამოჩენილი ფრანგი ბასკოლოგისა და კავკასიოლოგის რენე ლაფონის ხსოვნას.

ქართველოლოგია და კავკასიოლოგია დიდად არის დავალებული ფრანგი მეცნიერებისაგან.

პირველი ვრცელი ქართული გრამატიკა უცხოეთში დაწერა მარი ბროსემ (Marie Brosset. *L'art libéral ou Grammaire géorgienne*, პარიზი, 1934). მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართული ენის ეს გრამატიკა წარმოადგენდა ქართულის არმკოდნე უცხოელი მეცნიერებისათვის ერთადერთ წყაროს ქართულას გასაცნობად.

მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ძვირფას დოკუმენტაციასა და მეცნიერულად ფასეულს ანალიზს იძლევა ჟორჟ დიუმეზილის შრომები უბიხურისა და ადიღურ-ჩერქეზული დიალექტების შესახებ. ასევე — შემაჯამებელი შრომები: „შედარებითი ძიებანი ჩრდილო-დასავლურ კავკასიურ ენათა შესახებ“ (*Etudes comparatives sur les langues caucasiennes du Nord-Ouest*“, პარიზი, 1932) და „შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებითს გრამატიკაში“ (*„Introduction à la Grammaire comparée des langues caucasiennes du Nord“*, პარიზი, 1933).

ქართველური ენები ე. დიუმეზილს ამ კონტექსტში არ განუხილავს — ჭანურზე მუშაობას თუ არ ჩავთვლით. თურქეთში ჭანური ტექსტების ჩაწერა კი ე. დიუმეზილმა წარმატებით აწარმოა და ფასეული დოკუმენტაცია შეგვძინა. დიდ კოლექტიურ ნაშრომში „მსოფლიოს ენები“ (*„Les langues du monde“*), მის მეორე გამოცემაში (1952 წლის), „კავკა-

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად რ. ლაფონის ხსოვნისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომაზე უნივერსიტეტში 1974 წ. 14 ივნისს.

სიურ ენათა მიმოხილვა“ ე. დიუმეზილს ეკუთვნის. ე. დიუმეზილის ნაკვლევს აფხაზურ-ადიღურ ენათა შესწავლის საქმეში ნაყოფიერად აგრძელებენ გ. შარაშიძე და კატრინ პარი (C. Paris).

ე. დიუმეზილის მონოგრაფია „შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში“ განიხილავს საკითხს „ჩრდილო-კავკასიური ენები და ბასკური“. ესაა ბოლო, მეხუთე თავი, გვ. 123—149.

ე. დიუმეზილი წერს: ბასკურის შეხვედრები სამხრულ კავკასიურ ენებთან მეტად ფრაგმენტულია (trop fragmentaires). ჩრდილო-კავკასიურ ენებთან შეხვედრები კი—ყველა მნიშვნელოვან პუნქტში თითქმის სრულია (la coincidence est sur tous les points importants presque complète, გვ. 124). ბასკურის კავკასიურთან მიმართების საკითხს ე. დიუმეზილი სვამს ა. ტრომბეტისა და ჰ. შუხარდტის ნაშრომთა გათვალისწინებით. ეს იყო 1933 წ.

როგორც ცნობილია, ა. ტრომბეტი ენათა მონოგენეზის თვალსაზრისზე იღვა: ყველა ენა ერთი წარმოშობისაა, ერთ საერთო მასალას ემყარება, ე. ი. ყველა ენა მონათესავეა. კვლევა ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ნათესაობის მეტ-ნაკლებ სიახლოვეს იშორებს შეიძლება ეხებოდეს.

ჰ. შუხარდტმა ბასკურით დაიწყო და, როგორც თვითონ ამბობს, ბასკურმა მიიყვანა კავკასიურ ენებამდე. ჰ. შუხარდტი ქართულს მეცნიერულა სიღრმით იკვლევდა.

რ. ლაფონის ნარკვევი ბასკურისა და ქართულის მორფოლოგიურ შეხვედრათა შესახებ იმავე 1933 წელს გამოქვეყნდა („Revue Internationale des Etudes Basques“ გვ. 150—172). სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არ გვქონია ეს შრომა.

ე. დიუმეზილი მთის კავკასიურ ენათა ფაქტებს უდარებდა ბასკურს, რ. ლაფონი ქართულთან შედარებით იწყებს, შეზღვევი—მთის კავკასიურ ენათა მასალასაც შემოიტანს კვლევის არეში.

ჩვენ ლაფონის სახით ერთ სპეციალისტში შეთავსდა ბასკური ენის გამოჩენილი მკვლევარი და ქართული ენის პრაქტიკულად მკვლევარიც, მკვლევარიც.

1944 წელს ბორდოს უნივერსიტეტმა გამოსცა რ. ლაფონის გამოკვლევა ორ ტომად „ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში“ („Système du verbe basque du XVI siècle“). პირველ ტომს ერთვის ბასკურ-კავკასიური შეხვედრები, ორმოცდაათამდე; მათგან, როგორც ავტორი ამბობს, მეტი წილი აღრევე ყოფილა აღნიშნული. ზოგიც—ახალია (რ. ლაფონი, „მორფოლოგიური შეხვედრები ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის“—ეურნ. „Word“, ტ. 7, № 3, 1951 წ., გვ. 228) ა

1944 წლიდან მოყოლებული, როცა რ. ლაფონის სადოქტორო დისერტაცია („ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში“) გამოქვეყნდა, ოცდაათი წლის მანძილზე რ. ლაფონი დაუცხრომელ სამეცნიერო კვლევით მუშაობას ეწეოდა ბასკური ენის მორფოლოგიისა და ფონეტიკის საკითხებზე. რ. ლაფონს ეკუთვნის რიგი წერილი ქართულისა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ.

რ. ლაფონს ეკუთვნის არა ერთი რეცენზია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ცალკეული ტომისა, აგრეთვე „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ რიგი ტომებისა.

ეს რეცენზიები იბეჭდებოდა „პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების ბიულეტენში“, „სააზიო საზოგადოების შრომებში“, „ქართველოლოგიის მიმოხილვაში“.

ეს დაწვრილებითი რეცენზიები მიზნად ისახავდა სწორად გაეცნო სპეციალისტებისათვის ის მუშაობა, რაც ჩვენში წარმოებდა.

რენე ლაფონის ხსოვნის საღამოს საჭაროა ეს აღინიშნოს და აღინიშნოს მადლობით.



რენე ლაფონის ნაშრომთა შორის ზოგადი მნიშვნელობა აქვს მის წერილს „მორფოლოგიურა შეხვედრები ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის“ („Concordances morphologiques entre le basque et les langues caucasiques“, უერნ. „Word“, ტ. 7, (1951), №3, გვ. 207—224... ტ. 8 (1952), №1, გვ. 80—94), აგრეთვე წერილს: „ბასკური და კავკასიური ენების შედარებისათვის“ („Pour la comparaison du basque et des langues caucasiques“—„Revue de Kartvelologie“, t. XXV, 1968. განხილულია ბასკურ ზმნაში პირის ნიშნები და მოცემულია წინანდელი ვითარების აღდგენის ცდა).

აქ შეეჩერდებით პირველ წერილზე და იმ მეთოდოლოგიურ საკითხებზე, რასაც ეს წერილი აღძრავს. სული 35 ფაქტია დასახელებული (პირველ წერილში—21, მეორეში—14).

ზოგი ბრუნების ფორმანტია, ზოგიც—უღვლილებისა თუ სიტყვაწარმოებისა ანდა ნაცვალსახელოვან ფუძეებს წარმოგვიდგენს.

ორიოდე მაგალითი შეპირისპირებათაგან, რასაც რ. ლაფონი იძლევა. ბასკ. კაუზატივის პრეფიქსი r(a): bil „სვლა“ (marcher) ra-bil „ტარება“, დაძვრა“, „ადგილის გადანაცვლება“ (faire marcher, mouvoir, déplacer) შედარებულია აფხ. კაუზატივის r-პრეფიქსს.

ბასკ. ni „მე“, პირის პრეფ. n-, სუფ. -d—ლაკ. na „მე“, დარგ. (წუღახარ. კილო): სახ. du, ერგ. du, მიც. dam, ნათ. dil.

ბასკ. gu „ჩვენ“ და ქართ. გვ-პრეფ. („გვაქო ჩვენ“...)



ბასკ. zu „თქვენ“, პირის პრეფიქსი z—აფხ.-ადიდ. so, šu...

ბასკ. d—მესამე პირის პრეფიქსი—აფხ.-d „ჩვენებითი ნაცვალსახელი“ და მესამე პირის ნაცვალსახელი.

ბასკ. -le, ბისკ. -la „მოქმედის აღმნიშვნელი სუფიქსი“—ჩერკე le, ლაკ. ala „მოქმედის აღსანიშნად ხმარებული“.

ბასკ. -ats „კნინობითის სუფიქსი“ (suffixe diminutif)

ლაკ. fa „კნინობითის სუფიქსი“.

ბოლოს შემაჯამებელი სქემა ერთვის; აქ ნათქვამია, რომ ბრუნებაში საერთო გამოვლინდა 10 ერთეული; ჩვენებითი ნაცვალსახელი და ნაწილაკი საერთოა—6, კითხვითი—3, უარყოფის ნაწილაკი—1, ზმნის ფუძის საწარმოებელი—1, პირის ფორმანტები—6, ნამყოფი სუფიქსი—1, „არაპიროვანი ფორმები“—2, მიმართებითი სუფიქსი—1, სიტყვაწარმოებითი—4... ნაჩვენებია ბასკურის შესაბამის მოვლენათაგან—რა დასტურდება კავკასიურ ენათა ოთხსავე ჯგუფში, რა—სამში, რა—ორში და რა—ერთში.

რა შეიძლება ითქვას ამგვარი შედარების შესახებ?

სხვადასხვა ენა ერთმანეთს რალაციით ჰკავს და რალაციით განსხვავდება. შედარების მიზანი ყოველთვის იყო და ახლაც არის იმის გარკვევა, თუ რაა ენებს შორის საერთო და რაა განსხვავებული, ოღონდ ხან წინა რიგში დგას საერთოს კვლევა, ხან კიდევ ჭერ განსხვავებული მოექცევა ყურადღების ცენტრში, რომ შემდეგ საერთო იკვლიონ და ზოგადი კანონზომიერება გამოავლინონ.

ენა დინამიკური სისტემაა: „საერთოცა“ და „განსხვავებულიც“ ცვლადს ოდენობას წარმოადგენს და ყველა იმ სირთულეს აჩენს, რაც „ცვლადის“ შესწავლას ახასიათებს.

ამ სირთულის დიაპაზონი ადვილი წარმოსადგენია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ცვლა მიმდინარეობდა არა ერთი ათასწლეულის მანძილზე, მასთან, ცვლის შენაგან ტენდენციებს გარდა, გარე ფაქტორებიც მოქმედებდნენ: ენათა კონტაქტი სხვადასხვა ძალისა და განსხვავებული შედეგისა... აი, ცვლის საილუსტრაციო ერთი მაგალითი. ზმნა იუღლეება, ე. ი. იცვლება მოქმედი პირის მიხედვით: ლათ. lego, legis, legit „კითხულობ“, „ჰკითხულობ“, „კითხულობს“; ასეთ ზმნას მიჩვეული ვართ.

მაგრამ ეს როდია ერთადერთი შესაძლებლობა; დაღესტნის ენებში ერთმანეთის მონათესავე ენებია. ეს არავის ეეჭვება; ამ ენებს კი უღვდილებს ოთხი სხვადასხვა პრინციპი აქვს გამოყენებული:

I. ზმნა აღნიშნავს მხოლოდ იმას, რა გრამატიკული კლასისაა სახელი (ვინ კატეგორიისა თუ რა კატეგორიისა?), მაგრამ პირებს

(«მე», «შენ», «ის») ზმნა არ განასხვავებს (საამისოდ ნაცვალსახელი უნდა დაუერთო).

ეს კიდევ არაფერი. ზმნა თუ გარდამავალია, მასში მხოლოდ ობიექტი აღინიშნება, სუბიექტი არა ჩანს—არც პირი, არც კლასი.

ასეთია ხუნძური ზმნის კლასოვანი უღვლილება, პირგაურჩეველი.

II. ზმნაში ნაჩვენებია სახელის კლასიცა და პირიც: ესაა უღვლილება კლასოვან-პიროვანი: ამის ნიმუში გვაქვს თაბასარანულში, ნაწილობრივ ლაკურსა და დარგულში...

III. ზმნაში მხოლოდ პირებია გარჩეული ისევე, როგორც ქართულ ერთპირიან (აბსოლუტურ) ზმნაში (ანდა ლათინურში), უღვლილება პიროვანია, ოღონდ სუბიექტური; ასეთია უდური ზმნა (ობიექტს ის არ აღნიშნავს: მეკითხება, გაქებს და მსგავსი ფორმები მისთვის უცხოა).

IV. ზმნა უღვლილების პროცესში არც კლასს აღნიშნავს, არც პირსა და არც რიცხვს: აწმყოში, ნამყოში მხოლოდ ფუძე გვაქვს: ვინ აკეთებს, რას აკეთებს, ამას ცალკე სიტყვა გადმოგვცემს, ზმნა ამას არ გვანიშნებს.

ასეთი ზმნა გვაქვს ლეზგიურსა და აღულურ ენაში.

ის, რაც დაღესტნის ენებში თავმოყრილია, ცალ-ცალკე სხვადასხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში გვაქვს:

ოდენ კლასოვანი უღვლილება ჩაჩურსა და ინგუშურშია მოცემული, კლასოვან-პიროვანი—აფხაზურში, ბაცბურში. ოდენ პიროვანი—ქართველურ ენებში, ადიღურ-ჩერქეზულსა და უბიხურში. ოღონდ აქ ზმნა სუბიექტის პირებს გარდა ობიექტის პირებსაც აღნიშნავს (მასთან ორისა და სამისასაც ადიღურ-ჩერქეზულში...).

ბასკური უღვლილება ამჟამად პიროვანია, მასთან მეტ წილად აღწერთია. რას უნდა შევეუდაროთ ის? ერთი შეხედვით ადიღურ-ჩერქეზულსა და ქართველურს, თუ ადიღურ-ჩერქეზულისა და ქართველურის ვითარებაა ძველი და ბასკურისაც ასევე ძველია.

გარკვეულია, რომ პიროვანი უღვლილება მომდინარეობს კლასოვან-პიროვანისაგან, ეს კიდევ—კლასოვანისაგან... ქართული და სვანური ზმნის უღვლილებაში გამოვლენილია იმის კვალი, რომ ზმნა კლასების მიხედვით იუღვლებოდა.

ეს ნიშნავს: ზმნის უღვლილების ნაირგვარობა ამჟამად ასახავს ევოლუციის სხვადასხვა საფეხურს; საჭიროა საერთო ამოსავალი საფეხურის მიკვლევა: საჭიროა ევოლუციის სხვადასხვა საფეხურის ისტორიული გაერთმნიშვნელობა. და მაშინ შეგვიძლია ერთი საფეხურის მოვლენათა შედარება; და ასეთ შედარე-

ზას აქვს მნიშვნელობა ენათა ისტორიულ-გენეზისური საკითხების კვლევისას, ამის საჭიროება ჯერ კიდევ აგვ. შლაიხერს ჰქონდა ნაჩვენები გასულ საუკუნეში.

ენათა შედარება, ამრიგად, ადვილიც არის და ძნელიც—იპის მიხედვით, ზედა ფენებს ვაძარებთ, თუ სიღრმისეული ვითარების გარკვევას ვისახავთ მიზნად.

ზედაპირის მოვლენათა მიხედვით მსჯელობა ისტორიული ვითარების შესახებ დაახლოებით იმ რიგისა იქნებოდა, რომ გვეთქვა:  $\frac{7}{100}$

მეტია, ვიდრე  $\frac{2}{3}$  — იო... არითმეტიკაში ასეთ რამეს არ იტყვიან, ენათმეცნიერებაში ასეთი რამ ითქმის (ხანდახან აპლომბითაც: მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა ესააო! ასეთია, მაგალითად, ნოსტრატული თეორია; ქართულ ლექსიკურ ფაქტებს უძარებს ინდო-ევროპულს, სემიტურს, უნგრულ-ფინურს, თურქულ-ალათაურს, დრავიდულს ენებს; ეს კია, რომ ქართული მასალის შედარება აფხაზურ-ჩერქეზულთან, ნახურ-ქისტურთან, დაღესტნის ენებთან ყურადღების გარეშე რჩებათ: მთის კავკასიური ენები საერთოდ არა ჩანს).

შესადარებელი ფაქტების ადგილის გარკვევა სათანადო ენის სისტემასა და ისტორიაში—ამ ეს იგულისხმება, როცა ისტორიის ღრმა ფენების გათხრაზე ვლაპარაკობთ და სიღრმისეულ მოვლენათა შედარებას ვთვლით საჭიროდ. პ. უსლარს გეუთვნის სიტყვები: კავკასიურ ენებს ვასაოცარი ნაირგვარობა ახასიათებს და ღრმა ფენებში ნათესაობის ნიშნებით (при поразительном разнообразии глубоко родственные черты).

ამ თვალსაზრისით ბუნებრივი იქნებოდა გვეკვლია: ბასკური ზმნის უღვლილება იმ თავითვე პიროვანი იყო თუ არა, და კლასოვანი უღვლილების კვალი ხომ არ დარჩენილა... ეს ბასკური ენის ისტორიის საქმეა...

ის, რაც ზმნის უღვლილების ნაირგვარობაზე ითქვა, ეხება სახელთა ბრუნებასაც, სიტყვაწარმოებას, ფონემურ შედგენილობას: ყველგან იმ რიგის საკითხები დგას, რაც ზმნის უღვლილებისას აღინიშნა. ასე, მაგალითად, აფხაზურში სახელი ბრუნვებს (ერგატივს, დატივს, გენეტივს) არ განარჩევს, სათანადო სინტაქსური ურთიერთობანი ზმნის ფორმათა მეშვეობით გადმოიციემა. ადიღურში ერგატივი და მოქმედებითი გაირჩევა, თუმცა აღამიანთა სახელები არც ერგატივის ნიშანს ღაართავენ, არც სახელობითისას: ამ ბრუნვათა ნიშნები განსა-

ზღვრებითი ნაწევარია (ასეთი ნაწევარი ადამიანის სახელს არ ესაჭიროება: ძველ ქართულში ადამიანთა სახელები ერგატივისა და სახელობითის დაბოლოებას ყოველთვის არ დაირთავდნენ, ფუძის სახით გვევლინებოდნენ ამ ორ ბრუნვაში; ქართულში ესაა გადმონაშთი ძველი ვითარებისა, რომელიც ადიღეურს დღემდე შემოუნახავს).

ქართველურ ენებში, ნახურსა და დაღესტნურ ენებში ბრუნების სისტემა მდიდარია: ძირითად ბრუნვებს (ერგატივს, დატივს, გენეტივს) აქ ერთვის თანდებულიან ბრუნვათა რთული სისტემა... ყველაზე რთული ზმნა აფხაზურ-ადიღურ ენებს აქვს, სახელის ბრუნება აქ ყველაზე მარტივია. დაღესტნურ ენებში მეტწილად ამის საპირისპირო მდგომარეობა დასტურდება: აფხაზური ენა და ლეზგიური ენა ამ მხრივ სხვაობის მაქსიმუმს იძლევა.

• • •

ყველაფერი, რაც დღემდე გაკეთდა უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრაზე და ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერ-კავკ. ენათა განყოფილებაზე, იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიის სიღრმეში ჩაწვდომას ისახავდა მიზნად. ეს იყო ძირითადი ამოცანა. ცალკე ენათა შესწავლა ამ მიზანს ემსახურებოდა.

ჭერ-ჭერობით იმას მივალწიეთ, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ცალკეული ჯგუფების ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა და მორფოლოგიის მეცნიერული საფუძვლიანობით ჩამოყალიბება შეიძლება იქნეს დაწყებული, მასთან ყველაზე რთულ უბანზეც, როგორცაა აფხაზურ-ადიღურ ენათა სინამდვილე.

როცა ამ გზით ჩვენი ენების ოთხივე ჯგუფი დამუშავდება, მაშინ შეგვეძლება იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიული სახე დავინახოთ და ბასკურის ასეთსავე ძველ ვითარებას შევედაროთ.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ რ. ლაფონი ისტორიის ფენების „ღრმად თხრის“ საჭიროებას საეხებით იზიარებს.

თვით წერილში „მორფოლოგიური შეხვედრები“ რ. ლაფონი აღნიშნავს: კავკასიურ ენათა სხვადასხვა ჯგუფს შორის სხვაობა არსებობს, და ამას მოვლა უნდაო—საჭიროა დამუშავდეს შედარებითი ფონეტიკა და შედარებითი მორფოლოგია ჩრდილო-კავკასიური, სამხრულ-კავკასიური ენებისა, მერე—ერთობლივ კავკასიურ ენათაო... („მორფოლოგიური შეხვედრები...“, — „Word“, 1952, №1, გვ. 94).

ბასკურ-კავკასიური შეხვედრები, ჩვენ რომ გამოვყავით, წინასწარი ხასიათისააო. ბასკურს ვერ მივიჩნევთ ერთ-ერთ კავკასიურ ენად. ბასკურის ვითარება ჩვენ უნდა ვიკვლიოთ ერთობლივ კავკასიურთან მიმართებაშიო.

რ. ლაფონი დასძენს: ასეთივე სამუშაო უნდა შესრულდეს ბასკურისათვის, რადგანაც ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება ბასკური დიალექტების ნამდვილი შედარებითი გრამატიკაო („on ne possède pas encore une véritable grammaire comparée des dialectes basques“ იქვე. გვ. 97).

ამ მიმართულებით ბასკურის სპეციალისტები, როგორც ცნობილია, ამჟამად მუშაობენ კიდევ უკვე მოგვეპოვება ბასკურის ისტორიული ფონეტიკა („Fonetica Historica Vasca“ por Luis Michelena, სან-სებასტიანი, 1961), დაიბეჭდა შონოგრაფია: „ბასკურის ძველ თანხმოვანთა შესახებ“ („Las antiguas consonantes vascas“)—იმავე ავტორისა...

\* \* \*

ბასკური ენა სხვადასხვა სპეციალისტს სხვადასხვა დროს სულ სხვადასხვა ენისათვის შეუდარებია (ურალურ-ალთაურ, ქამიტურ, ჩრდილო ციმბირის ე. წ. პალეო-აზიურ ენებისათვის...).

ყველაზე მეტი სიახლოვე ბასკურს მაინც იბერიულ-კავკასიურ ენებთან აქვს. ამას გრძნობდნენ: ფრ. მიულერი, პ. შუხარდტი, კ. ულენბეკი, ნ. მარი... სხვადასხვა სტილისა და მეთოდის მკვლევარნი. ამას ამოიკითხავთ ლარუსის ენციკლოპედიაში, საბჭოთა ეთნოგრაფების შრომაში („Народы западной Европы“, ტ. II, 1965 წ.).

ამ გრძნობას განსაზღვრავდა ენობრივი სისტემის შინაგანი ფორმა: ამ მხრივ ეხმაურება, პირველ ყოვლისა, ბასკური ენა იბერიულ-კავკასიურს: ნაწევრის პოსტპოზიცია, ერგატული ბრუნვა, ობიექტის აღნიშვნა ზმნაში, თვლის ოცობითი სისტემა... ცალ-ცალკე ასეთი მოვლენები შეიძლება რაგინდარა ენაში აღმოჩნდეს... ნიშანთა კომპლექსი—ეი სხვაა.

ბასკურის შესწავლისას სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შეპირისპირებითი ანალიზი იბერიულ-კავკასიურ ენებთან დამოუკიდებლად უნდა ჩატარდეს, რომ მორფემის, სიტყვის, სინტაგმის ახლანდელი მოდელი დადგინდეს.

ეს ხელს შეუწყობს, დაეხმარება ძირითადი ამოცანის ამოხსნას, რასაც ამ ენათა ისტორიის შესწავლა ქმნის.

მხოლოდ ამ გზით შევიძლებთ იმის გარკვევას, რა ისტორიულ-გუნებისური ურთიერთობაა ბასკურსა და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის.

ამ თავითვე უხადია ერთი რამ: ეს ენები არქაული ენებია, ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხები ძველი ხალხებია. ისტორიის გარიჟრაჟზე

ლიგურები იყვნენ ფართოდ გავრცელებულნი ესპანეთსა და მახლობელ მიწა-წყალზე, იყვნენ და აღარ არიან. მათგან არაფერი დაგვირჩა, იბერები ასევე ფართოდ იყვნენ გავრცელებულნი. აღარ არიან. მათი წარწერები დარჩა.

ზოგი ავტორი (ვ. ჰუმბოლდტი) იბერებს ბასკების წინაპრად სახავს, ზოგიც ამას უარყოფს. იბერთა წარწერები ბასკურად არ იკითხებაო. ეს გარემოება საკითხს ვერ გადაწყვეტს. იბერიული ბასკურის წინაპარი არ არის, მაგრამ ბასკურის მონათესავე ჩანს. (ძველი ალბანური ენა კავკასიაში ლეზგიური ქვეჯგუფის ენა იყო. ძველი ალბანური წარწერები გამოვლინდა, მაგრამ ლეზგიურად არ იკითხება, თუმცა ალბანური ენები ლეზგიური წრისა იყო). ენა იცვალა... არსებობდა ურარტული ენა. წარწერებილა დაგვრჩა. იბერიულ-კავკასიურ სამყაროს მიგვანიშნებს ზოგი მორფოლოგიური ფაქტი ამ ენისა, რაზედაც ჯერ კიდევ აღფ. ტრომბეტი მიუთითებდა: ერგატივის ნიშანი -*შე* (-*še*) ურარტულში და ერგატივის ნიშანი ბაცბურში, ადამიანის სახელებში (-*ს*).

მეთოდურად თანამიმდევრული ძიებაა საჭირო, რომ მეცნიერულად გადაიჭრას საკითხი, — კულტურის ისტორიის პირველხარისხოვანი საკითხი: ვინ არიან ეს ძველი ხალხები და რა ენებია მათი ენები: ეს არქაული ენები ზმელთაშუაზღვეთის — წინაინდოევროპულის — ძველი ენობრივი სამყაროს ნარჩენებია, თუ ამ ძველი ენების ადგილსამყოფელი მცირე აზია იყო და იქიდან მოედინებოდა მიგრაციის ნაკადი, რომელმაც აპენინისა და პირენეს ნახევარკუნძულებამდე მიიღწია.

ენის ისტორია თვითმიზანი არ არის. ენის ისტორია კულტურის ისტორიისა და აზროვნების ისტორიის საკითხთა კვლევას ემსახურება.

ენათა ისტორია, კერძოდ, მონათესავე ენათა ისტორია დამხმარე საშუალებად შედარებას იყენებს: ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიება სათანადო ენათა წარსულის გათვალისწინების საშუალებაა (ფუძე-ენის აღდგენა მის მიზანს არ უნდა შეადგენდეს; ფუძე-ენა რეგულატიურ ცნებას წარმოადგენს; ფუძე-ენის რეალურობა ვივარაუდოთ, ეს როლის ნიშნავს ამ ენის აღდგენა შესაძლებელი იყოს).

ენის (ენათა) ისტორიული წარსულის გათვალისწინება დამოკიდებულია „მოწმეთა“ ჩვენებაზე: ინდო-ევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკა და ლექსიკონი ვერ დაიჩემებს ისეთ სიზუსტესა და სისრულეს, რაც რომანულ ენათა ისტორიულ-შედარებითს გრამატიკასა (და ლექსიკონს) ახასიათებს: ნესიტურ-ხეთური ენის მასალამ, ამ „ახალი მოწმის“ ჩვენებამ ინდო-ევროპულ ენათმეცნიერებაში მანამდე მიღებული შედეგების გადასინჯვა მოითხოვა (ზმნისა და სახელის მორფოლოგიის რიგი საკითხი, „კენტუმ“ და „სატემ“ ენათა გავრცელების არეალების საკითხი...).

ინდო-ევროპულ ენათაგან რომ მხოლოდ ირლანდიური (კელტური), პოლთურის (სლავური) და სომხური შემოგვრჩენოდა, არა თუ ინდო-ევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი გრამატიკის შედგენა გაკირდებოდა, არამედ თვით ამ (ინდო-ევროპულ) ენათა ნათესაობის საკითხიც დამაჭერებელი ვერ იქნებოდა.

ანალოგიურ სიძნელეს ვხვდებით ბასკურ-კავკასიურ (ეუსკარო-კავკასიურ) ენათა წარსულის კვლევისას. კავკასიის მიწა-წყალზე შემოგვინახა იბერიულ-კავკასიურ (პალეო-კავკასიურ) ენათა ღილი ჭგუფი (32 ენა). ახლანდელი ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რა ცვლილებებიც განუცდიათ ამ ენებს (ნიმუში: ზმნის უღვლილების ნაირგვარობა და ლესტნის ენებში—იხ. ზემოთ).

შორეულ წარსულში იბერიულ-კავკასიურ ენათა რიცხვი გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო (უღური, ბუჯუხური, ხინალღური, კრიწული ამჟამად კუნძულებადაა არის შემორჩენილი აზერბაიჯანის სსრ მიწა-წყალზე). აფხაზურ-ადიღური ჭგუფის ენები ახლა ოთხ ერთეულს ითვლის; მეტი უნდა ყოფილიყო. (უბიხური ენა ჩვენ თვალწინ ქრება...)- ეგვევ ითქმის ნახური და ქართველური ენების შესახებაც.

ბასკური ენა იმ თავითვე მარტოხელა არ ყოფილა...

ეს ნიშნავს: ისტორიულ-შედარებითი კვლევა-ძიება ღილ სირთულეთა წინაშე დგას იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლისას. განუზომელად უფრო რთულია ბასკურისა და იბერიულ-კავკასიური წარსულის კვლევა და მათი ისტორიულ-გენეზისური ურთიერთობის ძიება.

ჩვენ არ გვითქვამს წინათ და არც ახლა ვამბობთ: ბასკურის ნათესაობა იბერიულ-კავკასიურ ენებთან დამტკიცებელიაო. არც იმას ვამბობთ, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ოთხივე ჭგუფის ისტორია მთლიანად და სავსებით აღდგენილი გვაქვსო.

ჩატარებული კვლევა ერთ რასმე მოწმობს: წარსულში იბერიულ-კავკასიურ ენებს მეტი სიანალოვე ახასიათებდა, ვიდრე ახლა ვხედავთ-ზედაპირზე სხვაობა ჩანს, სიღრმისეულ ფენებში სხვაობა მცირდება, საერთო (ერთობა) მატულობს: საერთო—ძველია, განსხვავებული—ახალი.

ბასკური ენის „შინაფორმის“ ისეთი თვისებები, როგორიცაა ზმნის სუბიექტურ-ობიექტური უღვლილება და ბრუნებაში ერგატივი, სხვარომ არაფერი იყოს, კავკასიის ენობრივ სინამდვილესაქენ წარმართავს მკვლევრის ყურადღებას: პუგო შუხარდტი, როგორც თვითონ ამბობს, ერგატიულმა კონსტრუქციამ მოიყვანა ბასკური ენიდან კავკასიურ ენებთან.

ერთი წარმოშობის ენები შეიძლება დროთა ვითარებაში იმდენად დაშორდეს ერთმანეთს, რომ საერთო აღარაფერი დარჩეს, ანდა ეს საერთო ისე გადასხვაფერდეს, რომ მისი მიკვლევა შეუძლებელი აღმოჩნდეს.

მაგრამ თუ ეს საერთო ჩანს და ეს საერთო სპეციფიკურ მოვლენებს ეხება, სპეციალისტის ვალია ამას სათანადო ყურადღებით მოეკიდოს და მისი რაობა და წარმომავლობა შეისწავლოს ძნელი შეუძლებელს არ ნიშნავს. ძნელი საკითხი არასოდეს გადაწყდება, თუ ის არ დაისვა, თუ ის კვლევის საგანი არ გახდა.

ყოველი მეცნიერება ჰიპოთეზით იწყება. ჰიპოთეზა კვლევა-ძიებას მოითხოვს. ჰიპოთეზა გამართლებულია, თუ ამ კვლევა-ძიებამ მეცნიერული ცოდნის წინსვლა განსაზღვრა, ის გაარკვია, რასაც მანამდე მეცნიერული აზრი ვერ ხედავდა, — თუ ახალი პერსპექტივები დასახა.

\* \* \*

ქართველი კავკასილოგების ძირითადი ამოცანა იყო იბერიულ-კავკასიური ენების მეცნიერული ისტორიის შექმნა.

აქ წინსვლა ხელშესახებია, თუმცა წინსვლის ტემპები ნელია. ეს ძირითადი ამოცანა კვლავაც მოითხოვს ყურადღებას: მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება.

მორიგი ამოცანაა: ბასკურში „ავიდგათ ენა“, ბასკურის მასალაზე მიგვიწვდებოდეს ხელი. მაშინლა შეეძლებთ ბასკოლოგებთან ერთად მუშაობას ბასკურ-კავკასიური ურთიერთობის პრობლემებზე. კავკასილოგ-ბასკოლოგი რთული პრობლემის სპეციალისტს გულისხმობს: ის უნდა ერკვეოდეს ქართული ენის ისტორიაში, მთის ძირითად იბერიულ-კავკასიურ ენებში (სამივე ჯგუფიდან თითოში მაინც: აფხაზურში ანდა ადიღურ ენებში, ჩაჩნურსა ანდა ბაცბურში, ხუნძურში ანდა ლაკურ-დარგულში, ანდა ლეზგიურსა თუ არჩიულში...), ერკვეოდეს თეორიულ ენათმეცნიერებაში იმდენად, რომ ახალ თეორიებსა და ცნებებში ფასეული გაარჩიოს მოდურისაგან.

ასეთი სპეციალისტის მომზადება რთულ ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს და, გარჯა თუ დაემატა, საქმეს მოეწვება.

ბასკოლოგია ამჟამად მსოფლიო მეცნიერების პრობლემას წარმოადგენს, — წერდა 1940 წ. აკად. ვლ. შიშმარიოვი.

გვევე ითქმის კავკასილოგიის შესახებაც.



ბასკოლოგ-კავკასიოლოგი გვყავდა რედაქციის სახით,—  
სახელმძღვანელო სპეციალისტი.

უნდა მომზადდეს კავკასიოლოგ-ბასკოლოგთა კადრები.  
ეს იქნებოდა მეცნიერულად აქტუალური პრობლემის დამუშავებაში  
ჯეროვანი მონაწილეობის მიღება.

ეს იქნებოდა გამოჩენილი ბასკოლოგ-კავკასიოლოგის რენე ლაფონის  
ხსოვნის პატივისცემა.

## სამიეზლები<sup>1</sup>

### პ ი რ თ ა

- ბგუდი, მანუელ 20, 64.  
ალიერი, ეაკ 66, 88.  
ალფარსლანი, ორპან 89.  
არალოი, პ. 62.  
ასკუე, რ. მ. დე (Azkue, R. M. de) 13,  
14, 23, 31, 64, 66, 67.  
აშულარი (Axular) 15, 67.
- ბარანდიარანი 67.  
ბარი, გ. (Bähr, G.) 66.  
ბაროხა, ხულიო კარო 30.  
ბენვენისტი, ე. 15, 52.  
ბერტოლდი 65.  
ბეტოლასა 67.  
ბილბაო, ხონ 76, 88.  
ბოდუნ დე კურტენე 19.  
ბოკარევი, ე. ა. 72, 92, 93.  
ბონაპარტი, ლუი ლუსიენ 11, 12, 14, 35.  
ბოროდინა, მ. ა. 94.  
ბოუდა, ე. 65, 71, 73, 75, 91, 93.  
ბრიერი, მორის 90.  
ბროდელი, მ. 89.  
ბროსე, მარი 99.
- ბაველი, ანრი 12, 14, 15, 21, 23, 35, 65.  
გარიტი, ეერარ 91.  
გომეს-მორენო, მანუელ 67, 69.  
გუდაეა, ტ. 92.
- ფასანსი, ლ. 64, 67, 89.  
დეეტერსი 73, 90.  
დეჩეპარე, ბერნარდ (Dechepare, Bernard) 6, 21, 30, 53, 58, 61, 67, 97.  
დიბარარტი 53.
- დიუმეზილი, ე. 71, 73, 85, 89, 91, 92, 93,  
99, 100.  
დიუნი-პეტრე, პ. (Duny-Pétré, P.) 53,  
67.  
დიურკეიმი 17.  
დონოსტია 67.
- მისი, ვან (van Eys) 35.  
ელეისალდე, ლუსი დე 65.  
ელისამბურუ (Elissamburu) 55, 59.  
ესენი, ტეეფიკ 92.  
ეპფერე, გ. (Eppherre, G.) 62.  
ეჩაიდე, ა. მ. 66, 73.  
ეჩაოჰუნი (Etchahoun) 30, 53, 67. .  
ეჩებერია, ტ. 64.
- მანდრიესი, ე. 17, 37.  
ვენსონი (Vinson) 15, 35.  
ვინკლერი (Winkler) 71.
- ზიულკიუფი 92.
- შოფურია, ე. 90, 92.
- იაკოვლევი, ნ. 18.  
იედლიჩკა, იარომირ 90.  
იმნაიშვილი, დ. 92.
- პახაძე, ოტ. 92.  
კლიმოვი, გ. ა. 92.  
კლოსტრი, ჟორჟ 89.  
კონი, მარსელ 18, 85.  
კონტი, ოგიუსტ 17.  
კუიპერსი, ვერტ 72.

<sup>1</sup> შეადგინა ნ. ს ტ უ რ უ ა მ.

ლაკომბი, ეორჟ 12, 15, 20, 21, 31, 35, 85.  
ლანდე, პ. (Lhande, P.) 64.  
ლანდუჩი 64.  
ლარასკე, ჟან 23, 64, 66.  
ლაფიტო, პიერ 21, 51, 52, 54, 57, 64, 66.  
ლაფონი, რენე 7, 8, 11, 14, 20, 25, 26, 29, 32, 35, 37, 50, 51, 53, 54, 61, 63, 65, 66, 67, 69, 71, 73, 74, 76, 85, 86, 87, 89, 93, 99, 100, 101, 105, 106, 110.  
ლევო, ე. (Lewy, E.) 51.  
ლეჟენი, მ. (Lejeune, M.) 69  
ლისარაგა (Liçarrague) 6, 13, 19, 53, 54, 55, 58, 59, 62, 63.  
ლომთათიძე, ქ. 72, 92, 93.  
ლომთაძე, ე. 92.  
ლოპეს-მენდისაბალი. ი. 21.  
მალმბერგი, ბ. 92.  
მალუკერ დე მოტესი, ხ. 69.  
მარი, ნ. 71, 93, 106.  
მარტინე, ა. 16, 17, 92.  
მარშევი, იოლანდა 90, 91.  
მაპომეტოვი, ა. 92.  
მეიე, ანტუან 17, 18, 85.  
მერსიე, შარლ 90.  
მიულერი, ფრ. 106.  
მიქაილოვი, ე. 92.  
მიქაილოვი, შ. 90.  
მიჩელენა, ლ. 16, 20, 23, 29, 64, 65, 66, 67, 73, 76, 88, 106.  
ნავარო ტომასი, ტ. 23.  
ნამიტოკი, აიტეკ 90.  
ოიპენარტი 67.  
პარი, კატრინ 92, 100.

რიბარი (Ribary) 9.  
როგაეა, გ. 92.  
როლო (Rollo) 66.  
როლფსი (Rohlfis) 65.  
ხალია, კალისტრატე 95.  
სალია, ნინო 95.  
სამარიპა ი ურანგა, პაბლო დე 21.  
სოლიე, ივ. 89.  
სომერფელტი, ალფ 90.  
სოსიური, ფ. დე 17, 18.  
ტარტასი, ჟან დე 15.  
ტოვარი, ა. 65, 69, 76.  
ტრომბეტი, ალფრედო 18, 71, 93, 100, 107.  
ტრუბეცოი, ნ. 19, 89, 93.  
ტურნიე, ა. 64.  
შლენბეიკი, კ. 13, 15, 16, 19, 23, 32, 64, 65, 71, 73, 74, 75, 93, 106.  
უორთი, დინ (Worth, Dean) 74.  
ურკიხო, ხულიო (Urquijo, Julio) 15, 67, 88.  
უსლარი, პ. 104.  
შლური, ლეა 90.  
ფოგტი/ფოხტი, ჰანს 17, 73, 90, 91.  
შანიძე, აკ. 91, 92, 93, 94.  
შარაშიძე, გორგი 90, 100.  
შიშმარიოვი, ე. 5, 6, 109.  
შუხარდტი, ჰუგო 11, 12, 15, 19, 35, 40, 58, 65, 67, 71, 93, 100, 106, 108.  
ჩიქობავა, არნ. 74, 91, 92, 93, 94, 95.  
ჩხენკელი, კიტა 90, 91.  
ცერცეაძე, ილ. 92.  
ჰარიჩელარი, ე. Haritschelhar, J.) 30, 31, 64, 66, 67, 89.  
ჰუმბოლდი 65.  
ჰუმბოლდტი 69, 107.

### საგნომბრივი

აკადემია ბასკური ენისა 15, 20, 86.  
აკვიტანიური ენა 23, 24, 29, 65, 67, 68, 69, 70, 75, 86.  
აკვიტანიური ენის ფონოლოგიური სისტემა 24, 29, 68, 69.  
აკვიტანიური სახელეუბი ბასკურში 65.  
ალბანური (ძველი) ენა 107.

ალბანური წარწერები 107.  
ალეკოლარულ-პალატალური სიბილანტე-ბი ბასკურში 24.  
ანთროპონიმია ბასკურისა 65, 89.  
ბასკონიური (ეასკონიური) ენა 23, 24, 29, 65, 67, 68, 69, 70, 75, 86.

- ბასკონიური (ვასკონიური) ენის ფონოლოგიური სისტემა 24, 29, 68, 69.
- ბასკონიური (ვასკონიური) სახელები ბასკურში 65.
- ბგერათა სისტემა ბასკურისა 24—29.
- ბრუნება ბასკურში 33—37;  
საზოგადო სახელთა და ზედსართავთა ბრუნება 33—34;  
საკუთარ სახელთა ბრუნება 35;  
ნაცვალსახელთა ბრუნება 36—37.
- ზორომანული სიტყვები ბასკურში 64.
- ღამწერლობა ბასკურისა 86.
- დიალექტოლოგია ბასკურისა 65—67.
- დიაქრონიული ფონოლოგია ბასკურისა 29.
- მთნოგრაფია ბასკური 89.
- ეუსკარო-კავკასიურ ენათა ოჯახი 73, 93, 106.
- ზმნა ბასკურში 37—51;  
ალოკუტიური (სასაუბრო) ფორმები 46—47;  
გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები 39—41;  
დროთა და კილოთა ფორმები 50;  
ვოტივი (მოწოდებითი კილო) 49;  
ე. წ. ზმნური ფუძე (radical) 41—42;  
მარტივი და რთული ფორმები 42—43;  
მეშველი ზმნები 42—43;  
მიმღეობა (ნამყოფი) 41—42;  
ნამყოფი დროის დაბოლოება 48;  
პირიანი და უპირი ფორმები 41—42;  
პირის ნიშნები 43—47;  
პრესკრიპტივი (დავალებითი კილო) 49;  
სახელზმნა 41—42;  
სინტაქსური ფუნქციის არმქონე სუფიქსები 48—50;  
სინტაქსური ფუნქციის მქონე სუფიქსები 50, 54;  
ფორმათა ორი ჯგუფის დაპირისპირება 50—51;  
შესაძლებლობის გამომხატველი ფორმები 49;  
ძირითადი ფორმები 43.
- ზმნიზღვლების წარმოება ბასკურში 58—59.
- იბერიული დამწერლობა 67.
- იბერიული ენა 69, 71, 75, 86, 89.
- იბერიულ-კავკასიურ ენათა და ბასკურის ურთიერთობა 71—74, 86—87, 108.
- იბერიული ენის ფონოლოგიური სისტემა 70.
- იბერიული ტექსტები 70.
- იბერიული წარწერები 69, 86, 89.
- ინტონაცია ბასკურში 28.
- ძავერებითი კილო ბასკურში 57, 59—60.
- კამჩადალური ენის მიმართება ბასკურთან 75.
- კალუბრეტი ბასკურისა და ჩუქურში 75.
- კალუბრეტი ზმნათა წარმოება ადრეულ ბასკურისა და აფხაზურში 73, 101.
- კორიკული ენის მიმართება ბასკურთან 75.
- ლექსიკა ბასკურისა 63—65.
- ლექსი, პოეზია ბასკურში 30.
- ლექსის მეტრიკული სქემა ბასკურში 30.
- მაგარი (ამიკალური) r ბასკურში 24.
- მახვილი ბასკურში 26—28.
- ზოროლოგია ბასკურისა 31—51.
- ნაცვალსახელები ბასკურში 36—37, 62.
- ნაწილაკი, მტკიცებითი 43, 60.
- ნაწილაკი, უარყოფითი 43, 60.
- ნოსტრატული თეორია 104.
- ონომასტიკა ბასკურისა 65.
- პალეოციმბირულ ენათა და ბასკურის ურთიერთობა 74.
- პირობითი კილო ბასკურში 60.
- რბილი, პალატალური თანხმოვნები ბასკურში 24—25.
- რიცხვის კატეგორია ბასკურში 32.
- სალიტერატურო ბასკური ენის ნორმები 22.
- სიმღერები ბასკური 31.
- სინტაქსი ბასკურისა 51—63.

სინქრონიული ფონოლოგია ბასკურისა  
24.

სიტყვის თავისა და სიტყვის ბოლოს თავისეებურებები ბასკურში 25.

სქესის კატეგორია ბასკურში 32.

ტოპონიმები ბასკურში 65, 89.

ფოლკლორი ბასკური 89.

ფონეტიკური შესატყვისობანი ბასკურსა და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის 72, 73, 102.

ფშვინვიერი ხშულები ბასკურში 13, 24, 25.

ძამიტურ-სემიტურ ენათა და ბასკურის ურთიერთობა 71.

ჩუკურისა და ბასკური ენების ურთიერთობა 74—75.

ძირის სტრუქტურა ბასკურში 32.

გამომცემლობის რედაქტორი მ. ი ნ ა ს ა რ ი ძ ე  
ტექნიკური ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი  
კორექტორი დ. მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე

უაღრესად წარმოებას 27/1-76  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VII-76  
ქალაქის ფორმატი 60X90/16  
ნაბეჭდი თაბახი 7,25  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,3  
შეკვეთა 150            უე 06620            ტირაჟი 10000

ფასი 44 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი, 380028, ი. ჯავახიშვილის პროსპექტი, 14

Издательство Тбилисского университета  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა  
თბილისი, 380028, ი. ჯავახიშვილის პროსპექტი, 1.

Типография Тбилисского университета  
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1